



ISSN 0180—1624

# საბავშვო

მ ა რ ტ ე  
№ 3 1985 წ.



ეროვნული  
ბიბლიოთეკა

# ეს მეთორმეტე და სხვა მრავალი!



თბილისი, 1985 წლის 2 მარტი. სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე ი. პ. რიაგოვი ულოცავს სსკპ ცენტრალური კომიტეტის კოლეგიალურს წევრობის კანდიდატს, სახარტველს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველ მდივანს ე. ა. შავარდნაძეს საკავშირო სოციალისტურ შეჯიბრებაში რესპუბლიკის ჯედიჯელ მეთორმეტედ გამარჯვებას და გარდაამავალი წითელი დროშის გადაცემას.



სურათზე: (მარცხნიდან) საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი, სახელმწიფო პრემიის ლაურეატი, საქართველოს ისტორიის კათედრის გამგე, პროფესორი მარია ლორთქიფანიძე;

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატი, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი, საქართველოს სსრ მეცნიერების დამსახურებული მოღვაწე, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ი. ქუთათელაძის სახელობის ფარმაკო-ქიმიის ინსტიტუტის დირექტორი, პროფესორი ეთერ ქვიციანიძე.

ფოტო ელუარდ გიგილაშვილისა.

## ვადილოთ ქალი!


გორც ცნობილია, გენიალურმა შემოქმედებმა მრავალი უკვდავი ტილო შექმნეს, რომლებზეც დედა და ძუძუმწოვარა ჩვილია გამოსახული.

პედიატრებმა დაასაბუთეს, რომ სიყრმის შვილი, განსაკუთრებით ბიჭი, უმეტეს შემთხვევაში სუსტია. ისინი კი, მცირედენი გამონაკლისის გარდა, რომლებმაც წარუშლელი კვალი დატოვეს პოლიტიკაში, ხელოვნებასა თუ მეცნიერებაში, მომდევნო ანდა ნაბოლარა შვილები იყვნენ.

ძვირფასო ქალებო, გისურვებთ დიდხანს შეგრჩენოდეთ ჯანმრთელობა, მომხიბლავი იერი და ყოველივე ამის ერთ-ერთი მტკიცე საფუძველი — შვილთმრავლობის უნარი.

### ირაკლი ფაღვა, საპარტველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი, მეცნიერების დამსახურებული მოღვაწე, პროფესორი.


საპარტველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი, მეცნიერების დამსახურებული მოღვაწე, პროფესორი.



პატივცემულო მანდილოსნებო, ახლა როცა ქალთა საერთაშორისო დღეს გილოცავთ, მახსენდება დიდი ჰუმანისტის მაქსიმ გორკის სიტყვები: „ვადილოთ ქალი — დედა, ვისმა სიყვარულმა არ იცის ზღუდე, ვისი ძუძუთი გამოწვრილია მთელი მსოფლიო“.

მეცნიერებამ დაამტკიცა, რომ ყოველი ორსულობა ახანგრძლივებს ქალის ახალგაზრდობას. ლამაზთა სქესის თაყვანისმცემელი ანატოლი ფრანსი წერდა: — განსაკუთრებით მომხიბლავია ქალი მამინ, როცა ბავშვს ძუძუს აწოვებსო. რო-

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!



# დროშა

№3 (579) მაგნი. 1985

უფრნალი გამოდის 1928 წლიდან

ყოველთვიური საზოგადოებრივ-პოლიტიკური და სალიტერატურო-სამხატვრო უფრნალი

საპარტველოს კვ ცკ-ის გამომცემლობა

© „დროშა“, 1985 წ.

### ნომერშია:

ირაკლი ფაღვა — ვადილოთ ქალი!  
საუბარი მინისტრთან  
ლევან გოთუა — ალმასის ბეჭედი  
(ნაწყვეტი რომანიდან „გმირთა ვარამი“)  
ანა კალანდაძე — ლექსები  
ირინე ტალიაშვილი — შვილები  
(მოთხრობა)  
თამაზ ჯანელიძე — წარუშლელი კვალი  
ნათელა გიორგობიანი — ნათელი კაცი  
გრიგოლ ჩიქოვანი — სინთუ (ნაწყვეტი მოთხრობიდან)  
ოთარ დემეტრაშვილი — კანტინაში  
(მოთხრობა)  
მზია იაშვილი — უხმოგან ახალი მწვერვალები  
სერგი ღურშიშიძე — გახსენება  
ვლადიმერ ბაბუა — ძვირფასი მოძღვარი  
მადონა მამულაშვილი — მრავალი გაზაფხული  
მოსთა ზაქარიაძე — იასა რაჭველი  
კოეტი ქალბის ლექსები  
საბულისხმო, სახალისო, იუმორი.

### მთავარი რედაქტორი სუბა ბერულავა

### სარედაქციო კოლეგია:

გულნარა ბახტაძე (პ/მგ. მდივანი), ვასილ გვეტაძე, ნათელა გიორგობიანი, თამაზ გოგოლაძე (მთ. რედაქტორის მოადგილე), ოთარ დემეტრაშვილი, სერგი ღურშიშიძე, ვახტანგ ენვაწუია, ოთარ თურქია, დინარა ნოდია (მხატვარ-რედაქტორი), ლადო სულაბერიძე, ილია ტაბაღუა, ნუგზარ ფოფხაძე, გიორგი ჩარკვიანი, უჩა ჯაფარიძე.

საპარტველოს  
პარტველის  
მეცნიერების  
დამსახურებული  
მოღვაწე  
ირაკლი ფაღვა

**საქართველოს სსრ მეთერთმეტი  
მოწვევის უმაღლესი საბჭოს  
დეპუტატები:**



**მლივანი მერი** — ნორიოს მეფრინველეობის ფაბრიკის დირექტორი.

**შაორუაძე ბრონიკო** — სოფელ არგვეთის ლენინის სახელობის კოლმეურნეობის წევრი.



**მინაშვილი ნუნუ** — სოფელ ტობანიერის ი. ბ. სტალინის სახელობის კოლმეურნეობის წევრი.



შურნალ „დროშის“ კორესპონდენტი **რონია ბიგაძე** მონაწილეობდა უმაღლესი საბჭოს სსრ საყოფაცხოვრებო მომსახურების მინისტრს **ბელა მახაშვილს** და ესაუბრა მას.

— უპირველეს ყოვლისა, გილოცავთ ქალთა სამრთავო დღეს და საქართველოს უმაღლესი საბჭოს დეპუტატად არჩევას. ამავე დროს სულითა და გულით გისურვებთ წარმატებას თქვენს ახალ დიდ ასპარეზზე.

— დიდი მადლობა.  
— ახლანდელ გზებზე, გვიანსავე რამდენიმე შეკითხვაზე.  
— სიამოვნებით.  
— როგორც ცნობილია, 1983 წლის 24 მარტს სპაპ ცენტრალურმა კომიტეტმა და სსრ კავშირის მინისტრმა საბჭოში მიიღეს დადგინება „მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების უმჯობესი განვითარებისა და გაუმჯობესების ღონისძიებათა შესახებ“. რა სამუშაოები განხორციელდა დარგში ამ დადგინებებს შესასრულებლად?

— ამ გადაწყვეტილების შესაბამისად საქართველოს კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭომ 1983 წლის 17 ნოემბერს მიიღეს დადგინება „საქართველოს სსრ მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების შემდგომი განვითარებისა და გაუმჯობესების შესახებ“.

დადგინებებთან შესასრულებლად 1983-1984 წლებში განხორციელდა მთელი რიგი ღონისძიებანი მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების სისტემის სტრუქტურის შემდგომი სრულყოფისათვის. კერძოდ, რეორგანიზებულია რესპუბლიკური საწარმოო გაერთიანება „საქრემყოფტექნიკა“, რომელიც საყოფაცხოვრებო მანქანა-ხელსაწყოებისა და რადიოსატელევიზიო აპარატურის რემონტს უძღვება. ამჟამად აღნიშნულ გაერთიანებაში შედის 18 სარაიონთაშორისო ქარხანა. მათი მეცხვებით ამ სახეობის მომსახურებით გაცილებით უფრო ფართოდ ვაკმაყოფილებთ მოსახლეობას. შეიცვალა საწესრველებო მომსახურების წესი. ახლა ეს საკითხები წყდება ადგილზე, კონკრეტული პირობებისა და ტრადიციების გათვალისწინებით, ადგილობრივი ძალების და შესაძლებლობების ფართოდ გამოყენებით.

მნიშვნელოვნად გაფართოვდა სახალხო დეპუტატთა ადგილობრივი საბჭოების უფლებები რეგიონის საყოფაცხოვრებო სამსახურის განვითარების ხელშეწყობის დარგში.

თვალსაჩინო მუშაობაა გაწეული ახალ სიმძლავრეთა ასამოქმედებლად. უკანასკნელი ორი წლის მანძილზე მწყობრში ჩადგა: საყოფაცხოვრებო მომსახურების სანლი „ვარკეთილი“ ქალაქ თბილისის საქარხნო რაიონში, თბილისის საზეიმო მოვლენათა ასახლე, სოხუმის საყოფაცხოვრებო მომსახურების სანლი საზეიმო მოვლენათა ასახლეთურთ და ბევრი სხვა ობიექტი.

რესპუბლიკამ 1984 წელს გადაამეტა საშუალო საკავშირო მაჩვენებელს ერთ სულ მოსახლეზე გაწეული მომსახურების მოცულობის მიხედვით. თუ საშუალოდ კავშირში საყოფაცხოვრებო მომსახურება ერთ მცხოვრებზე გაანგარიშებით 37 მანეთსა და 73 კაპიკს შეადგენს, საქართველოში იგი 42 მანეთსა და 45 კაპიკს აღწევს. ზრდის ტემპმა 1984 წელს წინა წლის ღონისძიებთან შედარებით დაახლოებით 10 პროცენტი შეადგინა და ერთ-ერთი ყვე-

ლაზე მაღალია კავშირში. მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების რეალიზაციის მოცულობის 1984 წლის გეგმა შესრულებულია 100,2 პროცენტით; კუპონიზებულია 166,3 მილიონი მანეთის მომსახურება, აქედან 250 ათასი მანეთისა — გეგმის ვადაზე.

სწრაფი ტემპით ვითარდება საყოფაცხოვრებო მომსახურება სოფლად. 1984 წელს სასოფლო-სამეურნეო წარმოების მშრომელთა მომსახურების ხვედრითმა წილმა შეადგინა საერთო მოცულობის 34 პროცენტზე მეტი (ნაცვლად 1983 წლის 23 პროცენტისა).

ვითარდება მომსახურების სარემონტო სახეობანი, ხორციელდება ღონისძიებანი სარეალიზაციო სახეობათა სტრუქტურაში მათი ხვედრითი წილის შემდგომი ზრდისათვის.

დიდი გამარჯვების 40 წლისთავისა და მომავალი სკკპ XXVII ყრილობის აღსანიშნავად მაღალ წარმატებებს აღწევს სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატი, მკერავი ლეილა ცარციძე, რესპუბლიკის საყოფაცხოვრებო მომსახურების დამსახურებული მუშაკები: მკედელი ბათლომე ლობჯანიძე (ზესტაფონი), პარიკმანერი ხუჩუნა ცინცაძე (ასპინძა), გამომჭრელი ზინა ჩიკვილაძე (ბათუმი) და სხვები.

ქალაქ წყალტუბოს მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების სამმართველო (უფროსი გივი იოსელიანი) სოციალისტურ შეჯიბრებაში მიღწეული საუკეთესო მაჩვენებლებისათვის დაჯილდოვებულია სკკპ ცენტრალური კომიტეტის, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს, საკავშირო პროფსაბჭოსა და საკავშირო ალკეცენტრალური კომიტეტის გარდამავალი წითელი დროშით, ხოლო ქუთაისის საყოფაცხოვრებო ტექნიკის შემკეთებელი ქარხნის კოლექტივს (დირექტორი მარლენ ჯინჭველაშვილი) მიენიჭა საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს, საქართველოს პროფსაბჭოსა და საქართველოს ალკეცენტრალური კომიტეტის გარდამავალი წითელი დროშა.

კარგად მუშაობს თბილისის გაერთიანება „პირიშის“ კოლექტივი, რომელმაც მიმდინარე წლის პირველი ორი თვის გეგმა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს არჩევნების დღის — 24 თებერვლისათვის გაანაღდა.

დიდი ყურადღება ეთმობა დარგის საუკეთესო მუშაკთა მატერიალურ და მორალურ წახალისებას.

ერთი სიტყვით, 1983-1984 წლებში გაწეული მთელი მუშაობა ექვემდებარებოდა იმ ამოცანების გადაწყვეტას, რომლებიც დასაბრუნა საქართველოს კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭომ.

— მოგახსენებამთ, რომ საყოფაცხოვრებო მომსახურების მიღწეული ღონე ჯერ კიდევ სრულად ვერ აკმაყოფილებს მოსახლეობის გაზრდილ მოთხოვნებს. რა ზეგავლენა იქონიებს არსებულ ნაკლებობათა აღმოფხვრას სისტემაში, აგრძელ, რეაგონების ზემო სასოფლო რაიონში?

— ამ კითხვაზე პასუხის ვასაცემად უნდა გავაშუქოთ სამინისტროსა და მისი ძირეული რგოლების მთელი საქმიანობა, ამიტომ შევეხები მხოლოდ ზოგიერთ საკვანძო პრობლემას.

უწინარეს ყოვლისა, იმისათვის, რომ სწორად და მიზანმიმართულად განვავითაროთ დარგი და დავძლიოთ სამწუხაროდ

# საუბარი მინისტრთან

ჯერ კიდევ არსებული სერიოზული ნაკლოვანებანი, მუდამ უნდა ვიყოთ მოსახლეობის მოთხოვნების კურსში. ჩვენ უმთავრესად მივიჩნევთ ამოცანას — ნიადაგის წვავლობდეთ მშრომელთა აზრს დარგის შემდგომი განვითარების პერსპექტივების შესახებ. ამ მიზნით სამინისტროსთან შექმნილია საზოგადოებრივი აზრის საბჭო, ხოლო „საქყოფისაპროექტის“ საუწყებო ინსტიტუტში მოქმედებს სოციოლოგიური კვლევის განყოფილება, რომელიც სისტემატურად აწყობს საზოგადოებრივი აზრის გამოკითხვას. სამინისტრო სწავლობს მოქალაქეთა წინადადებებს, შენიშვნებს და ითვალისწინებს მათ დარგის განვითარების პერსპექტიულსა და მიმდინარე გეგმებში.

დარგის განვითარების მიზნით ხორციელდება წარმოების კონცენტრაცია-სპეციალიზაციის პროცესის დაჩქარებისა და ინდუსტრიულ ბაზაზე მისი თანდათან გადაყვანის კურსი. ეს პრობლემა ნაწილობრივ უკვე გადაწყვეტილია. ამჟამად მოქმედებს რესპუბლიკური საწარმოო გაერთიანება „საქრემყოფტექნიკა“, ბინების სარემონტო და სამშენებლო სამი ტრესტი, შექმნილია საქალაქო გაერთიანებული საყოფაცხოვრებო მომსახურების სხვადასხვა ქვედარგების მიხედვით, განხორციელდა ცალკეულ სახეობათა მომსახურების სპეციალიზაცია. ამავე დროს სამინისტროს საჭიროდ მიაჩნია, შეინარჩუნოს გარკვეული რაოდენობის პატარა-პატარა ობიექტები, რომლებიც მშრომელთა საცხოვრებელი ადგილის უშუალო სიახლოვეს მდებარეობს და უკეთ აკმაყოფილებს მათ მოთხოვნილებას საყოველღეო სახეობათა მომსახურებაზე.

მეთერთმეტე ხუთწლედის წლებში ხორციელდება სახალხო მეურნეობის ობიექტებზე საყოფაცხოვრებო მომსახურების ქსელის განვითარების კურსი. კერძოდ, მსხვილი მრავალდარგოვანი საყოფაცხოვრებო დანიშნულების ობიექტები შეიქმნა და მოქმედებს ქ. თბილისის დიმიტროვის სახელობის ქარხანასთან, ენგურტის, ჟინვალის მშენებლობაზე, ზესტაფონის ფეროშენადნობთა ქარხანასთან და ა. შ. ამ ობიექტების რაოდენობა ჯერ კიდევ არ არის საკმარისი. ამასთან გაწეული მომსახურების მოცულობით სრულად ვერ უზრუნველყოფენ მშრომელთა მოთხოვნილებას. ჩვენ მიგვაჩნია, რომ მიმდინარე 1985 წელი გარდატეხის წელი უნდა გახდეს ამ მიმართულებით და 1986 წლის დამდეგს საყოფაცხოვრებო მომსახურების ობიექტების ფართო ქსელი გვექნება სამარეველო საწარმოებში, ორგანიზაციებსა და დაწესებულებებში.

სოფლად ამ საკითხის გადაწყვეტას განსხვავებული ხასიათი აქვს, ვინაიდან ბევრ სასოფლო პუნქტში მოსახლეობის მცირე რაოდენობა მიზანშეუწონელს ხდის, აშენდეს აქ საყოფაცხოვრებო მომსახურების მრავალდარგოვანი საწარმოები. სწორედ ამიტომ, სოფლის საყოფაცხოვრებო სამსახურის საფუძველი უნდა გახდეს სასოფლო კომპლექსური მიმღები პუნქტების ფართო ქსელი, რომლებიც ყველა ძირითად სახეობათა მომსახურების შეკვეთებს მიიღებენ და შეასრულებენ რაიონული ცენტრების საბაზო საწარმოებში. ამჟამად რესპუბლიკაში მოქმედებს დაახლოებით 400 სასოფლო კომპლექსური

მიმღები პუნქტი, რომელთა რიცხვი 800-ს უნდა სჭარბობდეს. ამასთან, მეტ წილ შემთხვევებში, კომპლექსური მიმღები პუნქტები, ვერც საწარმოო ფართობების სიდიდით და ვერც აღჭურვილობით, ვერ შეესაბამებიან დანიშნულებას. ყველა ამ საკითხის გადასაწყვეტად მნიშვნელოვან დახმარებას გვიწვევენ საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტი და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო-დარწმუნებული ვართ, რომ სულ მალე ეს საკითხი დადებითად გადაწყდება.

მესამე პრობლემა, რომელზეც მუშაობს სამინისტრო და სისტემის ყველა ძირითადი რგოლი, გახლავთ დარგში მორალურ-ფსიქოლოგიური კლიმატის გაჯანსაღება, სხვადასხვა ნეგატიური მოვლენის აღმოფხვრა. საყოფაცხოვრებო მომსახურების საწარმოო ორგანიზაციებში არცთუ იშვიათად ვაწყდებით საპრესიკურანტო ფასებისა და ნიხრის დარღვევის, უქვეითრო სამუშაოების, შემკვეთთა მოტყუების ფაქტებს; დაბალია მომსახურების კულტურა, ხშირად არ იცავენ შეკვეთების შესრულების ვალებს და ა. შ.

სამწუხაროდ, ჩვენ ჯერ კიდევ გვყავს ისეთი კოლექტივები, რომლებიც თავს ვერ ართმევენ გეგმებს. ასეთებს მიეკუთვნებიან თეთრი წყაროს, ბოლნისის, ამბროლაურის რაიონების საყოფაცხოვრებო მომსახურების სამმართველოები.

კარგი მუშაობის მთავარი პირობაა შეიქმნას შეუწყნარებელი საზოგადოებრივი აზრი ყოველგვარი დარღვევებისა და კონკრეტული დამრღვევების მიმართ; საჭიროა, თვით შრომითმა კოლექტივებმა შექმნან ისეთი ატმოსფერო, რომელიც გამოირიცხავს მათს გარემოში დამრღვევთა არსებობის შესაძლებლობას.

აქვე მინდა ვისარგებლო შემთხვევით და ხაზგასმით აღვნიშნო: დარღვევას, ხშირად, სჩადის ორი მხარე — დამრღვევი და მეორე მხრივ ის პირი, რომელიც თანხმდება დამრღვევის პირობებს. აი, თითოეული შემკვეთი რომ იჩენდეს პრინციპულობას და შეკვეთის გაფორმებისას არ დააქაყოფილოს დამრღვევის მოთხოვნა, მაშინ ამ მახინჯ მოვლენას კარგა ხანია მოეღებოდა ბოლო. ამიტომ ვთხოვთ ისეთ ავტორიტეტულ ორგანოს, როგორც არის ჟურნალი „დროშა“, დააყენოს ეს საკითხი, დარაზმოს რესპუბლიკის ფართო საზოგადოებრივი აზრი, რათა საზოგადოებრიობა ყველგან გვევლინებოდეს თავისებურ კონტროლორად და არ დაუშვას შეკვეთების მიღება შესაბამისი გაფორმების გარეშე ან ფასების პრესიკურანტის დარღვევით.

— როგორია საყოფაცხოვრებო სამსახურის განვითარების პერსპექტივა?

საყოფაცხოვრებო მომსახურების განვითარების პერსპექტივა განსაზღვრულია საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1983 წლის 17 ნოემბრის ზემოაღნიშნული დადგენილებით. მიმდინარე წელს მთელ ჩვენს მუშაობას წარვმართავთ სკკ XXVII ყრილობისა და საქართველოს კომპარტიის XXVII ყრილობის ღირსეული შეხვედრისათვის მზადების ნიშნით. შეგვიძლია გამოვთქვათ მტკიცე რწმენა: შრომითი კოლექტივების მიერ ნაკისრი ვალდებულება გადაჭარბებით შესრულდება.



გაბა მახაშვილი.

— როგორ წყდება სისტემაში საკადრო პოლიტიკის ამოცანები?

საკადრო პოლიტიკა ყოველსომომცველი ცნებაა და ამიტომ ნება მიბოძეთ, შევეხო მხოლოდ ორ საკითხს — ხელმძღვანელი და მუშათა კადრების შერჩევა-განაწილებას.

ხელმძღვანელი კადრების შერჩევისა და განაწილების ყველა საკითხი წყდება მხოლოდ პარტიული და საბჭოთა ორგანოების უშუალო მონაწილეობით. უკანასკნელი წლების მანძილზე არ ყოფილა არც ერთი შემთხვევა, რომ ხელმძღვანელ თანამდებობებზე მუშაკი მიგვევლოს ადგილობრივი, პარტიული და საბჭოთა ორგანოების რეკომენდაციის გარეშე. ეს შესაძლებლობას გვაძლევს, გადავწყვიტოთ მთავარი ამოცანა — დავაკომლექტო ხელმძღვანელი შემადგენლობა მუშაკებით, რომლებსაც აქვთ პარტიული, საბჭოთა და სამეურნეო მუშაობის მნიშვნელოვანი გამოცდილება.

რაც შეეხება მუშათა კადრებს, სისტემაში მოქმედებს სასწავლო-საწარმოო კომბინატი; გარდა ამისა, კადრების მომზადებას უძღვევა რამდენიმე საწარმოო-ტექნიკური სასწავლო-მეცნიერო და შესაძლებლობას გვაძლევს, უზრუნველვყოფოთ საყოფაცხოვრებო მომსახურებაში ახალგაზრდა კვალიფიციური მუშათა კადრების მიღება.

საქართველოს ალკ ცენტრალურმა კომიტეტმა შეფოხა იკისრა საყოფაცხოვრებო მომსახურების სისტემისადმი და ყოველწლიურად გვთავაზობს საყოფაცხოვრებო მომსახურების სფეროში მისალე კადრებს — მოწინავე ქალიშვილებსა და ჯაბუკებს. ყოველთვის როდია უზრუნველყოფილი რაიონებიდან პროფესიულ-ტექნიკურ სასწავლებლებში ახალგაზრდობის გამოგზავნა სისტემისათვის საჭირო სპეციალობებით მოსამზადებლად. მეორე პრობლემა გახლავთ ახალგაზრდა მუშათა კადრების დიდი დენალობა. ბევრნი, სპეციალობას რომ შეიძენენ, სხვა უწყებაში გადადიან სამუშაოდ. სწორედ ამ ძირითადი პრობლემების გადასაჭრელად ვმუშაობთ ახლა.

— რას უსურვებდით ჩემი რესპუბლიკის ძალმხს?

ჩვენ რესპუბლიკის ყველა ქალს ვუსურვებ დიდ შემოქმედებით წარმატებას, ჯანმრთელობას, სიკეთეს, ბედნიერებას.

მუდამ ახსოვდეთ, რომ საყოფაცხოვრებო მომსახურების უპირველესი მიზანია, შეუმსუბუქოს მათ შრომა, დააზოგინოს დრო საზოგადოებრივ წარმოებაში შემოქმედებითი მუშაობისათვის, კომუნისტური საზოგადოების მშენებელთა ახალგაზრდა განსაღი თაობის აღზრდისათვის.



მდგომარეობა ასე თუ ისე გარკვეულიყო. ალექსანდრე ფრთხილად გარს უკლიდა საფთვურაკო საქმეს. ელჩთან პირველი შეხვედრის აუცილებელი მწვავე ხასიათის შერბილება სცადა ჭავჭავაძის პირობით, სხვათა შორის, აუწყა ქართლ-კახეთის ჩუმი თანხმობა და თანადგომა თურქთა წინააღმდეგ. შაჰისთვის მისართმევი რამდენიმე წლით დაგვიანებული ხარაჯა-საჩუქრების მზადყოფნაც ჩააწვეთებინა ყურსი. მაგრამ ელჩ-სარდალი მაინც პირქუშად იჯდა, მაინც კერძო, პირისპირ და უმოწყმო შეყრას ითხოვდა კახთ ბატონისაგან.

ელჩ-სარდალი კერპობდა. ირან-ლაშქარი კახეთის მიწაზე იდგა. ალექსანდრე იძულებული იყო, დაჰყოლოდა ნებას. სამეფო კარის გარიგების დარღვევა არ ისურვებდა და ისევ სანადირო კარავში გავიდა. აქ მოიწვიეს და შეჰყარეს მას ბირი-ბეი.

ცივად მიესალმნენ ურთიერთს. კახთ ბატონმა ელჩ-სარდალი მცირე „ნანადირევის სუფრაზე“ მიიწვია.

თითო შემწვარი ღურაჯი ყველას ელო წინ. მაგრამ კბილი არავინ გაუკარებია. კარავში რამდენიმე თავადი და მდივანი იდგა, მათ შორის — ზახაც. სუფრას კი, მეფისა და ელჩის გარდა, უსხდნენ: გიორგი ბატონიშვილი, შერმაზან სარდალი, იასონ ჭავჭავაძე, როგორც საპატიო სტუმარი და მეფის ახლო მოყვარე, სუფრას უჯდა გიორგი ამილახვარიც.

სპარსმა კვლავ გადაიბანა ხელები — პურადობა თავისთვის დასრულებულად ჩათვალა, ახლა საქმიანი საუბარი სწავდა.

მეფემაც მიაყურადა. რადგან ელჩი მაინც დუმდა, იასონ ჭავჭავაძემ მოიბოდიშა და ახალ მწვეარ-მეძებრის საჩვენებლად იწვია შერმაზან-სარდალი. სხვა თავადნიც გარეთ გაიყოლა.

ელჩ-სარდალი მაინც დუმდა. მაშინ გიორგი ბატონიშვილმა თავის ბიძას ამილახვარს — ახალი ყაბარღულა ცხენის ჩვენება მოუმიზეზა და გარეთ გაიყვანა.

ახლა კი ორნი დარჩნენ კარავში — კახთ ბატონი და შაჰინშაჰის ელჩი.

ბირი-ბეი მოულოდნელად ისევ სუფრას მიუბრუნდა — შუაში გახლიჩა ღურაჯი და ისევ თეფშზე დადო. თითქოს თავისთვის ჩაიჩუმათა:

— შაჰინშაჰის რისხვა გვაშოროს ალაჰმა!

— რისხვა გვაშოროს... მაღლი გვწვდეს მის თანამდგომთა! — ბანი უთხრა ალექსანდრემ.

ბირი-ბეიმ თავად წაჰყო

ხელები ვერცხლის ტაშტში, თითის წვერები ამოიბანა, ბაღდადზე შეიმშრალა და უბიდან მოწიწებით შაჰის ბეჭდინი ფირმანი ამოიღო.

— მაღლად მოდიოდა, ვგონებ, რისხვად მოვიდეს!

ფირმანის ბეჭდის ემთხვია, გულზე და შუბლზე მიიღო, მაგრამ კახთ ბატონს აღარ გაუწოდა.

— დიდი ფირმანი დიახაც თქვენს სახელზე იყო ბოძებული... ახლა მე დამეცა — წაგიკითხოთ, გულისყურს გაწვდინოდ, ხოლო თვალთ გაგაფაროთ — ვით ცისარტყელა სეტყვა-ქუხილის მოლოდინში. — ფერადოვანი სპარსულით, მაღალფარდოვნად მეტყველებდა ბირი-ბეი.

— მდაბლად გისმენთ! — მოკლედ მიუგო კახთ ბატონმა და ოდნავ ქედი მოიხარა. მან უკვე იცოდა ამ ფირმანის შინაარსი, ცალყურად უსმენდა, წინ ფიქრი უსწრებდა... მერმე იყო მთავარი, თორემ ეს უკვე წარსული ბაიათია. ქალსათოვს „უფაქიზეს ნესტან-დარეჯანს“... კახეთის იას... შირაზის ვარდებსა და ყარამთილებს შორის თაიგულად შესაყარავს. დიდი სიყვარული ჩავარდნია. ათას ბედნიერებასა და მფარველობას ჰპირდება... მაგრამ ეს ყავლგასული სიგელია... დაგვიანებული მაჭანკლობა... წავიდა ქორწილი-ონი და შაჰინშაჰის ეს ფირმანიც მის ცხენთა ფლოქვებს ქვეშ გათელილი ფარაჩინია. ეს კარგად ესმის მკითხველსაც და მსმენელსაც. ამიტომ ჯავრობს და ჩქარობს მკითხველი. უფრო ჩააწვრილა და აამაღლა ხმა. მერმე დაახვია, ემთხვია და ისევ უბეში ჩაიღო. კარავში სირხუმე ჩამოვარდა. ახლა ალექსანდრემ გახლიჩა ღურაჯი. ელჩს შარბათი შესთავაზა.

— იქნებ ინებოთ! რაც შეეხება შაჰინშაჰის ესოდენ დიდ მაღლსა... არა მქონია ბედი! არ ვიცოდი, თუ ჩემს ნესტანს ასეთი ზნეზე მაღალი მთხოვნელი ჰყავდა! ცისარტყელა გრძობის თვალით ვერ გამიჭვრეტია... რად არ ამიხილეთ თვალი კეთილის მსურველებმა... დროულად რად არა მაცნობეთ რა, ასე შეცილებული ბედნიერება სამგზის სავალალოდ მრჩება! ან თქვენ მტკვარს გაღმა რამ დავაყოვნათ ამდენ ხანსა!? — ახლა „გაღმა“ შეედავა ალექსანდრე.

ელჩ-სარდალმა იგრძნო, როგორ ხლართავდა კახთ ბატონი საუბარს. სიბრაზე მოაწვა და წონასწორობა დააკარგვინა.

— კახთ ბატონს ალბათ არ მოეხსენება, რომ დიდებული ელჩი ბეგ-მირა ჯერ კიდევ შარშანწინ გამოემგზავრა კახეთს

ამდაგვარი ფირმანის მოსართმევად.

— მერმე სად არის ელჩი იგი!? რად არ გვეწვია? — გაიკვირვა ალექსანდრემ და ხელხალვათად მკაფე საწებეღში ამოუსვა ღურაჯის ლავიწი.

— კახთ ბატონს ალბათ არც ის მოეხსენება, რომ შარშან აგრეთვე დიდებული ელჩი შავერდი-ბეგი წამოვიდა კახეთს?

ახლა კი ალექსანდრემ თავად გააწყვეტინა სიტყვა:

— მერმე სად არის... ან ერთი, ან მეორე? ნუთუ უკან დაბრუნდნენ? გზა ვერ იკვლიეს თურქთა გამო?

— არა! — ირიბად გახედა კახთ ბატონს სპარსმა. ოდნავ შეეჭვდა კიდევაც: „ან საოცრად თვალთმაქცობს, ან მართლაც არა იცის რა“ — „უფრო თვალთმაქცობს!“ — ფიქრშივე დაასკვნა.

— იქნებ შეემთხვათ რამე? — გულშიამიტად განაგრძო კახთ ბატონმა. ახლა იგი აკვირდებოდა შაჰის ელჩს: „სჯერა ჩემი, თუ არა სჯერა?“ — უფრო არა.

— რამ შეემთხვათ? — ყრუდსიტყვაობდა ბირი-ბეი და ჯავრობდა უსაბუთობას. მართლაც, ასე ხელცარიელად, ციხა ბრალდებდა ხომ ვერ წაუყენებს კახთ ბატონს?

— მარცხი თან სდევდა შაჰინშაჰის ორივე ელჩობას. შეუფერხდათ კახეთს მოსვლა. მაგრამ მოგვეხსენებათ, მარცხი ისეთი სასწორია — ხან აქეთ დააჭარბებს, ხან იქით!

ალექსანდრემ კარგად გაარკვია ჩუმი მუქარით შეზავებული სიტყვა. იცის, ვისაც გულისხმობს „აქეთ და იქით...“ მაგრამ არ შეიფერა და ყოვლად აუღელვებლად შესთავაზა სტუმარს შარბათი.

„ფრიად ვნანობ, რომ ორთავ ელჩთა შეუფერხდათ გრემს ამოღწევა. დიდად დამავალებთ, თუ მათი ნახვისას ჩემს გულითად წუხილს გადასცემთ! — ფარულ მუქარას ფარულივე მუქარა დაახვედრე ალექსანდრემ. ხოლო იგი ისე ტკბილად იყო ნათქვამი და შარბათის თავებით შემტკიცებული, რომ ბირი-ბეიმ აღარ განაგრძო ჩუმი პაექრობა. რად სჭირდება ნემსიკავური ჩხვლეტა, როდესაც სამგერებელი „შუბი“ გააჩნია! შაჰინშაჰის ბოლო ბრძანება ასეთია: „ძველ ფირმანს წაუკითხავ — არ გადასცემ, ხოლო ახალი არ იქნება — სიტყვიერად მოთხოვ“.

ელჩ-სარდალი შინაგანად მომზადდა, გაგოროზდა, წამოიწია. გულის ჯიბიდან ბაღდადი ამოიღო და გაშალა. ნატიფი საღაფის კოლოფიდან მწყერის კვერცხის ოდენა აღ-

მასიანი ბეჭედი აჩვენა კახთ ბატონს.

— თქვენი ასულისთვის იყო ზრახული ნიშნად... ალექსანდრემ ხელები გაშალა, მხრები შეჰყარა.

— ამჟამად თქვენზევე არჩევანი... ძველი ფირმანი ძალაში აგრე რჩება — ვინმე თქვენი ახლო ნათესავი, ყოველად შესაფერისი, ღირსეული და შემკული უნდა ჰპოვოთ და შაჰინშაჰის სადღეოდლოდ ამავე ბეჭდით დანიშნოთ... მე ყველაფერი ვთქვი! კახეთის საზღვარზე დიდი ლაშქარი მელის და დაყოვნება, მოგეხსენებათ, შეუფერებელია! მით უფრო, რომ თქვენი ბრძულსურვილიც ამ დიდ დამოყვრებას, თქვენივე სიტყვით, ესწრაფება და ენმატკბილება! ახლა ელჩ-სარდალმა დაითათლა ენა და ბეჭედი კახთ ბატონს ხელისგულზე დაუგორა.

ცივად ბეჭედი ალექსანდრეს, მაგრამ ბეჭითად დახედა, ახლო მოსინჯა, მერე გაიშორა — ისე შეამოწმა აღმასის სხივთამაში. რაც უფრო დინჯად და ბეჭითად სინჯავდა ბეჭედს, მით უფრო შეძრულად უტრი-ალებდა შუბლის ძირში ფიქრი და ღარდი.

„ახლა კი ჩიხში ვარ... და არსაით ჩანს ამ ბეჭდის ოდენა სხივიც! საიდან უნდა გავუჩინო ჩემი ახლობელი, ყოვლად ღირსეული და შემკული?“ და მართლაც, ეს უკვე მიზეზის ძიებას უფრო ჰგავდა. და აკი კახეთის საზღვარზე „საძიებელი ლაშქარიც“ იდგა.


გაუგრძელდა ბეჭდის სინჯვა კახთ ბატონს. ვერ იქნა და ვერ გაართვა თავი აღმასის ნაყარ სხივებსა თუ ფიქრებს. ელჩი კი დუმდა, ტკბებოდა კახთ ბატონის მიერ „ბეჭდის ესოდენი ჭვერტით“, უფრო სანიშნოდ — ხელისგულებს ურთიერთს უსვამდა, მერმე შარბათი მოსვა, წამოსასხამის სახელოები ოდნავ შეიკაპიწა და ღურაჯი ჩქიფ-დანით ასოსო აქნა — აწიწვნა.

— დახ, ჩინებული ბეჭედი, — სული ღრმად ამოიღო კახთ ბატონმა, — ბედნიერია მისი მომრგები! — და ბეჭდის უკან დაბრუნება დააპირა, მაგრამ ბირი-ბეიმ აღარ მიიღო.

— სასახლეში საზეიმო დარბაზობისას... ან სახელს მაუწყებთ ბედნიერისას... ან ბეჭედს დამიბრუნებთ... და იგი ჩვენ უძლეველ შუბლებსა და დროშებს დაამშვენებს ალაზნის პირზე!

ელჩმა ხელები შეიწმინდა და ისევ მოსვა შარბათი:

— თქვენებურ ღურაჯს სწორედ ჩინებული გემო ჰქონია! ახლა კი ზეიმობდა ბირი-ბეი — თავაზშიაც აჯობა და სიტყვაც უფრო დაუხლართა კახეთის ამაყ პატრონს.



იმ დროს, როცა ქართულ პოეტურ პარნასზე ბობოქრობდნენ ვალაკტიონ ტაბიძე და გიორგი ლეონიძე, იოსებ გრიშაშვილი და სიმონ ჩიქოვანი, ალექსანდრე აბაშიძე და ალიო მირცხულავა, ირაკლი აბაშიძე და გრიგოლ აბაშიძე, როცა ხალხის გულში უფრო და უფრო ღრმად შედიოდნენ ადრე წასული ლადო ასათიანი და სხვა გამოჩენილი ოსტატები, მათ შორის ფრონტელი პოეტები, სამწერლო სარბიელზე გამოვიდა უნიჭიერესი პოეტი ქალი ანა კალანდიაძე.

ამ შესანიშნავი ოსტატების გვერდით ანა კალანდიაძე მკვეთრად გამოირჩეული ინტონაციითა და ხელწერით საპატიო ადგილი დაიჭირა ქართულ საბჭოთა პოეზიაში.

პოეტისთვის უცხო არასოდეს ყოფილა სამოქალაქო ჯღერადობის ლირიკა, არც თავისი შემოქმედებითი

გზის დასაწყისში, არც შემდეგ. ამაზე მეტყველებენ ლექსები „ლენინის ქული“, „საპირველმისო“, „ზოია კოსმოდეშინასკაიას“ და სხვები. იგი არასოდეს დაშორებია ქართული პოეზიის მაგისტრალურ ხაზს, რამაც გახადა მთელი ქართველი ხალხის საყვარელი პოეტი, მისი ფიქრებისა და გულისთქმის გამომხატველი.

დაბადების სამოცი წლის თავზე ანა კალანდიაძეს მიენიჭა უმაღლესი ეროვნული ჯილდო — რუსთაველის პრემია, რამაც უსაზღვროდ გააზარა მისი შემოქმედების თავყვანისმცემლები.

სულითა და გულით ვულოცავთ ძვირფას ანას სახელოვან იუბილეს და რუსთაველის პრემიის მიღებას, სულითა და გულით ვუსურვებთ მას მრავალ ახალ შემოქმედებით გამარჯვებას და დიდ ბედნიერებას.

## ლენინის ქული

მოსკოვში ინახება ფრანგების მიერ  
გამოგზავნილი ლენინის ქული.

აქ დიდხანს ვჩერდები... ამ ძვირფას საჩუქარს მტრისაგან ფარავდა მზრუნველი ხელი. ირხევა სარკმელთან ლამაზი არყის ხე, არყის ხე, ასე რომ უყვარდა ლენინს...  
სარკმლიდან მოსკოვის ცა მოჩანს უსაზღვრო, მოსკოვის უსაზღვრო ცა, ლილისფერი.  
მე ვფიქრობ ლენინზე და ასე მგონია, ხალხმრავალ დარბაზში მე ვუსმენ ლენინს. მორიგი საკითხი — მიწა და მშვიდობა, ომებით დაღლილი ხალხების ბედი...  
და ისმის დარბაზში: ჩვენ შენთან წამოვალთ, მშვიდობას დავიცავთ საკუთარ მკერდით! ყრილობამ დღეს ნახა ლენინი პირველად, ლენინი — აი, ის, იმედის შუქი...  
ლენინის ყველაფრის მხედველი თვალები, ლენინის მაღალი, ნათელი შუბლი...  
გაჭედებულ დარბაზში ხანგრძლივი ტაშია, ძახილი: „აი, ვინ, ვინ არის ჩვენი!“  
მე ვფიქრობ ლენინზე და ასე მგონია, მე ჰკვიან თვალებში ვუყურებ ლენინს. ამ ძვირფას საჩუქარს ფრანგები გზავნიან, ეს ქული ეხურა ვლადიმერ ლენინს...  
მე მესმის პარიზის ქუჩების ხმაური, მე მესმის ჩურჩული ნალვლიან სენის...  
და აი, პარიზის მუშათა უბანი, ქოხების შავი და დაბალი ჭერი, და... უმუშევართა ბრბო... მთელი არმია...  
ცა უღიმღამო და ცა ტყვიისფერი...  
ლენინის ქული... მას ჭერდაბალ ქოხებში მტრისაგან ფარავდა მზრუნველი ხელი.  
აქ, ასეთ ქოხებში, დღეს ფრანგი დოკერი რა ფრთხილად ფურცლავს და კითხულობს ლენინს! ის მუხლს არ მოიყრის დოლარის წინაშე, არასდროს მორჩილი და თავდახრილი...  
ფრანგები იბრძვიან მშვიდობის მხარეზე, ამაყი ქვეყანა რუქე დე ლილის.  
სარკმლიდან მოსკოვის ცა მოჩანს უსაზღვრო, მოსკოვის უსაზღვრო ცა, ლილისფერი.  
ირხევა სარკმელთან ლამაზი არყის ხე, არყის ხე, ასე რომ უყვარდა ლენინს.

1951

## მუჭამართული ყველას გულში დგახარ, ტანია

ზოია კოსმოდეშინასკაიას.

ცამდე ასული ძეგლი რად გინდა?  
სახელი ძღვევის მწვერვალებზე აგიტანია...  
ვერაგს რისხავდი სახრჩობელას ბნელ აღმართიდან...  
ცამდე ასული ძეგლი რად გინდა?  
ღრომად გარხვედა ქარი, ქალო, ალვისტანიანს.  
იგი მოვალ... ჭეშმარიტად, იგი მოვიდა,  
რომ დაეღეწა სისხლიანი ურდო მათი და  
ჩამოეხსენი სახრჩობელას შავ აღმართიდან.  
ცამდე მაღალი ძეგლი რად გინდა?  
მუჭამართული ყველას გულში დგახარ, ტანია!  
1946

## თქვი, ჭია-მარიავ

ვარდთ შემოუნახავთ წვეთები წვიმის,  
გზაც ნაწვიმარია...  
მე ვთბები მზეზე, ვით უდაბნოს მწირი,  
და ჭია მარიას  
უუმზერ ჩემს მუხლებზე დაჩოქილს მუხლებით,  
ყვავილის სადარს...  
რატომ არ დასველდი, თუ წვიმდა წუხელი,  
გეძინა სადა?  
თქვი, ჭია-მარიავ, სით მიგიხარია?  
თქვი, ჭია-მარიავ!

ვარდთ შემორჩენიათ წვეთები წვიმის,  
გზაც ნაწვიმარია...  
დავდივარ ბაღში, ვით უდაბნოს მწირი,  
და ჭია-მარია,  
ვინ იცის, სად არი?..

1945

## თუთა

ლამის სახლში შემოიჭრეს თუთა,  
ლამის თავზე გადამისვას ხელი.  
დამიძახებს, თვალს ჩამიკრავს მუღამ  
ხე მაღალი, ხე ზურმუხტისფერი.  
რა ჩურჩული ესმით ჩემთა ყურთა!  
რა ჩურჩული!.. დამლაგველი, მწველი.  
ლამის სახლში შემოვიდეს თუთა,  
ლამის წელზე შემომხვიოს ხელი.

1945



# შვილები

ნაბიჯი ნაბიჯს მიჰყვება,  
ვაშა ვაშამვე დაფარა.  
მწყობრად მოდიან მხედრები,  
სახეგამოღობი მზე ვით.  
მზე დროშებს მიესაფარა,  
ჩემი სამშობლოს ალაში  
ასწიეთ უფრო ზევით!  
კვამლია, განა ნისლია?  
ქვემეხებიდან ისვრიან,  
ქვემეხებიდან ისვრიან,  
ზედავ? მახათას მხრიდან.  
დროშა რაინდის სისხლია,  
მკლავზე რომ გადაიმსხვრია,  
ხმალზე რომ გადაიმსხვრია,  
შავისხელიანთა ძვლები.  
დღეს უცხო რამ მაისია,  
ყოველი ნამაისია...  
ჩვენია, აბა ვისია  
ვის ბუმბერაზი მთები?  
ვიპროდიო, რომ დღე სვალისა  
არ დაგვმწუხროდა ვეკვისფრად,  
დროშა გავეშალეთ ალისფრად,  
მკერდი ვუჩვენეთ ტყვიას.  
გვასრჩობდნენ, — არ ვისრჩობოდით,  
მშობლის ერთგულნი ვრჩებოდით...  
ჩვენ ვადენ და ჩვენ არ ვიწოდით,  
ჩვენ მტრის დახვედრა ვიცოდით.  
კომუნისტები ვეკვი!  
რკინის არწივთა სლებითა  
კავკასიონის მხრებიდან  
გმირმა დაჰყვილა დაწვიტა  
და მტერს დასჭყვილა უძღვს.  
მიწა ნაცრად ვერ აქციეს,  
ცა ვერ დაჰფერულეს ხანძრითა,  
ვამ გაუსხივა არწივებს,  
იციხარტყელა უხვს.  
დღეს უცხო რამ მაისია,  
ყოველი ნამაისია.  
ჩვენია, აბა ვისია  
კავკასიონის მთები?  
კვამლია, განა ნისლია?  
ქვემეხებიდან ისვრიან,  
გამარჯვებული მოდიან  
ომგადახდილი ძმები.

1946

## ყაყაროსა სინთილითა

ფრთავაშლილი მთები არი,  
სხივგაშლილი სერები.  
არ ჩურჩულებს ლელიანი,  
გული შეუჭერებია:  
აქ კორდია მობიბინე,  
იქ მზიანი ტევრებია;  
რად უსკდება გული ირემს?  
გელა ვადამტერებია.  
თეთრი ნისლი ნისლებს ირევს,  
ეს ხომ ლურჯა ცხენებია?  
მვიდი ზეცა გადირბინეს,  
არსად შეუსვენებიათ.  
ამ მშვენიერ მინდორ-ველზე  
რა ნაირი ფერებია?  
„ყაყაროსა სინთილითა  
ყანა დაუმშვენებია“.

1946



● გადასასვლელს იქით ლიკა იდგა, გადასასვლელს აქეთ — ნიკა. ლიკას დედისთვის ჩაეჭიდა ხელი, ნიკას — მამისთვის. ორივე მხარე მოუთმენლად ელოდა შეხვედრას. მშობლები ცალკე-ცალკე ცხოვრობდნენ და ორად გაყოფილი ოჯახი ყოველ კვირა დღეს უცვლიდა ერთმანეთს შვილებს.

აქეთ მამა ტუქსავდა შვილს, გაჩერდო, იქით დედა აწყნარებდა გოგონას, მოიცადეო... თვითონ იმათზე ძალიან უფანტკალედათ გულები, მაგრამ თითქოს ჯინაზე შუქნიშანი აღარ ინთებოდა. ბოლოს ვეღარ მოითმინა ლიკამ, — გამიკო, დაიძახა მტირალა ხმით და ხელიდან დაუსხლტა დედას.

— დედიკო, — ბანი მისცა ნიკამ და ისიც გამოენთო ჩამწკრივებული ავტომანქანების ცხვირებს შუა. ამასობაში შუქნიშანიც აინთო. მანქანები გაჩერდნენ. ჯერ ერთმანეთს გადაეხვია და-ძმა, მერე მშობლებს მივარდნენ. ლიკა მამამ აიტაცა ხელში, ნიკა დედამ ჩაიხუტა გულში. ხელის დაქნევალა მოასწრეს, მშობლებმა ცალკე-ცალკე გაარბენინეს შვილები.

ლიკა ძმასთან შედარებით ტიტინა და მხიარული გოგოა. ამიტომ მამას მასთან ყოფნა არ უძნელდება. შეისვამს ხოლმე მხარზე და ისე მიჰყავს. ნიკა კი უფრო ჩუმი ბიჭია. დაზე ორი წლით არის უფროსი. თავიც დინჯად და დარბაისლურად უჭირავს. ახლაც თავჩაღუნული, უხალისოდ აედევნა დედას. დედა წარამარა აჩერებდა და კოცნიდა. ბიჭსაც უნდოდა კოცნით ეპასუხნა, მაგრამ ტუჩები უხვედებოდა და გულზე მძიმე რაღაცა აწვებოდა... შეეშინდა, დედამ არ შემამჩნიოსო და მაგრად მოხვია კისერზე ხელები, ზედ მიეკრა, დიდხანს იდგნენ ესე ჩახუტებულები, ბოლოს დედამ ცხვირსახოცით დაწვები შეიმშრალა, ცოტათი დამშვიდდა და ჰკითხა, — მამა ხომ არ გაჯავრებს-ხოლმე?

— არა, — ღიმილით გააქნია თავი ბიჭმა.

— საბავშვო ბაღში ბებიას მიჰყევხარ, თუ მამას?  
— მამას, — კვლავ გაელიმა ნიკას.  
— მოგწონს მათთან ცხოვრება? თუ ჩემთან დარჩები? — ხმა აუთრთოლდა დედას.  
— მერე ლიკა? — სუნთქვა შეეკრა მოულოდნელობისგან ბიჭს.  
— ორივე ჩემთან იყავით.  
— მერე მამა?  
ამაზე ვერაფერი უბასუხა დედამ, ამოიხარა და ისევ აკოცა. ვიდრე ესენი აქ ბაასობდნენ, ლიკამ და მამამ უკვე მოასწრეს ზოოპარკის შემოვლა. ახლა ხეივანში, გაშლილ კაფეში ისხდნენ და ნაყინს მიირთმევდნენ.  
— დედა სამსახურში რომ მიდის, ვისთან გტოვებს ხოლმე? — სხვათაშორის შეაპარა მამამ.  
— ციცი დედასთან, — არ დაიბნა ლიკა.  
— მოგწონს მასთან ყოფნა? როცა მარტონი ვართ, კი მაშინ ზღაპრებსაც მიაბობს, გამოცანებსაც ვიგონებთ.  
გოგონამ მხიარულად შემოჰკრა ტაში, — აი, მომისმინე, ეს გამოცანა მე გამოვიგონე... მამა ყურადღებით მიაჩერდა.  
— გისმენ.  
— ყველაზე მოჩხუბარი, ყველაზე მხიარული, ყველაზე კაპასი და ყველაზე ლამაზი, ვინ არის?  
მამა თითქოს მიხვდა, მაგრამ მაინც თავი მოიკატუნა.  
— ძნელი რამეა.  
ლიკამ მხიარულად აათამაშა ფეხები.  
— მართლა ვერ გამოიცანი? კარგად დაფიქრდი.  
— დაფიქრდი.  
— ჩემი დედიკოა, — უთხრა და გაფაციცებით შეანათა თვალები. მამამ მხერა აარიდა, გაწითლდა და გვერდზე დაიწყო ყურება. ლიკა არ მოეშვა, ნიკაზე ხელი მოჰკიდა და თავისკენ შემობრუნდა.  
— ჩემი დედიკოა, — გაიმეორა კიდევ ერთხელ. მამას სხვა გზა არ ჰქონდა.  
— ჰო, სწორედ ესეთია, — ჩაიბურტყუნა და სიტყვა ბანზე აუგდო, — მერე რატომ

აღარ მოგწონს ხოლმე ციცი დედასთან ყოფნა.  
— მერე ამხანაგები მოდიან, თან ჩაის მიირთმევენ, თან საუბრობენ. მე დამაჭერინებენ ხოლმე ფანქარს ხელში და დახატეო მეუბნებიან. ვხატავ, ვხატავ, მაგრამ მალე მბერდება, მე იმათთვის ყურის გდება მორჩენია, ისინი კიდევ მაინც მეუბნებიან დახატეო, — წყენით დააბოლოვა გოგონამ.  
მამამ ცოტა ხანს იყუჩა, მერე ისეთი გულიანი სიცილი აუვარდა, რომ ლიკასაც გადაედო.  
ისხდნენ ორივენი და სიცილით კვდებოდნენ. ამ მხიარულებაში დრო ხელში შემოაღნათ, ამინდიც შეიკვალა. ფიჭრის გორადან ქარმა დაუბერა და ჭადრისა და ნაძვის ტოტები ერთმანეთში აათამაშა. წამოდგა მამა, ლიკაც წამოაყენა. წასვლა დააპირეს, მაგრამ ვერ მოასწრეს, გაიხედეს და დედა და ნიკა დაინახეს. გამალებით მოიჩქაროდნენ ზევიდან.  
ჩიტავით შეფრთხი ალ და ლიკა, ისკუბა და მათკენ გაექანა. დის დანახვა ნიკასაც გაუხარდა, გაუბრწყინდა თვალები, ჩაჭიდა ხელი და მაშინვე მიიმუხების ვალიისკენ გაარბენინა. დარჩნენ მშობლები მარტოდმარტო. ვეღარ აიტანეს უბრად დგომა, დედა შვილებს გაეკიდა, მამა მიტრიალდა და თავქვე დაეშვა. ბავშვებმა რომ მოიხედეს და მამა ვეღარ დაინახეს, გაშრნენ. უნუგემოდ მიაჩერდნენ დედას. დედამ ვერაფერი მოახერხა. ცოტა ხანს შეწუხებით, დამნაშავესავით იდგა, მერე მკლავები გაშალა და მხიარულად დაიძახა,  
— ვისაც დედა უნდა ჩემსკენ გამოიქცეს, ვისაც მამა, ისიც ჩემსკენ!..  
არც ერთი არ განძრეულა. სადღაც, ქვევით იყურებოდნენ ორივენი დაქინებით. დედა ისევ ხელგაშლილი, ღიმილმეყინული იცდიდა. ქარი ურბენდა გარშემო და თმაზე აყრიდა ხეებიდან ჩამოცვენილ, ფერმეცვლილ ფოთლებს.

# ხელოვნება კვლევა

თამაზ ჯანელიძე,

გეოლოგიურ-მინერალოგიურ მეცნიერებათა  
დოქტორი, ა. თვალჯრალიძის სახელობის  
კავკასიის მინერალური ინსტიტუტის  
დირექტორი.



ეროვნული  
გიგლირთქვა

აკადემიკოსი გიორგი ძოწენიძე.

აკადემიკოსი გიორგი ძოწენიძე ეკუთვნის ქართველ მოღვაწეთა იმ პლედას, რომელთა ზრუნვის საგანს შეადგენდა საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა მხარე. მისი მოღვაწეობა მრავალმხრივი და მრავალფეროვანი იყო. მიუხედავად იმისა, რომ სიცოცხლის ბოლო ოცი წლის მანძილზე მას ეკავა დიდი სახელმწიფოებრივი პოსტი, გახლდათ საქართველოს უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე, იგი დარჩა უბრალო, კეთილ და გულისხმიერ ადამიანად, ვისთანაც ყველას მიესვლება ბოლა გასაჭირის ყამს.

გიორგი ძოწენიძის პირველი მასწავლებლები იყვნენ ქართული გეოლოგიური სკოლის დამაარსებლები: ა. ჯანელიძე, ა. თვალჯრალიძე, კ. გაბუნია. მან, ამ დიდი მასწავლებლების სხვა მოწაფეებთან ერთად, შორს გაუთქვა სახელი ქართულ გეოლოგიას. ერთი განსაკუთრებული თავისებურება ახასიათებდა ბატონ გიორგის, მისი კვლევები ღრმა მეცნიერული ანალიზისა და განზოგადებათა გარდა, რისი უბადლო ოსტატიც იგი გახლდათ, ყოველთვის მიმართული იყო პრაქტიკული ამოცანების გადაწყვეტისაკენ. თავისი მოღვაწეობის პირველ წლებში იგი სათავეში ედგა სავსე გეოლოგიურ პარტიებს, რომლებიც ეძებდნენ სხვადასხვა სასარგებლო წიაღისეულის საბადოებს, რათა ჩაეყენებინათ ისინი ჩვენი აღმავალი მრეწველობის სამსახურში.

1938 წელს გიორგი ძოწენიძემ წარმატებით დაიცვა საკანდიდატო, ხოლო 1947 წელს სადოქტორო დისერტაცია: „მიოცენამდელი ეფუზიური ვულკანიზმი საქართველოში“, რომელიც აღინიშნა სსრ კავშირის სახელ-

მწიფო პრემიით. მან დიდი როლი შეასრულა საბჭოთა პეტროლოგიური მეცნიერების განვითარებაში.

უადგილო არ იქნება, თუ იმასაც ვიტყვით, რომ ორივე დისერტაცია, დაცული 30-40 წლის წინათ, პასუხობს გაზრდილ და გამკაცრებულ მოთხოვნებს, რომლებსაც დღეს ასეთი ხასიათის ნაშრომებს უყენებენ. 1955 წელს გ. ძოწენიძე აირჩიეს საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის, ხოლო 1968 წელს საკავშირო მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილ წევრად.

თუკი აღრე გ. ძოწენიძის მეცნიერულ ინტერესებს შეადგენდა ლითოლოგია, პეტროგრაფია, ორმოციანი წლებიდან იგი აქტიურად ჰკიდებს ხელს ვულკანური ქანების შესწავლას, რომლებიც ფართოდაა ვაერცლებული საქართველოსა და კავკასიაში. მან ერთ-ერთმა პირველმა (1957) მიაქცია ყურადღება იმ გარემოებას, რომ ვულკანიზმთან ხშირ შემთხვევაში დაკავშირებულია მადანწარმოშობა. ამ იდეამ ფართო გამოხმაურება ჰპოვა; გამოქვეყნდა მრავალი მეცნიერული ნაშრომი ამის თაობაზე, მათ შორის გ. ძოწენიძის ორი წიგნი „ვულკანიზმის გავლენა ნალექთა წარმოშობაზე“ და „ვულკანიზმის როლი ქანების და მადნების წარმოშობაში.“ სწორედ ამ საკითხების მეცნიერულად დამუშავებისათვის მას აკადემიკოს ვ. სმირონოვთან და პროფესორ ვ. კოტლიართან ერთად 1972 წელს მიეკუთვნა ლენინური პრემია.

სხვა სწავლულებთან ერთად გ. ძოწენიძემ ჩამოაყალიბა გეოლოგიურ მეცნიერებათა ისე-

თი დარგი, როგორცაა, პალეოგეოლოგიური მეცნიერებათა აკადემიის გეოლოგიურ ინსტიტუტში პირველად შეიქმნა (1959) პალეოგეოლოგიური განყოფილება. დღეს თითქმის ყველა სოლიდურ გეოლოგიურ ინსტიტუტში ასეთი ლაბორატორიები თუ განყოფილებები არსებობენ და დიდ საქმესაც ემსახურებიან.

სწორედ გ. ძოწენიძის ხელმძღვანელობით აიდგეს ფენი დღეს უკვე ცნობილმა მეცნიერებმა — პალეოგეოლოგიურმა, გ. ნადარეიშვილმა, მ. ტატიშვილმა, მ. ლორთქიფანიძემ, ვ. გუგუშვილმა, ა. ყანჩაველმა, გ. მიქაძემ და სხვ. რომლებმაც შეადგინეს ქართულ პალეოგეოლოგიურ პირველი ბირთვი.

ბატონი გიორგი დიდ ყურადღებას უთმობდა თავისი მოწაფეების მეცნიერულ ზრდას. ამ საქმეში იგი მეტად მკაცრი და მომთხოვნი იყო. მიუხედავად დიდი დატვირთვისა, თვეში ორჯერ მაინც მოდიოდა ინსტიტუტში, შეკრებდა თავის მოწაფეებს და ყველას ჩაძიებით გამოკითხავდა, ვინ რა წაიკითხა, რა გააკეთა, აქვს თუ არა ახალი რამ საინტერესო და სხვა, ყოველივე ამას იგი დიდი რუდუნებით აკეთებდა და არავის ეპუებოდა. ხშირად ეს ხდებოდა ინსტიტუტის ხელმძღვანელების თანდასწრებით (აქაო და ბატონი გიორგი მობრძანდო და ყველანი შემოლაგდებოდნენ ჩვენს პატარა ოთახში). იქ ბატონი გიორგის სამუშაო მაგიდაც იდგა, რომლის უჯრები გატენილი გვექონდა ჭადრაკის ატრიბუტებით — დაფა, ფიგურები, საათი, „საბუთები“. (ეს იყო ხელწერილები ვინ მოიგო და ვინ წააგო, ანგარიშები მოქიშპეთა შორის და სხვა). მოგეხსენებათ ინსტი-

ტუტში იმ დროს და ვგონებ ახლაც შესვენების დროს გატაცებულნი არიან ჭადრაკით, ე. წ. ბლიც-ტურნირებით.

ჰოდა, ერთხელ ბატონი გიორგი მობრძანდა, ჩაიცვა ლუჯდა თავის მაგიდას. იგი ფაქიზი კაცი იყო და მოეჩვენა, რომ მაგიდა თითქოს დამტვერილი იყო; არ კი შეიმჩნია, მაგრამ გამოალო შუა უჯრა, ამოიღო იქიდან რაღაც ფურცელი და დაიღო იდაყვის ქვეშ. მე და გურამ ნადარეიშვილს გულუბი გაგვისკდა, რადგან იმ ფურცელზე იყო ჩვენი ბლიც-ტურნირის ანგარიში 1238:1235-ზე ჩემს სასარგებლოდ (გურამი საწინააღმდეგოს ამტკიცებს).

საბედნიეროდ ბატონ გიორგის „არაფერი შეუმჩნევია“ და გაგრძელდა ჩვენი საუბარი, ჩვენც სული ამოვიტყვით და ენთუზიაზმით შევუდექით მტკიცებას და კამათს ჩვენს გეოლოგიურ საკითხებზე. საუბარი დამთავრდა, ბატონი გიორგი ადგა, გამოგვემშვიდობა და როცა გააღწია ბოლო ოთახს (ჩვენ სამი ერთმანეთში გასასვლელი ოთახი გვექონდა, გაცილების უფლებას არ გვაძლევდა), მოტრიალდა და გვითხრა: — კი მარა, ანგარიში მაინც ვის სასარგებლოდ არის, ვერ გავარჩევ. ჩვენ გაქვავებულები და პირშერცხვენილები ვიდექით და ხმა ვეღარ ამოვიღეთ.

მაგონდება მეორე შემთხვევა: მორიგი „დაკითხვის“ დროს ბატონი გიორგი უგუნებოდ ბრძანდებოდა და განსაკუთრებული სიმკაცრით შეუდგა ჩვენთან საუბარს; მე თავს ცოტა არხეინად ვგრძნობდი,

რადგან „დაკითხვა“ მეორე მხრიდან დაიწყო და ბოლომდე გასვლამდის, ვიცოდი, მოლბებოდა. პოდა პირველი ალექო ყაჩაველი ააყენა ფეხზე და ჰკითხა:

— სად მუშაობ ახლა შენ?

— შრომაში! — იყო პასუხი.

— პოდა რა ხდება შრომაში? — შეუტია ბატონმა გიორგიმ.

— შრომაში, — ამოდერდა ალექომ, — შრომა... შრომა... შრომა... — ალექო ხმას ველარ იღებს, არა და იგი შრომის მიდამოების და იქაური ვულკანიტების დიდი მცოდნეა, მაგრამ შიშმა აიტანა. გან-

რისხდა ბატონი გიორგი და ალექოს მიუგო:

— დაჯექი, დაჯექი! ახლა შემდეგის ჯერია, ეს განსაზღვრავს გივი მიქაძე და ვიდრე მას ააყენებდნენ, თვითონ წამოხტა, გადავიდა შეტევაზე:

— ბატონო გიორგი, თათუნა როგორ არის, — იკითხა; თათუნა ბატონი გიორგის უფროსი შვილიშვილი იყო, შეუძლოდ შექმნილა და ამით გივიმ „მზაკვრულად“ ისარგებლა. თათუნა როგორ არისო, და გადაერთო ბატონი გიორგი თათუნას ავადმყოფობის მოყოლაზე (ახლა თამარი დარბაისელი ქალია, ორი შვილის დედა), გივი კი ფეხზე დგას და იესო ქრისტეს სახით თვლებში შესცქერის ბატონ გი-

ორგის. როდესაც თათუნაზე ლაპარაკი მოთავდა, გივი კვლავ ფეხზე იდგა და ბატონმა გიორგიმ ჩათვალა, რომ გივიმ მას უკვე უპასუხა და უგულოდ მიუგო: დაჯექი, დაჯექიო. „დაკითხვის“ შემდეგმა სერიამ იოლად ჩაიარა.

ასე გადაგვარჩინა გივი მიქაძემ ყველანი.

ერთი საგულისხმო ჩვეულება, რომელიც ბატონ გიორგის ახასიათებდა. მიუხედავად დიდი დატვირთვისა და დაკავებულობისა, თუკი ვინმე მას მიმართავდა თხოვნით, ტელეფონით, ან პირადად, იგი აუცილებლად მონახავდა და დროს, სპეციალურად მოვიდოდა ინსტიტუტში ან თავის-

თან მიიწვევდა და ამომწურავ პასუხს თუ რჩევა-დარიგებას მისცემდა.

გიორგი ძოწენიძისადმი მიძღვნილ აკადემიურ კითხვებზე, რეგულარულად რომ იმართება მოსკოვსა და თბილისში, ა. წ. თებერვალში სიტყვით გამოსულმა უზუცესმა ქართველმა გეოლოგმა გიორგი ტოგონიძემ ბრძანა: „ზოგი კაცი ცოცხალიც მკვდარია და ზოგი მკვდარიც ცოცხალია“. ბატონი გიორგის საქმე, მისი იდეები, მისი მეცნიერული შემკვიდრება ცოცხალია, იგი დღეს ხელთ უპყრიათ მის მრავალრიცხოვან მოწაფეებს და იღვწიან ჩვენი ქვეყნის საკეთილდღეოდ.

## ნათელი კახი

ოციანი წლების საქართველო, ბობოქარი ლიტერატურული ცხოვრება, პოეზიით სავსე თბილისი — ცისფერყან-წელთა საოცარი ღამეები, გალაკტიონის სიდიადე, ტერენტი გრანელის სიზმარეული არსებობა, განახლების მძლავრი ქარიშხალი...

ოცდაათიან-ორმოციან და შემდგომი წლების თაობებს ყოველთვის უჩვეულოდ, ფანტასტიკურ ბურუსში წარმოვიდგინებია ეს მართლაცდა ზოპარული ეპოქა. წლების მანძილზე მოწიწებით, მოკრძალებით ვაკვირდებით იმ ადამიანებს, რომელთაც თავის თვალთ უხილავთ მაშინდელი გოლოგინსკი და ზემელი, ვერა და მთაწმინდა...

სწორედ ასეთი გრძნობა დამეუფლა ამ ოციოდე წლის წინ, როცა გამომცემლობა „ნაკადულში“ პირველად ვნახე გენო ქელბაქიანი. ძალიან ჩვეულებრივ, უბრალოდ შემოვიდა ტანმოორჩილი, ფერმკრთალი კაცი. ლაპარაკობდა ისე, როგორც ყველა, ილიმბოდა ისე, როგორც ყველა. მე კი მაინცდამაინც არაჩვეულებრივს ვეძებდი.

ახლა, როცა ხელმოვრედ გადავიკითხე მისი ტერენტი გრანელისადმი მიძღვნილი მოგონება, აშკარად დავინახე: მართლაცდა ბევრი, ძალიან ბევრი საინტერესო მოვლენის მოწმე გამხდარა მაშინ სრულიად ახალგაზრდა გენო ქელბაქიანი

და იმ დღეების უშუალოდ იყო სწორედ მთელი ცხოვრება რომ ანათებდა ამ ჩუმ მოღვაწეს, სიკეთის მარაგი უხვად რომ დააბერტყა ბუნებაში...

„ის მხოლოდ პოეზიით ცოცხლობდა“ — ასე ჰქვია ამ მოგონებას, რომელშიც დახატულია ტერენტი გრანელი მთელი თავისი ნიჭითა და ადამიანური თვისებებით. ავტორი მაშინ ჯერ კიდევ მოწაფე იყო, ოთხად გაკეცილი ერთადერთი მანეთიანი დაუფიქრებლად, გულწრფელად რომ გაუწოდა პოეტს, მაგრამ ტერენტი გრანელი რა ტერენტი გრანელი იქნებოდა, მაშინვე რომ არ მიმხვდარიყო — თავად ულუქმაპუროდ რჩებოდა ის პატარა ბიჭი... მერე დამეგობრდნენ. როცა ბოლომდე იტყვის გენო ქელბაქიანი თავის უცნაურ მეგობარზე სათქმელს და წერტილს დასვა, მკითხველს ისეთი შთაბეჭდილება რჩება, თვით გული, ტკივილით სავსე გული დაუტოვა მას ავტორმა და გაუჩინარდა... მერე თვითონაც ასეთივე ტკივილს უჩენს დიდი სიცოცხლის ტრაგიკული დასასრული.

ჩვიდმეტი წლისა იყო გენო ქელბაქიანი, რომ ქართულ პრესაში უკვე იბეჭდებოდა მისი წერილები. გაზეთ „მუშისა“ და „კოლექტივიზაციის“ რედაქციებში ხომ ბევრი საფეხური გაიარა, როგორც თანამშრომელმა.

გენო ქელბაქიანი მრავალმხრივი მოღვაწე იყო: საინტერესო ჟურნალისტი, ნიჭიერი იუმორისტი, პუბლიცისტი, დრამატურგი. ცხოვრებამ ბევრი გამოცდილება მისცა. ისიც ცდილობდა, სხვადასხვა ყანრის ნაწარმოებით ხალხისთვისე დაებრუნებინა ყოველივე. მას ჭეშმარიტ ადამიანებზე უყვარდა წერა. მათზე, ვინც სამშობლოს, ხალხის სამსახურს ანაცვალა ყველაფერი. ვინც გენო ქელბაქიანის ჟურნალისტ გრიგოლ ქადაგიძეზე დაწერილ ნარკვევს წაიკითხავს, კარგად ჩასწვდება ავტორის შინაგან არსს.

თვალს არ ხუჭავდა ცხოვრებისეულ სიმანხიჯეებზე. მწარეა ის ცრემლი, რომელიც მწერალს თითქოსდა სიცილისაგან მოსდიოდა, როცა წერდა შვილის ცუდად აღმზრდელ მშობელზე, ბიუროკრატ თანამდებობის პირსა თუ სხვა მტკივნეულ მოვლენაზე. მისი მწერლური თვალი ყველაფერს ხედავდა და ამჩნევდა.

... და მაინც ყველაზე დიდი აღიარება მას ხვდა, როგორც დრამატურგს. გენო ქელბაქიანის ერთ-ერთი საინტერესო პიესა „ახალგაზრდა მასწავლებელი“ წარმატებით იდგმებოდა რუსთაველის სახელმწიფო თეატრში. შემდეგ იგი რეპერტუარში შეიტანა რესპუბლიკის მრავალმა თეატრმა და ბოლოს მოსკოვის პუშკინის სახელობის თეატრშიც დიდი

მოწონებით შეხვდა მაყურებელი. მას კარგი შეფასება მისცა გაზეთმა „პრავდამ“.

ასევე საინტერესოა გენო ქელბაქიანის პიესა „სახელმწიფო გამოცდები“, რომელიც მიეძღვნა საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების 50 წლისთავს.

რაზედაც არ უნდა წერდეს დრამატურგი—ახალგაზრდობის თემაზე, ისტორიულ წარსულსა თუ სხვა მნიშვნელოვან მოვლენაზე, მისი საზომი ყოველთვის კეთილი გული და დიდი მოქალაქეობრივი სინდისია, რაც ასე საინტერესოს ხდის მის შემოქმედებას.

მკითხველმა შეიყვარა გენო ქელბაქიანის პიესები: „ხმა გულისა“, „შესაფერი ჯიღო“, „დედინაცვალი“, „თქმულება დიად მეგობრობაზე“...

საოცარი კანონები აქვს ცხოვრებას. დრო იცვლება, მიდიან და მოდიან თაობები. ზოგი ქუსს, ზოგი უხმაუროდ ეწევა თავის ადამიანურ ჭაპანს, უპრეტენზიოდ ემსახურება დიდ საქმეს და ამაში პოულობს სულის სიმშვიდეს. ხალხს კი არაფერი ეკარგება. ადამიანთა გულებისაკენ გაჭრილი თუნდაც მცირე ბილიკი მომავლის შარავზაზე გადის. თუ ასეა, მაშინ გენო ქელბაქიანის სახელიც უთუოდ დარჩება შთამომავლობას.

ნათელა გიორგოზიანი

# სინთუ

(ნაწყვეტი)

ზარიგოლ ჩიქოვანის ლაგაღებიდან 75 წელი უცვლელად აღინიშნება. რიგობრივად დაკავშირებით ვაჟი ჩიქოვანი მოთხრობიდან „სინთუ“, რომელიც საუბრობდა არის დახატული ძალის ამაღლებული, ყოველწლივით ზრდა — სიზარბული.

სინთუ კარის ჩარჩოს მიყვარდნო შიშველი მხრით. ჩონთი აღარ ჩანდა ეზოში, აღარც მისი ხმალი და შუბი ეკიდა აივნის სვეტზე. წელან დაინახა, როგორ ჩამოხსნა ისინი ჩონთიმ, აივნისგან ვაიდა და ბილიკს დაადგა, სინთუ ჭუჭრუტანიდან ვაპყურებდა. ერთხელაც არ მოიხედა ჩონთიმ. „რად გამობრახდი, წიე! რა ვქნა, თვალს ვერ ავუბამ ბატონკაცს!... მოინალე ვარ მისი... რამ დამბორკა! უნდა ვავდევნებოდი... გამობრახდა ჩონთი, მაგრამ ჭიშკრამდე არ მიჰყვება ბრაზი.. ვიცი მისი გულის ამბავი, ჭიშკრამდე არ მიჰყვება ბრაზი!“

სინთუ თვალმოუშორებლად გასცქეროდა ბილიკს. ბილიკი შორს, შორს იკარგებოდა ხვატისაგან გადარუჯული უკიდევანო ეზოში. ჩონთი აღარ ადგა ბილიკს. სიცხისაგან მოწყურული დიდი თვლები მაინც ხედავდნენ მას. ჩონთი ცხენოსნის დიდი, გრძელი ნაბიჯით მიდის, მოკლე ჩოხა და მაღალყელიანი პაჭიჭები აცვია. სიგრძეზე დაკეცილი, განუყრელი ნაბაი მხარზე ადევს. გრძელი, ფართობიანი სატყვარი და ხმალი ჰკიდია წელზე. შუბი ხელით მიაქვს. ხვატი თრთის და ლივლივებს. ქალი და კაცი ჩრდილსა და გრილს შეჰფარვია. ჩრდილში ჰყრია პირუტყვი და ფრინველი.

ჩონთი რა ხანია ვაიდა ჭიშკარში. მაგრამ ბელლიდან, მარნიდან, სახაზობიდან, საჯინიბოდან, ბოსტნიდან, ვენახიდან მაინც გასცქერია ბილიკს — გაჰყვება თუ არა სინთუ ჩონთის. და რა დაინახეს ზღურბლს მომდგარი ქალი, ყველამ მისი იბრუნა პირი.

„უნდა ვავდევნებოდი, რა ეშმაკმა დამბორკა!.. ხომ იცის, ბრალი არ მიმიძღვის. თვალს ვერ ავუბამ ბატონკაცს!.. უნდა მივუსწრო. არხაყანის კარავთან იყრის ჯარი თავს... რად გამიწყვიტე, წიე!“

ფეხი ასწია, კაბა მუხლის თავზე აუცურდა, გადაბიჯამალა ზღურბლს და ბილიკზე ვაიდა. „ისე წავიდა, ერთხელაც არ მოიხედა!“ ლამაზად უჭირავს მხრები, მიარხევს თანამსავეთ მოქნილ წელს და საესე თეძობს.

ასი თვალი უყურებს ბელლიდან, მარნიდან, სახაზობიდან, საჯინიბოდან, ბოსტნიდან, ვენახიდან... გაუსწორდა შუა ეზოში მდგარ დობორეს, ხასხასა კრამიტით დახურულს, კაკლების ჩრდილით დაბინდულს. მალულად ახედა ბატონკაც სესირყვა ლიპარტიანის ოთახის სარკმელს. ბატონკაცი ჯერ კიდევ დილით წავიდა ლაშქრის დასახედად. მძიმე ფარდა ჩამოშვებული მის სარკმელზე... „ახლაც ჩონთი მიჰყავს ბატონკაცს პირველ მხლებლად!“

მიიჩქარის სინთუ. ასი თვალი რომ არ უყურებდეს, გაიქცეოდა. უყურონ, რაც უნდა, ის იფიქრონ. გაიქცა, გავარდა ჭიშკარში, გაქუსლა არხაყანის კარვისკენ.

ბიჭებმა აღტაცებით გადახედეს ერთმანეთს, კაცებმა უღვაწე გადაისვეს ხელი, ბებრებმა ჩაილიმეს, ქალებმა შურით ამოიხრეს.

პაპანება გაჯიქდა, ჰაერი გასქელდა. ცა გახურებული კეცივით ვარვარებდა. სინთუმ ტეხურთან მიიბრინა. მდინარე დასიცხული ცხენებით იყო სავსე. მოწამლულებივით იდგნენ წყალში ყურბჩამოყრილები. სინთუმ ვალმა გაიხედა. შორს, ჭალაზე, არხაყანის კარვის წინ, ჭადართა ჩრდილში ხვატის ლულით ვათანგული ჯარი ეყარა. „იქა ჩონთი!“ — თვალწინ ედგა ჩონთის კუშტი სახე. „მხოლოდ ვავდომებ ბატონკაცს!“ სული მისდიოდა ენახა ჩონთი. „რა მექნა, მოინალე ვარ მისი!“

წყალში გადაეშვა. ნიადაგცივი ტეხური ფსკერზედაც თბილი იყო. გასცურა ნაპირზე და კარვისკენ გაიქცა. მიბრუნდა გახურებულ, დამსკდარ მიწაზე. დაინახეს ჭადრებიდან, ვილაც წამოდგა და თვალი მოიჩრდილა.

— ჩონთი! — იცნო შორიდან სინთუმ, მაგრამ უცებ შედგა.

ხვატისაგან ვაიებული, ფართოდ ვაშლილი რემა მოჭკროდა მისკენ. ამოჭრნენ ჭალაზე, ტეხურში მდგარი ცხენებიც. ავარდა ბული. რემა სინთუსკენ მოგელავდა. ვერც გადაუსწრებდა და ვერც უკან გაქცევით ვაეცლებოდა. შებრუნდა, ზურგი აქცია ცხენებს.

გაიქცა წინ, როგორც ქარისაგან გატაცებული. უკან არ იხედებოდა, რათა არ დაენახა რა ელვისებური სისწრაფით ეწეოდა სიკვდილი, მაგრამ ფლოქვების თქარუნისა და ხენემა-ჭიხვინის სიახლოვით გრძობდა — კიდევ რამდენიმე ნაბიჯი — და გადათელავდნენ.

უცებ ვილაცამ მსუბუქად აიტაცა მიწიდან.

— სინთუ! — ჩაესმა ყურში და მამაკაცის ლონიერმა ხელმა ცხენზე შემოსია. უმალ მოიჭრა რემა და ნაფორტივით გაიტაცა ჩონთის ცხენი. — გადარეულო!

— გგონია შემეშინდა? — გაუცინა ისე მშვიდად, თითქოს არაფერი მომხდარიყოს, თითქოს ესაა, არ გამოეტაცათ სიკვდილისგან. თავი მიაბრუნა ჩონთისკენ და თვალი შეანათა.

— ქაჯო! — აღარ მიწყობები? — მოხვია კისერზე მკლავი. — ცხენებს რომ ვავექმლე, ვის ვაუწყებოდი? არ გეყოლებოდა სინთუ!

— გაჩუმდი! — ჩონთი ცდილობდა, გასლტომოდა ცხენებს, რომელთა ტალა ყოველი მხრიდან ასკდებოდა მის ცხენს. ცალი ხელით ლაგამი ეჭირა, ცალით — სინთუს მხურვალე ტანი.

— მითხარი, ვის ვაუწყებოდი, წიე! ვაშალე შუბლი, თორემ ვაგექცევი, — უთხრა, გადახედა ცხენებს, ერთ-ერთ შავ ფაშატს, რომელიც ის იყო უსწრებდა ჩონთის ცხენს, ფაფარში სტაცა ხელი და ზურგზე მოაფრინდა — ვაგექცი!

— სინთუ! — შესძახა ჩონთიმ.

— სინთუს არ ეშინია, წიე! — წელს ზევით მთელი ტანით მიტრიალდა ჩონთისკენ, გაუცინა, — შენს გარდა არავისი ეშინია!

ჩონთი ერთი იმ ჭაბუკთაგანი იყო, რომლებიც გარეგნულად თითქმის არ ამჟღავნებენ თავის გრძობებს, ცოტას ლაპარაკობენ, ბევრს ფიქრობენ, არ ერიდებიან ხიფათს, არიან ფიცხნი და გულლია, მაგრამ თავშეკავებულნი.

სინთუმ იცოდა, შეუძლებელი იყო ჩონთის წონასწორობიდან გამოყვანა, ამიტომ არ-

ად მიაჩნდა საფრთხე. ქაჯივით მოველებოდა ვაველურებულ ურას და ცხენის თავაწყვეტილ ქროლვას მინდობილს ეშმაკი ვერ ააგლეჯდა მის ზურგს. მერე ხის ტოტს სტაცებდა ხელს. ცხენი გამოეცლებოდა და ხეზე დაკიდებული იქნევიდა ფეხებს, ირწეოდა და ღიმილით გასცქეროდა, როგორ განგრძობდა დაფეთებული პირუტყვი თარემს. ან გაჭენებულიდან გადმოხტებოდა ერთი-ორჯერ ყირას გადავიდოდა და ფეხგაშლილი დაჯდებოდა კმაყოფილი, ჟინდაოკებული.

ყოველივე ამას მშვიდად და აულელვებლად უყურებდა ჩონთი, დარწმუნებული იყო, სინთუს ისეთი ჯადო ჰქონდა, რომელიც მას ყოველგვარი ხიფათისაგან იცავდა.

სინთუს უნდოდა ერთხელ მაინც შეეკრთო, შეეშოთებინა, და, რომ ვერ ახერხებდა, სიმწრისაგან ცრემლით ევსებოდა თვალი, მაგრამ ცრემლს ძე-ხორციელს არ უჩვენებდა.

ახლაც ასეთი ჟინით ატაცებული მართლაც ქაჯს ჰვავდა. მიჰქროდა ცხენის ფაფარს ჩაფრენილი, თმის ფრიალით, შიშველი წვივებით მის მუცელს შემოსალტული, მის კისრამდე დახრილი, ყურში ჩასწიოდა ისედაც გადარეულ ფაშატს. არაფრად ავდებდა, სხვა ცხენები აქეთ-იქიდან რომ აწეებოდნენ და, როგორც მარწუხში, ისე იყო მოქცეული ცხენებს შორის. არაფრად ავდებდა, მათს ოფლიან ფერდებს შორის მოქცეული წვივები რომ ეთელებოდა, უნდოდა ჩონთისთვის გაესწრო, მაგრამ თავს ვერ აღწევდა ცხენებს.

მოულოდნელად შუა ჭალაში ნაწილი ცხენებისა მარჯვნივ გაიჭრა, ნაწილი კი მარცხნივ. ჩონთის და სინთუს ცხენები ჭალას შემორჩნენ. ვახარებული ქალი კვლავ მიბრუნდა ჩონთისკენ.

— ახლა მართლა ვაგექცი! — შესძახა და ხელი უქნია ცხენს.

„გადმოავდებს!“ — შეკრთა ჩონთი.

რა ბედნიერი იქნებოდა სინთუ, რომ ეგრძნო ჩონთის შეკრთომა.

სინთუს ცხენი ყაბარდოულ-ლი სამი წლის ფაშატი იყო. მაღალი, წვრილ-წვივა, მოქნილი, ღონიერი, ფიცხი და ავი.

„რალა ეს ფაშატი შეხვდა.. გადმოაგდებს!“ ვერ დაეწეოდა. გადაწყვიტა, თავთ დაეწეოდა და გზა გადაეჭრა. ცხენი შეაბრუნა.

მთელ ჭალაზე გაიშალა ბუდი, აიჭრა ცამი. აღარაფერი ჩანდა. მხოლოდ თქარუნი და ჭიხვინი ისმოდა. ჩონთი ველარ ხედავდა სინთუს, ალლოთი მიჰქროდა იქით, სადაც გზა უნდა გადაეჭრა მისთვის.

რემას ჭიხვინმა და თქარუნმა თანდათან უკან დაიწია და ახლა მარტო სინთუს ცხენის ფლოქვების მკვეთრი ხმა ესმოდა. მიჰქროდა მისკენ. უცებ კიდევ ერთი თქარუნი მისწვდა მის მახვილ სმენას. მაშინვე იცნო ბატონკაცის ცხენი, რომელიც სწრაფად უახლოვდებოდა სინთუს, ჩონთიმ ლაგამი მიუშვა და შეერთდა სამი ცხენის გამაყრუებელი თქარუნი.

გამოჩნდა მტვრის ბულში სინთუ და უმალ ორი ხელი აქეთ-იქიდან სწვდა მისი ცხენის ფაფარს. ორ ცხენს შუა მოქცეულმა ფაშატმა, შეკავებულმა ორი ღონიერი ხელით, გაიბრძოლა. ყალყზე შემართვა დააპირა და, რომ ვერ შეძლო, გაკაპასებით დაიჭიხვინა, შედგა.

გაკვირვებული და აღტაცებული სინთუ თვალდაცემებით შესცქეროდა სესირყვა ლიპარტიანს და ჩონთის. ორივე ლამაზად იჭდა ცხენზე, გულამომჯდარნი, ახოვანნი და მტვრის ბულში როგორღაც მედიდურად შემართულნი. ერთმანეთს არ უყუარებდნენ, ერთმანეთსა ჰგავდნენ იმ წუთში, მიუხედავად იმისა, რომ ერთს ბრწყინვალე აბჯარი ემოსა, ხოლო მეორეს ძველი ჩოხა ეცვა და წელზე უბრალო ხმალ-სატევარი ერტყა.

სინთუ მოლოდინით შეჰყუარებდა ორივეს. არც ერთი არ უშვებდა ხელს ცხენის ფაფარს. წესით, ჩონთი სწრაფად უნდა დაქვეითებულიყო, როგორც ყმა, კაჭად დამდგარიყო, ქედმოხრით მისალმებოდა ბატონკაცს, მაგრამ ახლა ჩონთის ბატონი კი არა, მეტოქე ედგა წინ.

სესირყვა მისი ძუძუმტე იყო. აკვნიდან ერთმანეთს შეზრდილნი ერთმანეთის მზეს ფიცულობდნენ. სიჭაბუკემდე არ უგრძენიათ, რომ ერთი ბატონი იყო, მეორე კი ყმა. შემდეგ ადათ-წესმა აიძულა ბატონისა და ყმის ზნე-ჩვევა

დაეცვათ, მაგრამ მარტონი და რჩებოდნენ თუ არა, ისევე ტოლ-სწორნი იყვნენ.

ჩონთის გამალებით უცემდა გული. ბატონკაცს შეეძლო, ებრძანებინა, ხელი ეშვა სინთუს ცხენისთვის, ჩონთი ვერ დაჰყვებოდა მის ნებას.

სინთუმ იგრძნო ეს. არ დააყვანა: ფერდში ქუსლი გაჰკრა ფაშატს. ცხენი ადგილიდან მოსწყდა და კინალამ თან წაიტანა ჩონთი და ლიპარტიანი.

ორივემ შევებით ამოისუნთქა. იდგნენ და უყუარებდნენ, როგორ მიჰქროდა სინთუს ცხენი, როგორ გაუჩინარდა ბულში.

— მთვარის ამოსვლაზე დავიძვრებით, — დაარღვია უხერხული ღუმელი სესირყვამ. მერე ცხენი თავისი ამაღისკენ მიაბრუნა.

სესირყვა დადიანთან იყო და იქიდან ბრუნდებოდა, როცა სინთუს ცხენი მოჰკრა თვალი. მტვრეში კარგად ვერ გააჩნია, ქალი თვითონ მიაჭენებდა ცხენს, თუ ცხენმა გაიტაცა. უმალ საშველად გაეშურა.

ამალა იდგა და უცდიდა, რა მოხდებოდა. ბატონკაცმა ცხენი რომ შეაბრუნა, გულს მოეშვათ. მშვიდობით დამთავრდა ის, რაც შეიძლებოდა ჩონთისთვის საბედისწერო ყოფილიყო.

თურქი გურიაში შემოიჭრა, ფოთის, ყულევისა და ანაკლიის ნავსაყუდლებს დიდძალი ხომალდებით მოადგა და დადიანს შემოუთვალა — უბრძოლველად დამნებდიო. გურიისა და ოდიშის დაპყრობის

შემდეგ იმერეთს უპირებდა დალაშქვრას, იმერეთი და ნქართლ-კახეთს დაეცემოდა, მთელ საქართველოს ხელთ ჩაიგდებდა და სამხრეთის ქრისტიანი ერების დასახმარებლად დაძრულ რუსეთს გზას გადაუჭრიდა.

დადიანის დიპლომატები თურქთა მთავარსარდალს გაჰკინურებული მოლაპარაკებით იქცევდნენ. ამ დროს კი მთელ ოდიშში ქულზე კაცი გამოდიოდა. არავინ იშურებდა იარაღსა და სურსათს, ცხენსა და ურემს, შვილსა თუ ქმარს.

თურქს ორი მხრიდან უნდა შემოეტია დადიანის ჯარისთვის. ანაკლიიდან წამოსული ერთი ნაწილი ინგურს გადმოლახავდა და ზუგდიდს აიღებდა, აჰყვებოდა მთიან სამეგრელოს, დაიპყრობდა წალენჯიხას, ჩხოროწყუს, ხიბულას და ყულევიდან წამოსულ საჰილ ალის და მაჰმუდ ჰასანის ლაშქრებს სენაკში შეუერთდებოდა. აქედან გაერთიანებული ძალით იმერეთისკენ გასწევდნენ.

მტრის ზრახვა მაშინვე შეიტყვეს დადიანის მსტოვრებმა. სესირყვა ლიპარტიანს დაევალა ყულევიდან ყორათის ტყესა და ჭაობში შეეტყუებინა მაჰმუდ ჰასანის ჯარი. მერე ზღვიდან შემოევლო, ზურგში დასცემოდა და ჭაობში ჩაეხრჩო, სანამ ფოთიდან წამოსული საჰილ ალის მთავარი ძალი მოუსწრებდა. ყულევის ჯარის მოსპობისთანავე ლიპარტიანი ჭალადიდისკენ გასწევდა, იქ გურიელის ჯარს შე-

უერთდებოდა, შუა-გზაზე შეეგებებოდა ფოთიდან დაძრულ თურქებს და მოჩვენებით ბრძოლას გაუმართავდეს, სანამ ტელემაქ ჩიქვანის მაშველი ჯარი მოვიდოდა.

ამ სამ ბრძოლაში ყველაზე მძიმედ ყულევის ასპარეზი მიანდათ, მაგრამ ლიპარტიანის ლაშქრის გამარჯვებაში დაჯერებული იყო ოდიშის მთავარი. სესირყვას, თავისი სიჭაბუკის მიუხედავად, მრავალ ლაშქრობაში მიეღო მონაწილეობა და მტერთან მოულოდნელ, პირისპირ ბრძოლაში მთელ კოლხეთში ტოლი არ ჰყავდა. ლიპარტიანი თურქს ორჯერ მცირე ლაშქრით უნდა შეებრძოლებოდა. დადიანი მაინც არ შიშობდა. თვითონ ანაკლიაში გადმომსხდარი მტრისთვის უნდა გაემართა ბრძოლა.

შუალამე იყო. საცხე მთვარე წითელ ლაქად მოჩანდა ცაზე.

გზა დაბურულ ტყეში გადიოდა. თეთრად ქათქათებდა გვალვით შეთელილი, შემჰქნარი თხმელისა და წიფლის ფოთლები. მუქად ლივლივებდა ისლი და გვიმრა, ბარდ-ეკალი, ტყე გალურსულიყო.

სიწყნარეს ფლოქვების თქარუნი და ურმების ბორბლების ჭრიალი არღვევდა. ლაშქარი ყორათისკენ მიეშურებოდა. წინ სესირყვა ლიპარტიანი მიუძლოა რჩეული, თავზეხელაღებული მხლებლებით. ურდო შორს გაჭიმულიყო ტყეში. უკან დიდი ალალი მიჰყვებოდა: მიერეკებოდნენ



\* კაჭად დგომა — ბატონისადმი ფეხგადაჯვარდინებული, გულხელდაკრეფილი მისალმება ყმისა.

წვილიდან და მსხვილფეხა საქონელს, მიჰყავდათ ფრინველი, მიჰქონდათ ფქვილი, ღვინო, თონე, ჭურჭელი, კარვები, რომ ბანაკად დადგომისას ელხინათ. ოდიშელებს არაფერი ისე არ სიამოვნებთ, როგორც სტუმრის პატივისცემა. ამიტომ ლაშქრობისას ამისთვის ასწილ უფრო იღვწიან, თან მიაქვთ ძვირფასი სამოსი და სამკაული, აბჯარი, რომ ლაშქარად უკეთ ეცვათ და ეხუროთ მტრის თვალის დასაყვებად და მოყვრის გასაზარებლად.

ლიპარტიანის მხლებლებს ჩამორჩენილი ჩონთი უკანასკნელ ურემს მიჰყვებოდა დასავლეთული ცხენით. სინთუ აცილებდა, გვერდში ედგა, მხრით მხარზე ეკვროდა, ხანდახან ჩამორჩენილი მხედარი ან მეჭოგე ჩაუქროლებდათ, მაშინ სინთუ ერთი ნაბიჯით დაწინაურდებოდა, მერე ისევ გვერდში ამოუდგებოდა ჩონთის.

ასე მიდიოდნენ დიდხანს. არც ერთი ხმას არ იღებდა, მინდობრილი თავის ფიქრს, განწირვის სევდას. სიწყნარეს საქონლის ბლავილი, ცხვრისა და თხის კიკინ-პეტელი და ფრინველის ფრთების ფართქალი არღვევდა, ისმოდა მეთურამეთა შეძახილი, მეჭოგეთა შეყვირება და ეს ხმები, ფლოქვების თქარუნთან ერთად, საიდუმლოებით მოცული ტყის გორაკზე მდუმარებაში გამაყრუებელი სიმკვეთრით ხმაინობდა.

— დაბრუნდი ახლა, — დაარღვიო დუმილი ჩონთიმ, — შორსა ვართ.

— არავინ მომიტაცებს, წივი! — ნალვლიანად მიუგო სინთუმ, — მომიკიდე ხელი!

— არა, სინთუ... იქნებ ვერ დაგვბრუნდებ.

— დაბრუნდები... შენ თურქის ხმალი ვერ მოგკლავს!

შედგა, თავისკენ მოაბრუნა ჩონთი, მიეკრა სახეე მკერდით. მომხვიე ხელებიო, ეუბნებოდნენ სევდით დაბინდული თვლები. ჩონთი ყოყმანით შეჰყურებდა, მერე ფრთხილად მოიშორა ქალის ათრთოლებული ტანი.

— დაგვბრუნდები, სინთუ!.. დაგვამარცხებთ თურქს და დაგვბრუნდები.

სინთუ თავდახრილი იდგა. ცხენის ჭკვიანი თვლები სევდით შეჰყურებდა. ცრემლი კრიალებდა ქალის ლოყებზე. ჩონთიმ თვალი მოარიადა.

— მალე დაგვბრუნდები, სინთუ, — უთხრა ჩუმად, მერე მიტრიალდა, უნაგირს მოაფრინდა, მოსხლიტა ცხენი და იქვე, მოსახვევში, გზისკენ გადახრილ ბებერ თხმელას მიეფარა.

სინთუ არ განძრეულა, დი-

დხანს ესმოდა ჩონთის ცხენის ფლოქვების თქარუნს.

— პო, ჩონთი, დაბრუნდები, — ჩილაპარაკა, გაუღიმა ჩონთის, გაუბრწყინდა თვალში ცრემლი, — შენ თურქის ხმალი ვერ მოგკლავს, წივი!

გამოხუნებულ ცახე მკრთალად ბუტავდა ვარსკვლავები. ტყეში ისეთი მყუდროება იდგა, თითქოს ბუნებამ მიიძინათ. ლაშქრის ხმაური და ჭოგის ბლავილი სადღაც შორს გაისმოდა. სინთუ ადგილიდან მოსწყდა, ბებერ თხმელასთან მიიბრინა.

— ჩონთი! ტყის თავზე ქარაშოტი ავარდა, აშრილდა ურმანი. მოედო ჰაერს გვალვით დამწვარი ფოთლის და მტკრის სუნი.

... მთელი დღე ბებერი თხმელის ქვეშ იჯდა და გზას გაჰყურებდა. ახლოს არავის იკარებდა. მარტო იყო თავის დარდთან. არ ჭამდა, არ სვამდა, დასუსტდა, გახდა. გასცქეროდა გზას და ელოდა, ელოდა. მხოლოდ შებინდებულზე წამოდგებოდა, შევიდოდა ტყეში და მეჭოგის ძველ, მიტოვებულ ფაცხაში ათევდა ღამეს. ინათებდა თუ არა, კვლავ ბებერ თხმელას მიამუტებდა.

ვინც ომს გადაურჩა, ყველა დაბრუნდა.

სესირყვამ მოიხედა თუ არა, სინთუ მოიკითხა. მისი ამბავი რომ უთხრეს, შეწუხდა. სახლთუხუცესს უბრძანა, ახლავე მოეყვანათ სასახლეში, დასტაქრები და მოინალეები მიეჩინათ სამკურნალოდ და მომვლელად.

სინთუმ გაგონებაც არ ინდობა. ვერც ეპატებინა სესირყვასათვის, რომ ენა მოუბრუნდა და თქვა, ჩონთი მოკლესო. ლიპარტიანის სახელის გაგონებაც კი ზარავდა.

შემოდგომა მიიწურა.

ღრმ ვერ გატეხა სინთუს იმედი. გზაზე რომ ვინმე გამოჩნდებოდა, ფეხზე წამოიჭრებოდა, თვალს მოიჩრდილავდა, იდგა გარინდებული, მოლოდინით სუნთქვამკერული, სანამ მგზავრი მოახლოვდებოდა და რა დაინახავდა, ჩონთი არ იყო, ღონემილეული ჩაიკეცებოდა, ზურგს შეაქცევდა მგზავრს.

ივანე საჭმელსა და წყალს მაშინ მიუტანდა სინთუს, როცა ის, ფაცხიდან გასული, თხმელის ძირას იჯდა. მიულაგებდა ფაცხას, გაუწყობდა ტაბაკს და მერე თხმელის ძირას მიაკითხავდა.

— რა ქნა, არ დაბრუნდა კიდევ ჩონთი? — ჰკითხავდა სხვათაშორის და შორიახლოს ჩამოჯდებოდა ხის ფესვზე, ყალიონს გააწყობდა. — ჩემი

ბიჭებიც იგვიანებენ. ამბობენ, ტყესა და ჭაობებში კიდევ არიანო თურქები დარჩენილი.

თუმცა ომის დამთავრებიდან დიდი ხანი გავიდა, ოდიშის მიწაზე თურქის ჰაჭანება აღარ იყო, მაგრამ სინთუს მწუხარებისაგან დროის შეგრძნება დაეკარგა. ეგონა, ომი კიდევ გრძელდება და ჩონთი თუბანიებთან ერთად თურქებს დაეძებსო.

ერთხელ, დილით, ჩვეულე-ბრივად იმ დროს მივიდა ივანე ფაცხაში, როცა სინთუ შინ არ ეგულებოდა. ფაცხის კარი ღია დაუხვდა. ცუდად ენიშნა ბერიკაცს. „ამ დრომდე რამ გააჩერა ფაცხაში?!“ — ცხენი მოშორებით შეაყენა. ხურჯინი ჩამოხსნა და ფაცხისკენ გაემუტრა. ღია კარში შორიდან დაინახა კუთხეში მწოლიარე სინთუ. სიცივისაგან მოკრუნჩხული გაუხდელად იწვა ლოგინზე.

ხურჯინი კედელთან მიაგდო და სინთუსთან მივიდა. ქალს ადამიანის ფერი არ ედო, ლოყები ჩაცვივნილი. ივანე დაინახა, ხელი მოჰკიდა. სინთუმ ძლივს იცნო ივანე.

— ბაბუ ხარ?... დღეს დაბრუნდები ჩონთი. — წამოჯდომა დააპირა, ტანი ვერ აიტანა. ზურგში ჩხვლელდა და ტეხავდა.

— ნუ ადგები შეილო! — უთხრა ივანემ. უნდოდა, საბანი გამოეცალა და დაეფარებინა, მაგრამ სინთუმ ყურადღება არ მიაქცია.

— საცაა დაბრუნდები ჩონთი... — თხოვნით შეხედა, — წამომაყენე, ბაბუ! — კვლავ წამოიწია. — ზურგში მიხვლელს... გვერდშია... სხვა არაფერი მიჭირს. ოღონდ წამომაყენე... მერე თვითონ წავალ... — ტუჩი გაულურჯდა. გამხდარი ხელები უსიცოცხლოდ ეყარა საბანზე. — ყოველ ღამე მოდიოდა ჩონთი... შებინდებოდა თუ არა, თავს ანებებდა თურქების დევნას და ჩემთან მოდიოდა, — ჩამქრალი თვლებით შეჰყურებდა ივანეს, ბუნდოვანად ხედავდა ბერიკაცის შემკრთალ სახეს. — ინათებდა და წავიდოდა... წუხელ მითხრა, ხეალ სულ დაგვბრუნდებიო, — ამ სიტყვებს რომ ამბობდა, თვალში ნაპერწკალმა გაუელვა, სიფითრე გადაეყარა. — ამაყენე, ბაბუ!.. იქ უნდა დავხვდეთ.

კედელს ხელი მიაყრდნო, წამოიწია. ივანე შეეშველა.

— ვიჩქაროთ... საცაა მოვა ჩონთი!

— ჯერ ცოტა რამე შეჭამე, შეილო, მერე წავიდეთ.

სინთუმ არც ახლა მიაქცია ყურადღება. კართან მივიდა.

— რა დროა? რატომ ბნელა ასე?

შე ტყის თავზე იდგა. ფაცხიდან გავიდა და თხმელისკენ მიმავალ ბილიკს დააღდა. ივანე გაჰყვა. ისე უთხრა გზაზე, ბული, ხელის მოკიდებას ვერ ახერხებდა.

— რატომ მტკივა გვერდი! — ხელით ეჭირა ის ადგილი, სადაც სტკიოდა, ფეხის გადადმას უშლიდა.

— როდის აქეთ გტკივა? — ჰკითხა ივანემ.

მაგრამ სინთუს არ გაუგონია ივანეს ხმა.

— იქნებ მოვიდა ჩონთი და მიცდის...

დაფალამანდებულვით მიადგამდა ფეხს, მხრები ულონოდ ჩამოეყარა, აჩქარებით სუნთქავდა.

— ჯერ არ მოსულა, — თქვა, თხმელის ქვეშ რომ შევიდნენ, — დამსვი, ბაბუ! ფრთხილად დასვა ივანემ იქ, სადაც ჩვეულებრივად ჯდებოდა, ზურგით ხეს მიეყრდნო.

— საცაა მოვა ჩონთი... გზას გასცქეროდა. სიცივის ბუსუსი აეყარა.

ივანემ ნაბადი მოიხსნა და შემოახვია.


— ახლა გაეგებები, ბაბუ, — თავით ხეს მიეყრდნო, თვალეზი დახუჭა. ასე იყო ერთ ხანს. სუნთქვა შეუნეწოდა, ფერი მოუვიდა. — ჩონთი! — წამოიძახა დიდი ხნის დუმისის შემდეგ, — მისი ცხენის ფეხის ხმა, — თვალი გაახილა, — გესმის ბაბუ, როგორ მოაჭენებს!.. ბატონკაცმა კი თქვა მოკლესო... — სახეზე მძულვარება გამოეხატა, ორივე ხელი ჩასჭიდა ნაბდის სპკინძეს, ყელამდე აიწია, მოლოდინით გაინახა გზისკენ თვალმიპყრობილი. — ჩონთის ცხენის ფეხის ხმა, ბაბუ!

— კი, შეილო, ჩონთის ცხენია, — ივანე ხედავდა, სული ეცლებოდა სინთუს. წამოხტა და ცხენისკენ გაიქცა. მაგრამ შუა გზაზე შემობრუნდა. ვაითუ, სინთუ გაათვალეს, სანამ სასახლეში მივალ და დასტაქარს მოვიყვანო. ასე გაიქცა რამდენჯერმე ცხენისკენ და ისევ უკან მობრუნდა. სინთუ კვლავ უძრავად იჯდა და გზას გასცქეროდა... ივანე ცხენისკენ გაემუტრა, შუა გზაზე ერთხელ კიდევ მოიხედა სინთუსკენ, მერე ცხენთან მიიბრინა, ქორივით მოაფრინდა ამ ხნის კაცი და სასახლისკენ მიუშვა.

როცა დასტაქართან ერთად დაბრუნდა, სინთუ ნაბად-გადახსნილი იჯდა, ხელები აქეთ-იქით გადაყროდა, ოღნავ წინ წახრილიყო, თითქოს მისკენ მიმავალ ჩონთის უყურებდა ღმირღმეყინული.



პროვინციული ფოტოგრაფი.



ზესტაფონელი თერძი.

## ნანი შალიკაშვილი

საქართველოს სსრ სახალხო  
მხატვარი.



წერილი.



ნანი შალიკაშვილი



1983 წელი  
ნანი შალიკაშვილი






## ლამარა ქველიძე

თბილისის სამხატვრო აკადემიის ხატვის კათედრის დოცენტი, საქართველოს სსრ დამსახურებულ მხატვარს, მოქანდაკე ლამარა ქველიძეს სახელი გაუთქვეს მცირე ფორმის ძეგლებმა — მედლებმა.

უნგრეთის დედაქალაქ ბუდაპეშტში მოეწყო ლამარა ქველიძის პერსონალური გამოფენა.

ეროვნული  
ბიბლიოთეკა

SZOVJET KULTÚRA ÉS TUDOMÁNY HÁZA  
Budapest. V. Semmelweis u. 1-3.



## LAMARA KVELIDZE

grúz szobrászművész  
plakett kiállítása

Nyitva: 1985. január 24. – től február 20. – ig

ლ. ქველიძის უნგრეთში გამართული პერსონალური გამოფენის აზიზა.



ომარ ჩუბინიძე

გოგონა.



უჩა ჯაფარიძე

დობილები.

საბჭოთა კავშირის სახალხო მხატვარი.

თენგიზ ხუციშვილი

ქალის პორტრეტი.



## ნახი ჭაღია

### დადგა მარტი და...

დადგა მარტი და... საგაზაფხულო იერი თბილისს უკვე ეძლევა, რადგან პირველი თბილისს ნახულობს წყნეთის ია თუ კოჯრის ენძელა. დადგა მარტი და... უკვე სხვა ეშხით, აურჯოლებთ ტანში ფერად სართულებს, სისხლი სხვაგვარად დულს უკვე ხეში და სულ სხვა შუქი მოაქვთ მავთულებს... დადგა მარტი და... ჩემს დედაქალაქს, ნუშის სითეთრე ერევა თმაში, აუფერადდა მთაწმინდას კალთა, ეს მარტი დაჰქრის უხილავ რაშით... დადგა მარტი და... საგაზაფხულო იერი თბილისს მართლაც ეძლევა, რადგან პირველი თბილისს ნახულობს წყნეთის ია თუ კოჯრის ენძელა.

## ბაბო სხედილია

### როცა ძლიერ მენატრება...

ოცდაათი გაფრენილა წელი და სიბერის შორს არ არი თოვა. როცა სევდა მესტუმრება მწველი, მაშინ ჩემი ბავშვობიდან მოვალ. წინ მეგზურად გამიძღვება მთვარე, მივატოვებ ქალაქსა და გნიახს, ჭინკა-გაგო დავაფეთებ ღამეს და ხელკავით გავაუოლებ ნიავს. როცა ძლიერ მენატრება ვინმე, თუ ქალაქში ყველა საქმეს მოვრჩი, ძველებურად გაბავშვებას ვიწყებ და სოფლისკენ გზას ვადგები ბოღჩით. თან წავიდენ ცოტაოდენ საგზალს, ძველ ქალამნებს მოჭერილს და ვიწროს, გოგაობის წინწკლებიან კაბას... ჩემმა ქონმა რომ ამ კაბით მიცნოს. ძველებურად რომ ჩამიკრას გულში, უმადური და უძღები შვილი. როგორც შარშან, გუშინწინ თუ გუშინ, დავივიწყებ მარტოობის ტკივილს. როცა ძლიერ მენატრება ვინმე, ზღაპრით გაფრინდები სოფლად, ხულის ყვილს როცა ვეღარ ვითმენ, მინდა ცისფერ ოცნებებთან ყოფნა. კვლავ მეზობლის ბიჭის თვალით ციავს ლაფაროში ვეშალები მორცხვი. ასკინკლით მივხტი გოგო-ციცქნა და ბავშვობის ნაფხურებს ვკოცნი.

## ნანა გოგიჩაშვილი

\*\*\*

მე ჩემს სამრეკლოსთან დაგიძახებ, როცა შენგან წასვლას დავაპირებ... მოხვალ, ხელს შეახებ ჩემს სატკივრებს, მოხვალ და ყველაფერს მააბატიებ. მე ჩემს ცისკენ წასვლას დავანახებ, ჩემი ზარის რეკვით გაგაკვირვებ... მე ჩემს სამრეკლოსთან დაგიძახებ, როცა შენგან წასვლას დავაპირებ.

\*\*\*

იქნებ იმ კაცზე, დღეს რომ მოკვდა, ცოტა მეტი ვარ, განა სხვა რამით, მხოლოდ იმით, რომ მასზე მეტი ახლა მე მტკივა, მხოლოდ იმით, რომ მე კიდევ უნდა მეტყინოს.

## ლიდა სხვილია

### გადავუფრინე ნაქენარებს...

ქალაქ გეგეჭკოროში მარტვილის მთის კლათოსთან დამაკავშირებელი საბა-ვირო გზა გაიხსნა.

გაიჭრა ლენტი წითელი, ცაშიც გაშესხნა გზა მწვანე... შენსკენ გატყორცნილ ბილიკებს — წვრილი მავთულის ნაწნავებს პირველი მგზავრი მოვუვებ, გადავუფრინე ნაქენარებს, ჭყონდიდელების „ხატ-მამულს“, მამა-პაპათა საძვალეს. ამ წმინდა მთაზე ამოსვლას შენი ფესვები მაძალეს! ...წამოვეწიე ზეცაში ტოროლებს ჩემზე გამწყარალებს... ნაოლლაღვის ბუღბუღლთან ცაში აფრენა მაწყენარებს!.. აქ მყავს მრავალი გმირი ძმა, აქ მყავს მრავალი გმირი და... ოცნება ამიღიმილდა, ოცნება ამიგვირილდა... .. დავუყრებ ღია ფანჯრიდან — მარტვილის ცის აივნიდან ამ ზეცის აღმართს, თოლიგე, იოლანდ ვერ აივლიდა: ვერც დედოფალი კატინა, ვერც იას ფერის მთოვარი, ვერც დადიანი, მთავარი, ვერც უტუ შეუპოვარი, ვერც მიურატი, ვერც ფაშა — კატინას ხელის მთხოვარი... ამ გზამ შეცვალა ბილიკი ბუნების დანატოვარი! მარტვილო, გზა გაქვს ნათელი, ცის ატლასებით ნაფენი, ახლა მართლაც შენი ცა ანგელოზების საფრენი!..

## გალინა ჭინქლაძე

### შემოდგომა

როგორ დატრთიან ჩემ წინ ფოთლები საბედისწეროდ გახუნებული მოფრინდი, ჩიტო, ჩემს ფანჯარასთან. იმღერე, რატომ დანურე გული? ლურჯკაბიანი და მიმზიდველი, ჯერ კიდევ გუშინ ჰყვაროდა ია... დავცქერი მიწას, სადაც ყვითელი ყველაზე მეტი ფოთოლი ყრია.

## ლია არჩვაძე

\*\*\*

რაც თავი მახსოვს, რალაცას ველი, სიზმარში ვხედავ მთრთოლვარე ვარდებს და სევდა ჩემი, ვით წერო სველი, სულში ნისლიან განწყობას ბადებს. რაც თავი მახსოვს, სულ ასე ვეტრფი ცრემლებს, ამ გამხდარ ხელებს რომ მიწვევს.

რამ გაანელოს ამხელა ცეცხლი, სამშობლოს ცამ... თუ სამშობლოს მიწამ...

\*\*\*


როცა წითელი, ხასხასა ალი მიშლიდა ძვირფას სიზმრების ხილვას, ერთი ფოთოლი, სუსტი და მკრთალი, მე ამაფარეს თვალებზე ფრთხილად. უცნაურ თრთოლვით, წვითა და განცდით. ველოდი თოვლს და ველოდი წვიმას... როგორა ჰგავდა ის დღე და წამი, რასაც ვფიქრობდი, ღმერთმანი, იმას.

საქართველოს სსრ მეთერთმეტე მოწვევის უმაღლესი სახარისე დეპუტატები



▲ აბასოვა ჯამილა — ყულარის მევენახეობის საბჭოთა მეურნეობის მექანიზატორი.

▼ მხვალეშვილი ლეილა — თეძამის მეხილეობის საბჭოთა მეურნეობის მუშა.



▼ შარლალაშვილი მარტო — სოხუმის სატელეფონო-სატელეგრაფო სადგურის ტელეფონისტი.



# სანსტრიანო

— უღვაშა მოდის! — დაი-  
ძახა ვილაყამ და პანტების  
ჩრდილში ფეხმორთხმული ბი-  
ჭები ზღაზვნით წამოვდექით.  
ჩვენ უკვე ვიცოდით, ულ-  
კაშიანი კაპიტანი გვარად ორ-  
ლოვი იყო. ლევ ნიკოლაევიჩ  
ორლოვი.  
— ტოლსტოის ნათესავია!  
— ჩაიქირქილა ინგილო ისმა-  
ილ პაპიაშვილმა, როცა ჩვენი  
ნაფრონტალი თანაკურსელი  
ტარიელ ჯანიაშვილი, რომე-  
ლიც ზემდეგად დაგვინიშნეს,  
ბანაკის შტაბიდან პანტიანში  
ამობრუნდა და კაპიტანის ვინა-  
ობა გვამცნო.  
ლევ ნიკოლაევიჩ ორლოვს  
დიდი მწერლის — ლევ ნიკო-  
ლაევიჩ ტოლსტოის არაფერი  
ეცნო.  
კაფანდარა კაცი იყო. ფერ-  
მკრთალი. ბეჭებში მოხრილი.  
შეთხლებული ქერა უღვა-  
ში კაპიტანს გრძლად და ასე  
აწკეპილად, ეტყობა, ბანაკის  
უფროსის წახედულებით მო-  
ეშვა. მუქი სათვალეც ისეთი  
ეკეთა, როგორსაც პოლკოვნი-  
კი ატარებდა.  
კაპიტანი ორლოვი მესამედ  
გვეახლა.  
საოცარი ის იყო — პანტი-  
ანში ყოველ ამოსვლაზე კაპი-  
ტანს მშვიდად ეჭირა თავი.  
არ ყვიროდა. თავაზიანად  
გვმოძღვრავდა და ერთი-ორ-  
ჯერ გავვიღიმა კიდეც.  
ალაჰმა უწყის, რა ფასად  
უჭდებოდა კაპიტანს ეს ღიმი-  
ლი!  
დილით, როცა აქ ჩამოგე-  
ლალეს, თმავადანობრილი ბი-  
ჭები შეგვაქუჩეს. რაიონის  
ცენტრიდან მოშორებით, ფერ-  
დობზე შეფენილ პანტების  
ჩრდილში დაგვამწყრივეს. და-  
გვიცაცხანეს და რადგან ვი-  
ლაც სადღაც ვაშა და ხელმე-  
ორედ რაღაც ისევ აირ-დაი-  
რია, ხელმეორედ ისევ სათი-  
თაოდ გადავვთვალეს.  
ბანაკის უფროსის პოლკოვ-  
ნიკ ხომენკოს გვერდით ჩამო-  
მდგარმა კაფანდარა კაპიტანმა  
ცხვირზე დასუტრებული მუ-  
ქი სათვალე შეისწორა. მო-  
გვიახლოვდა. რამდენჯერმე  
ავგვიარა-ჩაგვიარა და თავი არც  
გაუცვნია, პირდაპირ საქმეზე  
გადავიდა.

საქმე სახათაბალო იყო.  
ბიჭებს ბარებისთვის უნდა  
წამოგვევლო ხელი. მივმდგა-  
რიყავით, ხრიოკი მიწა გვე-  
თხარა. გვეთხარა და ყოველ  
ათ კაცზე ღრმა და ვიწრო —  
მაინცდამაინც ერთნაირი ფორ-  
მის ხუთი ორმო ამოგვეთხარა.  
— ექვსი რომ ამოვთხაროთ,  
შეიძლება?  
— არა! — კაპიტანის ფერმ-  
კრთალ სახეზე წყენა ელვა-  
სავით გაკრთა, ათეულისთვის  
ბრეზენტის კარვის გაჭიმვას  
ხუთი ორმო სჭირდება.  
ჯერ კიდეც სად იყო.  
ამოვთხრიდით ორმოებს. შე-  
ვიხანებდით. მოვითქვამდით  
სულს და გახვითქულ ბიჭებს  
ორმოებიდან ვაივავლაზით  
ამოთხრილი მიწა — გვინდო-  
და თუ არ გვინდოდა — თურ-  
მე ისევ ორმოებში უნდა ჩაგ-  
ვეყარა.  
— ორმოებში ჩაყრილ მიწას  
მოასწორებთ. თავბოძალს ჩა-  
ასობთ. ოთხ პალოს ჩაამაგ-  
რებთ. მიწას დატკეპნით და სა-  
იმედოდ გაამაგრებთ.  
— მერე?  
— მერე თურმე ისლა რჩე-  
ბოდა, კარავი დაგვეთრია.  
თავბოძალზე ჩამოგვეკონწი-  
ლებინა. აქეთ-იქით დაგვეჭიმა.  
მოგვემარჯვა და კარვის კალ-  
თები — თავისივე გასანთლუ-  
ლი თოკებით — ორმოებში  
საიმედოდ ჩამაგრებულ პა-  
ლოებზე საიმედოდ მიგვემა-  
გრებინა.  
ავანგალი განვალა!  
— რატომ არ იწყებთ მუშა-  
ობას? — გვკითხა დონიჯ-  
შემორტყმულმა კაპიტანმა,  
როცა ინება და მეორედ ამო-  
ბრძანდა პანტიანში.  
ვღუშდით.  
— თქვენ გეკითხებით, რა-  
ტომ არ მუშაობთ?  
— ვფიქრობთ და იმიტომ.  
— რას ფიქრობთ?  
— იმას.  
— მაგალითად, რას?  
— საიდან დავიწყეთ მუშა-  
ობა, იმას.  
— მეექვსე ორმოდან დაი-  
წყეთ! — ცისფერმა თვალეგმა  
ღიმილით გასჭოლა აძურწული  
ჯანუკი, — თქვენ ხომ გინდო-  
დათ, ხუთის ნაცვლად, ექვსი

ორმო ამოგეთხარათ.  
კაპიტანი წავიდა.  
წავიდა და გაყეყეჩებულ ბი-  
ჭებს ანდერძივით დაგვიტოვა  
შეგონება:  
— არ იცით — გასწავლით!  
არ გინდათ — გაიძულეთ!  
კაპიტან ორლოვის მეორე  
შეგონება ის გახლდათ — პა-  
ნტების ჩრდილში წამოგორე-  
ბულმა მომავალმა ოფიცრებმა  
თუ არ გინდა ღამე პანტების  
ძირში გავათენოთ — ჯარში  
რადგან გადიები არ ჰყავთ —  
ბრეზენტის კარვები გადიების  
დაუხმარებლად უნდა გადავ-  
ჭიმოთ.  
მესამეც იყო.  
წასასვლელად გამზადებუ-  
ლმა კაპიტანმა მესამე შეგო-  
ნებას ღიმილი გაურია:  
— დასცემთ კარვებს. მოე-  
წყობით. ჩაიცვამთ სამხედრო  
ფორმას და მხოლოდ მაშინ  
გექნებათ უფლება მობრძან-  
დეთ და ისადილოთ.  
ავანგალი განვალა!  
— ახლა რა ვქნათ? — იკი-  
თხა მოლზე გულაღმა გაშლა-  
რთულმა ჯანუკიმ, როცა კაპი-  
ტანი წავიდა.  
— რა ვქნათ და საღამოს  
დაეუცადოთ.  
ვანტანგი მართალს ამბობდა.  
გაგანია სიცხეში, როცა  
სუნთქვა ჰქონდა, ხრიოკ ადგი-  
ლზე ორმოების ამოთხრა, ამო-  
თხრილი მიწის ისევ ორმოებ-  
ში ჩაყრა, კარვის გაჭიმვა და  
დაჭიმული კალთების მიწაში  
საიმედოდ ჩასობილ პალოებზე  
საიმედოდ მიმაგრება — შე-  
რეკილებს შეეძლოთ.  
დასიცხულ და დამშეულ  
შერეკილებს.  
— არ გვაპატიებენ...  
— რა ბრძანეთ? — ჯანუკი  
გადმობრუნდა. სამყურა წა-  
წყვიტა. კბილებშუა გაირჭო  
და თავწამოწეული შეაკქერდა  
გვიის.  
— ბრძანებას რო არ ვას-  
რულებთ, დაგვსჯიან.  
— ვერაფერსაც ვერ გვიზა-  
მენ.  
— რატომ?  
— ფიცი არა გვაქვს მიღე-  
ბული და იმიტომ.  
— სწორეა!  
— ჩვენ ხო ნამდვილი ჯარი-  
სკაცები არა ვართ!

— დასჯა რო შეეძლოთ, აქა-  
მდე დაგვსჯიდნენ! — ბიჭებმა  
ერთხმად დაუკრეს კვერი  
გვერდშენაცვლებულ ჯანუკის.  
წამოვდექით.  
მოშიებულებმა ხეებთან მი-  
ყრილი ზურგჩანთები დაეი-  
თრიეთ. შინიდან წამოღებული  
საგზალი ამოვიღეთ. მოლზე  
ვამლილ ვაზეთებზე დავალა-  
გეთ. მოვეწყვეთ და როცა  
პურს ლუქმა წავუტეხეთ, ვი-  
ლაცამ დაზაფრულივით დაი-  
ყვირა:  
— უღვაშა მოდის!  
კაპიტანმა ორლოვმა, აკი  
მოგახსენეთ, მესამედ გავვი-  
კეთა ვიზიტი.  
— სიმღერა გაკლიათ! —  
ახლად მოსულის აქამდე დინჯ  
და გულითად ხმაში ბზარი  
გაურია.  
კაპიტანმა მხარზე დაცურე-  
ბული პლანშეტის ღვედი შე-  
ისწორა, ჩაახველა და ვიდრე  
ხის დაფერდებულ ვადასაქერ-  
ზე ჩამოჯდებოდა, დაორთქლი-  
ლი სათვალის წმენდით გვიკი-  
თხა:  
— ორმოების ამოთხრა რო-  
დის უნდა დაიწყეთ?  
— მალე.  
— მალე როდის იქნება?  
— საღამოს.  
კაპიტანი წამოვდა. გაიარ-  
გამოიარა. მხედრულად გა-  
ჭიმულ ჯანუკის გახედა და  
ჩვეული სიმშვიდით დაიწყა:  
— სამხედრო სამსახური  
წესდებით დაკანონებულ დის-  
ციპლინას ექვემდებარება.  
— ვიცით.  
— ისიც გეცოდინებთ, დი-  
ლის ბრძანება დილით უნდა  
შესრულდეს.  
— ეგ არ ვიცოდით.  
— ახლა იცოდეთ!  
შეპასუხება არ აცალა.  
ჩამოჯდა. ფეხი-ფეხზე გადა-  
ლო და გააგრძელა:  
— ლექციის წაკითხვას არ  
დავიწყებ...  
არც დაუწყია.  
კაპიტანმა მხოლოდ შეგვახს-  
ენა — ჩვენ, უნივერსიტეტის  
სტუდენტები, ინტელექტუა-  
ლური ხალხი ვართ, თვითშეგ-  
ნება გვაქვს და, იმედია, ერთ-  
თვიანი საბანაკო შეკრების პი-  
რველ დღეს ორგანიზებულად  
დავამთავრებთ.  
ისიც გვითხრა — სამხედრო



ხელოვნება გონებრივი და ფიზიკური წრთობის პარმონიული შერწყმა. ეს ასეა და ეს რადგან ასეა — ამთავითვე უნდა გავკაუდეთ და ყოველგვარ ამინდში მივეჩვიოთ ორმოების ამოთხრას.

როცა მიდიოდა, კაპიტანმა გაგვიღიმა.

— ფქვენი ზემდეგი ჯანაშვილი...

— ჯანაშვილი.

— თქვენი ზემდეგი ტარიელ ჯანაშვილი ბანაკის სამწყობრო ტანსაცმელს იბარებს. გაჭიმეთ კარვები. ჩაიცვით სამხედრო ფორმა, მოეწყვეთ და...

კაპიტანმა მოლზე გამლილ სუფრას გახედა.

— წამოღით. საგხალიც წამოიღეთ. სასადილოში გელოდებიან.

დაგვმოძღვრა და წავიდა.

— რაო? რა რისი შერწყმაო? — ქეჩოს ქეჭვით იკითხა ჩაფიქრებულმა რობერტმა. წამოდგა და მაინცდამაინც ხის იმ დაფერდებულ გადანაჭერზე ჩამოკდა, რომელზეც კაპიტანი იჯდა.

— სამხედრო ხელოვნება გონებრივი და ფიზიკური წრთობის პარმონიული შერწყმაო.

— ჭამა? — ჯანუკიმ გვიის გახედა, — ჭამა არ შედის პარმონიულ შერწყმაში?

— შედის.

— თუ შედის, მივლაგდეთ და შევიყვანოთ.

უწადინოდ მივლაგდით.

ზოგმა მოლზე მოიკეცა ფეხი. ზოგი წამოგორდა, ზოგი წამოჯდა და აწოწილ მუხლებზე იდაყვებით დაიბჯინა ხელები.

ნირწამხდრები ვიკიკებოდით.

— ბიჭებო, — ზაურმა ჩაა-

ხველა, — როცა ვჭამთ და წრთობის პარმონიულ შერწყმას დავამთავრებთ, მერე რა ვქნათ?

— ვიმღეროთ.

— რა ვიმღეროთ?

— მარტივი ვერ ვიპოვე და „ალზევანს წავალ მარილზე“ ვიმღეროთ.

— არა! — ჯანუკიმ მარტივი გაუწოდა ნოდარს — „სულო ბოროტო“ ვიმღეროთ.

ზურაბი წამოჯდა.

ის-ის იყო მოილო თავი, დასჭექა და საამო ბარიტონით „სულო ბოროტო“ წამოიწყო, რომ ჩვენი თანაკურსელი რეზო წამოხეზედა.

კრინტი არ ვაუღია.

მივიდა. დაგვაჯულ პანტის ხესთან ჩაიშუხლა. წაიხარა ბეჭებში და ერთმანეთზე მიხვავებულ ბარებსა და წერაქვებში მოათავსა ხელი.

გავისუსეთ.

რეზომ მისური გაიხადა. ითრია დარჩეული ბარ-წერაქვი, წაღგა რამდენიმე ბიჯი. დაიქნია წერაქვი და კაპიტან ორლოვის ხელით მიწაზე ცარკით მინიშნულ ადგილზე, თავბოძალის ჩასამაგრებელი ორმოს ამოთხრა დაიწყო.

— გააფრინა.

— კი არ გააფრინა, მზემ დაარტყა! — თვალბმბილულულმა მირიანმა აკადემიური სიღინჯით შეაგონა სოსოს.

რეზო ზურგშექცეული იდგა.

ფეხები გაეფარჩხა, თავზე ფეტრის ქუდი ჩამოეფხატა, წახრილიყო და ხრიოკ მიწას გამეტებით უხათქუნებდა წვერაპრიანლებულ წერაქვს.

— მონალისეა!

— იცქვიტინე მოხალისე!

— იცქვიტინე და იფრტიტინე მოხალისი!

— მეორე სწორეა, პირველი — არა, მესამე — ნალდი! — აქეთ-იქიდან ნასროლი მოსაზრებები პირში შეჩრდილი ოხრახუშის ღეჭვით შეჰკრა და შეაჯამა ჯანუკიმ.

ქედნებმა გადაგვიფრინეს. მობრუნდნენ. მოხაზეს წრე, იფარფატეს, დათითოვდნენ და ლელიანთან ჩაფრინდნენ.

დილით, როცა აქეთ მოეყავდით, ლელიანის ბოლოზე ავდარში გუბურად დატბორილ წყალს შორიდანვე შევასწარით თვალი.

ზევით ანწლი მოსდებოდა ბექობს.

მერე და მერე, ზედ ტყის პირას, მოცვსა და კუნელს შუა აქა-იქ მოცხარის დატოტვილი ბუჩქები შემომალღებულ იყვნენ.

მზემ გაიხალვათა.

შემოჩენილი ჭროჭინები არ ცხრებოდნენ.

ქვევით, ლიახვისკენ ცერად წასულ ხევ-ხუვში, ისევ გაუთავებლად ყიყინებდნენ ბაყაყები.

ჭამე მოვთავავეთ. ვაწექით. ერთმანეთის წახედულუბით ფეხები პანტის ხეებზე გვეჭონდა მიბჯენილი. ვყბედობდით და ჩუმ-ჩუმად რეზოს გავცქეროდით.

ბრგეო — ვერ იტყოდით. არც თხელი ეთქმოდა. ეს კია — მზით გარუჯული ხელები რეზოს ისე ჰჭონდა დაძაგრული, ბარს და წერაქვს ისე ოსტატურად უმარჯვებდა ორმოს, ეტყობოდა, მიწასთან ნაჭილიც იყო და მიწის მაღლიც იყო.

არ შეუხანებია.

როგორც დაიწყო, დოგადოვა მისდგა და ისე აგრძელებდა.

დაპკრავდა მიწას წერაქვს.

შეუნაცვლებდა ბარს. დაინერწყვავდა თითებს. ჩასჭიდებდა ტარს და ოფლში გაწურული ნელ-ნელა აღრმავებდა ორმოს.

თავზე ახლა გარეულმა მტრედებმა გადაგვიფრინეს. გუბურას ვასტდნენ.

მობრუნდნენ. დაარტყეს წრე. იფარფატეს და ლიახვისკენ ცერად წასულ ხევ-ხუვში დაეშენენ.

თანდათან მიგყუჩდით.

რეზო თავბოძალის ჩასამაგრებელი ორმოს ამოთხრას ამთავრებდა.

ქული მოეშვლია. ფეხები უფრო გაეფარჩხა. ორმოდან ბარის წვერით იღებდა ამონათხარ მიწას. ბრუნდებოდა და იქვე ახვავებდა.

და მაშინ, როცა რეზომ საქმე მოითავა, მივიდა, მიინიშნა, დაიქნია წერაქვი და ბაბანაქება სიცხეში კარვის გასაჭიმი მეორე ორმოს ამოთხრა დაიწყო, შავტუხა ზურაბი წამოდგა.

თითქოს დათქვესო — ზურაბს თამაზი აპყვა, თამაზს — ტარიელი, იმას — ნოდარი...

წამოვიშალეთ.

მივედით. რეზოს გარშემო ჩავრიგდით. თავზე სახელდახელოდ მიკეც-მოკეცილი გახეთის ქუდები ჩამოვიფხატეთ და ორმოების ამოთხრა დაეიწყეთ.

— ადექით! — გახეთქულ ბიჭებს მოულოდნელად ზარბაზნის დაქუხებასავით ჩაგვესმა ყურში მკაცრი შეძახილი, — უქნარავ, ადექი და გამომყევით!

გავხედეთ. დაგვაჯული პანტის ჩრდილში სულის მოსათქმელად მიწოლილი რეზოს აღეწილი ლევ ნიკოლაევიჩ ორლოვი წასდგომოდა თავზე.



ეროვნული  
წიგლმწერთა  
კავშირები

# უხპოზენ ახალი მწერელები

მზია იაშვილი,  
მუსიკისმცოდნე.

როთული წყობის — III წყობის ხელოვნებასაც დააუფლა. შოთა მილორავესათვის გადამწყვეტი აღმოჩნდა დიდ კომპოზიტორ ანდრია ბალანჩივაძესთან განსწავლის წლებიც (1942-1947).

კომპოზიტორის შინაგანმა ბუნებამ, ვოკალური ინტონაციის ქვეშეცნეული გრძობით რომ განლავეთ ძალმოსილი, მთელი თავისი გზებით სასიმღერო სფეროში „იფეთქა“, თორემ ბევრს დღესაც კარგად ახსოვს მისი, კონსერვატორიის ჯერ კიდევ IV კურსის სტუდენტის, სიმფონიური პოემა „ელისოს“ წარმატება საოპერო თეატრში გამართულ სიმფონიურ კონცერტზე. არც

ო. დიმიტრიადის მიერ შესრულებული „საზეიმო უვერტურისაგან“ მიღებული შთაბეჭდილება განელებული.

უაღრესად ფართოა შოთა მილორავეს სასიმღერო შემოქმედების, მისი მოღვაწეობის ამ ერთ-ერთი წამყვანი სფეროს, თემატური თვალსაწიერი, ვრცელია მისი ჟანრობრივი „ამპლიტუდაც“. ბუნებით ლირიკოსს ხელეწიფება გმირულის ამავე ძალით ასახვა. მსმენელს აოცებს გმირული სულისკვეთებით აღსავსე პიმნური სიმღერების, თუ სიმღერა-მარშების სიმრავლე. არანაკლებ შთამბეჭდავია მისი სიმღერა-პოემებიც: „სიმღერა საქართველოზე“ (ლექსი ი.



შოთა მილორავე შვილიშვილებთან.

სრულიად ყმაწვილი გავიდა დიდი ხელოვნების ფართო სავალზე. თავიდანვე მოქალაქეობრივი სულისკვეთებით იყო ნაწრობი ამყამად ყველასათვის ცნობილი კომპოზიტორის, ქართული საბჭოთა მუსიკის თვალსაჩინო ოსტატის, რესპუბლიკის სახალხო არტისტის — შოთა მილორავეს შემოქმედებითი გზა.

15-16 წლის ავტორის ომახიანი სიმღერა მტერთან სამკედრო-სასიცოცხლოდ შერკინებულ ვაჟკაცთა გრგვინვას ერთვოდა. მისი, როგორც მეჩონგურეთა ცნობილი ანსამბლის (ხელმძღვანელი ა. ფოცხვერაშვილი) კონცერტმეისტერის, კომპოზიტორისა და თვით მეჩონგურის მონაწილეობით 500-ზე მეტი საშეფო კონცერტი გაიმართა ჰოსპიტლებსა და სამხედრო ნაწილებში.

რაოდენ საამაყოა, რომ ჯერ კიდევ ჭაბუკის ეს მოქალაქეობრივი შემართება მთავრობის ჩილდობით აღინიშნა: მედლებით „კავკასიის დაცვისათვის“ და „შრომითი მამაცობისათვის“.

შოთა მილორავემ მუსიკოსი-პრაქტიკოსის გზა, უფრო ზუსტად, „ხალხური პროფესიონალიზმის სკოლა“ ბევრად უფრო ადრე განვლო, ვიდრე თბილისის კონსერვატორიის სტუდენტი გახდებოდა. შემოქმედებითი სიტაბუკის პერიოდს განეკუთვნება შოთა მილორა-

ვას განმაურებული „ძღვეის სიმღერა“, თავდაპირველად ქრონიკალურ კინოსურათში რომ აქლერდა, ხოლო შემდეგ ცნობილმა კომპოზიტორმა არჩილ კერესელიძემ კინოფილმ „ბედნიერ შეზვედრაშიც“ (რეჟისორი ნ. სანიშვილი) აახმოვანა. ხალხის მესხიერებას შემორჩა: „შენზე სიმღერა არ მოგვწყინდება“ (ი. გრიშაშვილის ლექსზე), „ჩონგურული“ (ლექსი ა. წერეთლისა) და „ბარათაშვილის ნეშტს“ (ვაჟა-ფშაველას ლექსზე), მეჩონგურეთა ანსამბლის ცნობილი სოლისტი ტატინა მახარაძე ესოდენ ექსპრესიულად რომ ასრულებდა.

პირველი მუსიკალური შთაბეჭდილებები ქართული ხალხური სიმღერის მოჭირნახულეთა: რემა შელეგიას, ავქსენტი მეგრელიძის, კოტე ფოცხვერაშვილის, კირილე პაჭკორიას, მარო თარხნიშვილის და ილიკო ქურხულის სახელებთან არის დაკავშირებული. იგი ხომ ჯერ კიდევ 7 წლისა „მოხვდა“ ავქსენტი მეგრელიძის ცნობილ საგუნდო კოლექტივში, სადაც მისი დედა ნინო შარაშიძე-მილორავე სოლისტი იყო. კომპოზიტორი ახლაც საამაყოთ იგონებს, რომ სწორედ ავქსენტი მეგრელიძემ, გურული სიმღერის ბუნების შეუდარებელმა მცოდნემ, აზიარა იგი ხმათა პოლიფონიური შენაწევრების „საიდუმლოს“ და ჩონგურის ყველაზე



სურათზე: (მარცხნიდან) შოთა მილორავე, სულხან ნახიძე, რევაზ ლალიძე და გიორგი ცაბაძე.

ნონეშვილისა), „ჰიმნი ბუნე-  
ბას“ (ლექსი მ. ფოცხიშვილი-  
სა)), „სიმღერა საქართველო-  
ზე“ (ლექსი ხ. ბერუღავასი).  
მაღალი მოქალაქეობრივი  
მრწამსის ხელოვანს — შოთა  
მილორავეს არაერთი ბრწყინ-  
ვალე სიმღერა აქვს მიძღვნილი  
საბჭოთა ადამიანის შრომითი  
გმირობისადმი. აქ მართო „მე-  
ჩაიეთა სიმღერის“ (ნელი ვაბ-  
რიჩიძის ლექსზე) საყოველთაო  
პოპულარობისა, თუ ენგურ-  
პესის მშენებელთაღმად მიძღვ-  
ნილი მონუმენტური ჰიმნური  
საგუნდო სიმღერის („ჰიმნი  
ენგურპესს“ — ლექსი ა. შენ-  
გელიასი) წარმატების ფაქტთა  
შესხენება რად ღირს.

საზოგადოებრივად აქტუა-  
ლურ მრავალ სხვა თემასაც  
შეხება კომპოზიტორი. შთამ-  
ბეჭდავი სიმღერა გვახსენდება  
„მთას დაუბრუნდა მთიელი“  
(ა. სულაქაურის ლექსზე), რო-  
მელიც საქართველოს მთის  
ეკონომიურად აღორძინების  
სახელმწიფოებრივ პრობლემას  
მიეძღვნა.

ფოთში „კოლხიდმშენის“  
50-ე წლისთავისადმი მიძღვ-  
ნილ სახალხო დღესასწაულზე  
შ. მილორავემ თვითონ უდი-  
რყოფა თავის ორ სიმღერას  
(ლექსები ჯ. ჩახავასი). ქალაქ  
ჭიათურის მე-100 წლისთავის  
იუბილე დაამშვენა ამ თარი-  
ღისადმი მიძღვნილმა და კონ-  
კურსზე პრემირებულმა მისმა  
რამდენიმე სიმღერამ.

შოთა მილორავეს თანამედ-  
როვე თემაზე დაწერილ 100-ზე  
მეტ სიმღერას აქვს მინიჭებუ-  
ლი პრემიები.

...ოპერეტის ჟანრთან შ. მი-  
ლორავეს დაახლოება 1950-  
1951 წლების სეზონში მოხდა.  
პირველმა ცდამ (იგულისხმება  
დრამატურგ მ. გოგიაშვილის  
ლიბრეტოზე შექმნილი ოპე-  
რეტა „ერთხელ გაზაფხულ-  
ზე“) როგორც კომპოზიტორი  
იგონებს, ჟანრის სპეციფიკის  
ათვისების მხრივ ძალზე ბევ-  
რი რამ მისცა ავტორს. მომ-  
დევნო ნაწარმოების — გახმა-  
ურებული ოპერეტის „სასიძო-  
ების“ (1952 წ.) ჰუმორიტი  
წარმატება უკვე მკვიდრი ნი-  
ადავით იყო შემზადებული.  
ოსური მუსიკალური ფოლ-  
კლორის საფუძველზე აგებუ-  
ლი ეს ყოფითი ოპერეტა მუ-  
სიკალურ-დრამატურ გ ე უ ლ ი  
კონცეფციის სრულქმნილები-  
თა და შესრულების ისეთი მა-  
ღალოსტატურობით გამოირჩა,  
რომ საქართველოს რადიოს  
ოქროს ფონდში ჩაიწერა და  
დღესაც ძალზე ზშირად ჟღერს  
ეთერში. თავისი ამ პირველი  
დიდი წარმატების შემდეგ შ.  
მილორავემ ყოფითი კომედი-  
ის პლანის კიდევ მრავალი ნა-  
წარმოები დაწერა, მათ შორის:  
„მათი ოცნება“, „ჭირვეული  
ქმრის მორჯულება“ და „უც-

ნაური სტუმრები“, რომლის  
შექმნის პროცესში მჭიდრო  
შემოქმედებითი კონტაქტები  
ჰქონდა გურული სიმღერის,  
ხალხური ცეკვის სახელგანთქ-  
მულ ოსტატ გ. სალუქვაძეს-  
თან.

კომპოზიტორს ახალი თვალ-  
საჩინო გამარჯვება მოუტანა  
ოპერეტა „საყვარელმა დის-  
შვილმა“ (1955 წელი). ეს  
სპექტაკლი, რომელსაც ზღვა  
მაცურებელი აწყდებოდა, ერთ-  
ერთი მნიშვნელოვანი საფეხუ-  
რია არამართო შ. მილორავეს  
შემოქმედებითი ბიოგრაფიისა,  
არამედ თვით ქართული მუსი-  
კალური კომედიის, თეატრის  
განვითარების გზისაც.

თბილისის 1500 წლისთავზე  
დაიდგა (1958 წ.) ოპერეტა  
„სიმღერა თბილისზე“. ხასია-  
თებისა და კომიკური სცენური  
სიტუაციების გონივრული გა-  
მოკვეთით შეიქმნა შთამბეჭ-  
დავი სპექტაკლი, რომელსაც  
მაცურებლის დიდი მოწონება  
ხვდა წილად. წლების განმავ-  
ლობაში შედგა მისი 497 წარ-  
მოდგენა. საიუბილეო ციფრა-  
მდე სულ ცოტა რჩებოდა, მა-  
გრამ, სამწუხაროდ, იგი რატო-  
მღაც არ შედგა... დასახანი  
კია!

60-იანი წლების დასაწყისში  
შ. მილორავეა ქმნის ლირიკუ-  
ლი ელემენტის ხაზგასმით აღ-  
ბეჭდილ ოპერეტას — „და-  
ლი“, მაგრამ ნამდვილი წარმა-  
ტება მას სრულიად სხვა ჟან-  
რობრივ ასპექტში გარდატე-  
ხილ ნაწარმოებში ელოდა. მხე-  
დველობაში გვაქვს მუსიკალუ-  
რი კომედია „სამი ბატონის  
მსახური“ (1961-1962 წლების  
სეზონი), რომელიც მწვავედ  
ამათრახებდა ჩვენს ყოველ-  
დღიურ ყოფაში შემორჩენილ  
მანკიერებებს. სპექტაკლში  
ბრწყინვალე სცენური სახეები  
შექმნეს ე. ჩოხელმა (სიდდ-  
რი) და ა. ტურიაშვილმა (მძღო-  
ლი ნიკა — „სამი ბატონის  
მსახური“).

ასეთივე გამორჩეული აღი-  
არება ხვდა წილად შოთა მი-  
ლორავეს ოპერეტებს „ჯარში  
მიდის დეისერაზა“, „პაემანი  
ცაში“, „ჩანჩურა“...

ყურადღებას იქცევს კომ-  
პოზიტორის უკანასკნელი სა-  
მი-ოთხი წლის ნამუშევრებიც,  
მუსიკალური კომედიები: „მა-  
რშალ ფანტიეს ბრილიანტი“  
და „მუნწი“.

დაუცხრომელია მისი ყო-  
ველდღიური შემოქმედებითი  
ცხოვრება. ამჟამად იგი მთე-  
ლი გატაცებით მუშაობს ახალ  
ოპერეტაზე. მრავალწლიანი კო-  
ნტაქტი აქვს დრამატულ თეა-  
ტრთან. მან მუსიკალურად გა-  
აფორმა ქუთაისის თეატრში  
დადგმული „ტირაიელ გოლუა“,  
სპექტაკლები „კახაბერის ხმა-



შოთა მილორავეა ქუთაისის ოპერის თეატრის სოლისტებთან — ვაჟა-  
ქუხალაშვილთან და ამირან ფხაკაძესთან ერთად.



ნონა მუსხელიშვილი, შოთა მილორავეა და სულხან ნასიძე შესაზღვრებთან.

ლი“, „ადამიანებო, იყავით  
ფხიზლად“, თბილისში, რუს-  
თაველის სახელობის თეატრ-  
ში სპექტაკლი „ლერწამი ქარ-  
ში“ და მრავალი სხვა.

კომპოზიტორისათვის სამახ-  
სოვროა დაღესტნის ასსრ ქა-  
ლაქ ბუინაქსკის ავარული თე-  
ატრის სპექტაკლი „მთიელი  
ქალისათვის“ დაწერილი მუ-  
სიკა. შ. მილორავეა მუსიკას  
უშუალოდ დაღესტანში ქმნი-  
და. ცხადია, ადგილობრივი ხა-  
ლხური სასიმღერო ტრადი-  
ციის გათვალისწინებით.

მუდამ ხალხის გულში მყო-  
ფი კომპოზიტორის შემოქმე-  
დებითი ცხოვრების საგულის-  
ხმო ფაქტებზე, ალბათ, დაუს-  
რულებლად შეიძლება ლაპა-  
რაკი. იგი ხომ ყველგან შეგიძ-  
ლიათ იხილოთ: მინსკელ პარ-  
ტიზანებთან, თუ უკრაინელ  
ომის ვეტერანებთან, თბილი-  
სელ მოსწავლეებთან, თუ ჭია-

თურელ მაღაროელებთან. ყვე-  
ლგან თავისი სიმღერის სიკე-  
თეს თესავს და ასეთსავე სიყ-  
ვარულს იძვის. იძვის, რამეთუ,  
ყოველივე ეს კომპოზიტო-  
რის მაღლიანი ნიჭით არის  
სხივფენილი.

შოთა მილორავეს დროის და-  
ხილს მართლაც რომ გამორ-  
ჩეული ძალა აქვს. იგი მას  
ახალი შემოქმედებითი მწვერ-  
ვლებისაკენ უხმობს.

ჟურნალ „დროის“ სარედაქ-  
ციო კოლეგია თავის მრავალ-  
რიცხოვან გაცხადებაში ერთად  
დიდი სიზარატითა და პატივის-  
ცემით ულოცავს საქართველოს  
სსრ სახალხო არტისტს, გამორჩე-  
ნილ საბჭოთა კომპოზიტორს  
შოთა მილორავეს დაბადების 60  
წლისთავს, სულითა და გულით  
უსურბავს მას ახალ შემოქმე-  
დებით გამარჯვებას.

საქართველოს  
კულტურის  
მინისტრის  
ბიზლირთქა

# გახსენება

სარკი ღურთუძე,  
აპადემიკოსი.

1937 წელი იყო. პოეტის სიტყვით რომ ვთქვათ, საქართველოს კაენმა გადაუარა. სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტში ორი თვის მანძილზე სამი ღირეტიკორი გამოიცვალა. ამ პერიოდში ღირეტიკორის ერთ-ერთ მოადგილედ პროფესორი ნიკოლოზ ხომიზურაშვილი მუშაობდა. სპეციალური განათლება მას გერმანიაში ჰქონდა მიღებული და ზოგიერთს ამის გამო იგი საექვრ პირად მი-აჩნდა.

ერთ დღეს ინსტიტუტის მუშა-მოსამსახურეთა საერთო კრებაზე ერთ-ერთმა „აქტივი-სტმა“ ნიკოლოზი ყოველგვარი დასაბუთების გარეშე მავ-ნებლად გამოაცხადა. ბრალ-მდებელმა თავისი სიტყვა ასე დაამთავრა: „შეხედეთ რა ფე-რი ადევს სახეზე და თქვენ და-რწმუნდებით, რომ ის ჩვენი კაცი არ არის“. იღვა ნირწამ-ხდარი ნიკოლოზ ხომიზურა-შვილი თანამშრომლების წი-ნაშე და არ იცოდა, რა ეთქვა, ან როგორ მოქცეულიყო...

თუ რას ნიშნავდა ეს კრება მაშინ, ახლა ძნელი წარმოსად-გენია.

კრება გვიან დამთავრდა. ხა-ლხი ინსტიტუტის ეზოდან ტრამვაის გაჩერებისკენ გაე-შურა. ჩამოდგა ორი ვაგონი. ერთი სწრაფად გაიჭედა მგზავრებით, მეორეს კი, სა-დაც ნიკოლოზ ხომიზურა-შვილს მოესწრო ასვლა, არა-ვინ ეკარებოდა, ვაგონი ცა-რიელი იყო, ხალხი კი შემდე-გი ტრამვაის მოსვლას ელო-და. გამოჩნდა იულონ ლომო-ური. ნელი ნაბიჯით მოდიოდა. მიუახლოვდა თუ არა ცარიელ ვაგონს, იქ ახლოს მყოფთ მი-აძახა „ვაი, ჩვენი ბრალიცაო“, — და ნიკოლოზ ხომიზურა-შვილს გვერდით მიუჭდა; მას სხვებიც მიყვნენ და ერთ-გვარი დაძაბულობა თითქოს შენედა.

არავინ ელოდა, რომ მეორე დღეს ნ. ხომიზურაშვილი ისევ ინსტიტუტში გამოჩნდებოდა. საექვრ მდგომარეობა კარგა ხანს გაგრძელდა. ზოგიერთი პროფესორ-მასწავლებელი ნი-კოლოზთან შეხვედრას მომ-დევნო დღეებშიაც ერიდებო-და. საბოლოოდ სიმართლემ გა-იმარჯვა და ნ. ხომიზურაშვი-ლი უვნებელი დარჩა.

— იულონ ლომოური რომ არა, მე დღეს, ალბათ, ცოცხა-ლი აღარ ვიქნებოდიო, — იგონებდა შემდეგში პროფე-სორი ნ. ხომიზურაშვილი.

პროფესორ იულონ ლომო-

ურის პრინციპულობა, ობიექ-ტურობა და უკომპრომისობა საყოველთაოდ იყო ცნობილი. იულონი ხალხის საყვარელი მწერლის, ცნობილი ქართვე-ლი ხალხისნის და მასწავლე-ბლის ნიკო ლომოურის შვილი იყო. აგრონომიის დარგი მას მამამ შეაყვარა. იულონმა ჯერ პეტერბურგის უნივერსიტე-ტის ფიზიკა-მათემატიკის ფა-კულტეტის საბუნებისმეტყვე-ლო განყოფილება დაამთავრა და შემდეგ უმაღლესი აგრო-ნომიული განათლება პეტრო-ვსკო-რახუმოვსკის სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტში მიი-ღო. მისი მასწავლებლები იყვნენ მსოფლიოში გამოჩენილი მეცნიერები დ. ნ. პრიანიშნი-კოვი და ვ. რ. ვილიამსი.

1919 წელს ი. ჯავახიშვილმა ი. ლომოური თბილისის სახე-ლმწიფო უნივერსიტეტში მი-იწვია. იულონ ლომოური სა-ქართველოში „სასოფლო-სამე-ურნეო განათლების ერთ-ერ-თი ფუძემდებელი, გამოჩენი-ლი მეცნიერი, პედაგოგი და საზოგადო მოღვაწე იყო.

განსაკუთრებით უნდა აღი-ნიშნოს მის მიერ ქართულ ენაზე დაწერილი ორიგინალუ-რი სახელმძღვანელო „მარც-ვლელული კულტურები“ (პირ-ველი ტომი 1946 წელს გამო-ვიდა, მეორე — 1950 წელს). ბატონი იულონი წერს: „ყო-ველმხრივ ვცდილობდი, რომ წიგნი ქართული გამოსულიყო-ამას იმეტომ ვამბობ, რომ ჩვე-ნი პირობები, გეოგრაფიული ლანდშაფტი, ჰავა და ბუნება მემცენარეობას სრულიად გა-ნსხვავებულ სპეციფიკას ანი-ჭებს“. ავტორის მიზანი სრუ-ლად იქნა მიღწეული: „მარც-ვლელული კულტურები“ კლა-სიკური ქართული სახელმძ-ღვანელოა, რომელიც მეოთხე ათეული წელია, ემსახურება აგრონომიული აზრის განვი-თარებას და სწავლული აგრო-ნომების აღზრდას.

და მიუხედავად ყოველივე ამისა, როდესაც დადგა „ბიო-ლოგიის განკითხვის უამი“ და ჯერი აგრონომიაზეც მიდგა, 1949 წლის 5 აპრილს სასოფ-ლო-სამეურნეო ინსტიტუტში იულონ ლომოურის წიგნის „მარცვლელული კულტურების“ საჯარო განხილვაც მოეწყო. ზოგიერთებს სურდათ, ავტო-რი გამოეცხადებინათ მიჩუ-რინის, ლისენკოს, ვილიამსის მოწინააღმდეგე. იყვნენ სპე-ციალისტები, რომლებიც „ამ-ტკიცებდნენ“, რომ ლომო-ურის დებულებები მავნებ-

ლური ხასიათისაა და მას უმა-ღლესი მასწავლებლის კარები უნდა დაეხოსო. ამის გამო პროფესორი გ. ბაღრიშვილი წერდა: „ი. ლომოურს სწამდა თავისი მასწავლებლის, რო-გორც თვითონ უწოდებდა — დიდი ენერჯისა და ერუდი-ციის, ბრწყინვალე ორატორის — ვილიამსის მოძღვრება მი-წათმოქმედების ნათესაბაზი-ანი სისტემის შესახებ და დიდ პატივს სცემდა მის ავტორს, მაგრამ საქართველოს კონკრე-ტულ პირობებში შეუძლებ-ლად მიაჩნდა მისი უცვლელად განხორციელება“.

ბატონმა იულონმა მეცნიე-რული სიმართლის დამკვიდ-რებისათვის ყოველგვარი პი-რადული სასწორზე დადო, დაივიწყა... მისი ვაჟი, ჩვენი ცნობილი მეცნიერი — ისტო-რიკოსი ნოდარ ლომოური იგონებს:

— იმ წელს საშუალო სკო-ლას ვამთავრებდი და კარგად მესმოდა, თუ რა საშიშროების წინაშეც იდგა მამა. დისკუსი-ის წინა დამეს ჩემი მშობლები დიდხანს საუბრობდნენ. მე გვერდით ოთახში ვიწევი, კა-რები ღია იყო და თითქმის ყველაფერი მესმოდა. მათ შორის დაახლოებით ასეთი დიალოგი გაიმართა:

— ნატალია, შენ კარგად იცი, რომ მე ხვალ, დისკუსია-ში მეცნიერული ჭეშმარიტება უნდა დავიცვა, სხვაგვარად არ შემძლია! და მაინც ერთი აზ-რი არ მასვენებს: ვინ იცის, რა მოჰყვება ამ ჩემს მეცნიე-რულ „სიჯიუტეს“, ვაი თუ, ამ შეუპოვრობით ჩვენს შვილს გამოუსწორებელი ზიანი მი-ვაყენო, მომავლის გზა ავუბ-ნით... შენ რომ ჩემს ადგილზე ყოფილიყავი, როგორ მოიქ-ცეოდი?

— იულონ, შენი გადაწყვე-ტილება ნამდვილად სწო-რია, მეც ისე მოვიქცეო-დი, როგორც შენ ფიქრობ. მამამ მადლობა გადაუხადა დედას: — შენგან სხვაგვარ პასუხს არც მოველოდი, სუ-ლიერი სიმშვიდე განმიმტკი-ცეო.

ამჯერადაც სძლია კეთილმა ბოროტს და ი. ლომოურმა დისკუსიაში გაიმარჯვა.

შემდეგში, როდესაც ამ ამ-ბავს იგონებდა, ბატონი იულონი საუბარს თავისი სა-ყვარელი ფრაზით ამთავრებდა ხოლმე — ვაი ჩვენი ბრალი-ცაო!

ი. ლომოურის პრინციპუ-ლობამ, ობიექტურობამ და ავ-ტორიტეტმა პირადად მეც გა-მიწვია დიდი დახმარება.


1943 წელს საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიამ მევენახეობა-მეღვინეობის ინ-სტიტუტის ღირეტიკორად დამ-ნიშნა. ამასთან დაკავშირებით

საქართველოს სასოფლო-სამე-ურნეო ინსტიტუტის ღირეტი-ციამ ნახევარ შტატზე გადაწი-ყვანა და კვლავ ბიოქიმიის კურსის ხელმძღვანელად დამ-ტოვა. პროფესორ ვ. დვალა-ძის გარდაცვალების შემდეგ ერთხანს შეთავსებით ბიოო-რგანიზაციის კათედრასაც ვხელმძღვანელობდი. როდესაც კათედრის დაცემა ბ. ივა-ნოვი ჯარბად დაბრუნდა, კა-თედრა, ჩემი თხოვნით, მას გადაეცა, ხოლო ბიოქიმიის და ენოქიმიის კურსები მე ჩამა-ბარეს. ორივე საგანს ვკითხუ-ლობდი 1953 წლამდე. ამ წლის სექტემბერში, როდესაც პირველი ლექციის წასაკითხად მივედი, გამოირკვა, რომ უკვე მეორე თვეა, სამსახურიდან განთავისუფლებული ვარ და ბიოქიმიის კურსი კათედრის ერთ-ერთი ასისტენტისათვის გადაუციათ. გამიკვირდა, რომ ამის შესახებ არაფერი მაცნო-ბეს, მით უმეტეს, რომ აგვი-სტოში ქ. ქუთაისში ღირეტი-კორს შეხვდით და ჩემი ახალი მასწავლო გეგმები გავაცანი. არც ერთი სიტყვა იმის შესა-ხებ, რომ ამაოდ ვირჩები! 28 წლის პედაგოგიური და სამე-ცნიერო მუშაობის შემდეგ ისე ამომავდეს იმ ინსტიტუტის შტატიდან, სადაც გავიზარდე, რომ არც ერთი სიტყვა არ მითხრეს...


სექტემბრის მიწურულში აკადემიკოსმა ნიკო კეცხოვე-ლამ მომილოცა: — სერგი, სასოფლო-სამეურნეო ინსტი-ტუტში ლექციები დაგიბრუ-ნეს. იულონ ლომოურმა შენს ბიოგრაფიაში ახალი ფურცე-ლი ჩაწერაო. საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტი-ტუტის სამეცნიერო საბჭოზე პროფესორ იულონ ლომო-ურს მოუთხოვია ღირეტიკორისა-გან ახსნა-განმარტება, თუ რა მოსაზრებები დაედო საფუძე-ლად პროფესორის შეცვლას ასისტენტით და დაუხასიათე-ბია ჩემი მუშაობა ინსტიტუტ-ში. ი. ლომოურისათვის მხა-რი დაუჭერია პროფესორ ღი-რიტიკოს გელევანიშვილს. აზრის გაცვლა-გამოცვლას მწვავე ხა-სიათი მიუღია. სამეცნიერო საბჭოს გამოუტანია დადგე-ნილება: ეთხოვოს ინსტიტუ-ტის ღირეტიკოსს გააუქმოს ბრძანება ს. ღურთუძის გან-თავისუფლების შესახებ. ღი-რეტიკორმა საბჭოს თხოვნა შეასრულა.

როდესაც ბატონ იულონთან მადლობის სათქმელად მივე-დი, გამიღიმა და თავისი სა-ყვარელი გამოთქმა მოიშვე-ლია:

— რას იზამ, სამართლიან საქმესაც ზოგჯერ დაცვა ესა-ჭიროება, ვაი, ჩვენი ბრალი-ცაო.







ნანი ბრეგვაძე — სსრ კავშირის  
სახალხო არტისტი.

მაყვალე ქანსრავილი — სსრ  
კავშირის დიდი თეატრის სოლისტი.

**თაყვანისცემა**  
**საქართველოს**  
**საამაყო**  
**ასულაებს**



ეროვნული  
გიგლიოთეკა



მარინე მებრეველი — საქართველოს  
საწვლმწიფო ფილარმონიის  
სოლისტი.

თბილისის ქორეოგრაფიული სასწავლებლის პირველ კურსელებთან  
მეცადინეობას ატარებს პედაგოგი,  
რესპუბლიკის დამსახურებული არტისტი  
მარბალიტა გრიშკაშვილი.

ნინო ანანიავილი — სსრ კავშირის  
დიდი თეატრის ბალეტის სოლისტი.



# ქინეზის მოძრაობა



1947 წელი... რსფსრ პედაგოგიკის მეცნიერებათა აკადემიის ცენტრალური სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭოს სხდომაზე 42 წლის ახალგაზრდა კაცი ტრიბუნასთან დგას და სადოქტორო დისერტაციას იცავს თემაზე: „ქ. დ. უშინსკის პედაგოგიკური მოძღვრება და მისი მნიშვნელობა ქართული პედაგოგიკური აზროვნების განვითარებაში“. გამოჩენილი საბჭოთა მკვლევარი, დისერტანტის მეცნიერი ხელმძღვანელი აკადემიკოსი ე. მედინსკი ამბობს, ჩემი ღრმა რწმენით, დღევანდელი დისერტანტი საბჭოთა პედაგოგიკის ბევრ ისტორიკოსს გაუსწრებს. ეს დისერტანტი იყო დავით ონისიძის ძე ლორთქიფანიძე — ამჟამად სსრ კავშირის პედაგოგიკურ მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილი წევრი, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პედაგოგიკის კათედრის გამგე, საქართველოს სსრ ი. გოგებაშვილის სახელობის პედაგოგიკური საზოგადოების თავმჯდომარე, ახალგაზრდობის ჭეშმარიტი მოძღვარი.

ნაყოფიერ მოღვაწეობას იგი 18 წლის ასაკში იწყებს. თბილისის ქართული გიმნაზიის (ბოლო წლებში მესამე ჰუმანიტარული ტექნიკუმის) დამთავრების შემდეგ თოხლიაურის დაწყებითი სკოლის მასწავლებლად ინიშნება. ერთი წლის შემდეგ აწინაურდებიან კოჯრის დაწყებითი სკოლის გამგე-მასწავლებლად. 1923 წელს ის სახელმწიფო უნივერსიტეტის ისტორია-ფილოსოფიის შვიდწლიან შრომით სკოლაში გამგის მოადგილე, შემდეგ კი თბილისის განათლების განყოფილების მეთოდის-ინსპექტორია, 25 წლის დავითი მშობლიური რაიონის — ვანის განათლების განყოფილების გამგე ხდება და დიდ წარმატებებს აღწევს რაიონში სასწავლო-აღმზრდელ ობიექტში მუშაობის გაუმჯობესებისა და სასწავლო-მეტოდიკური ბაზის განმტკიცების საქმეში. 1933 წლიდან ის კვლავ თბილისში ბრუნდება და მოღვაწეობს განათლების სახალხო კომისარიატში სხვადასხვა თანამდებობაზე. პარალელურად 1935-1937 წლებში სწავლობს ასპირანტურაში და მუშაობს ახლადგახსნილ თბილისის ა. ს. პუშკინის სახელობის სამასწავლებლო ინსტიტუტში დირექტორის მოადგილედ სასწავლო დარგში.

აქტიურ პრაქტიკულ მოღვაწეობას დ. ლორთქიფანიძე უნარიანად უხამებს სამეცნიერო-კვლევით მუშაობას. 1937 წელს ასპირანტურას წარმატებით ასრულებს და მოსკოვში ცენტრალურ სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტში საკანდიდატო დისერტაციას იცავს თემაზე: „იან-ამოს კომენსკის დიდაქტიკა“, რომელიც შემდეგ ცალკე წიგნად გამოიცა.

1938 წლიდან დ. ლორთქიფანიძე განუწყვეტლად მოღვაწეობს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში ჯერ დოცენტად, შემდეგ პროფესორად და პედაგოგიკის კათედრის გამგედ. ამავე დროს 1947-1960 წლებში სათავეში უდგას ი. გოგებაშვილის სახელობის პედაგოგიკის სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტს. მისი უნარიანი ხელმძღვანელობით ეს ინსტიტუტი მომძლავრდა და მსხვილ სამეცნიერო ცენტრად იქცა. ამ ინსტიტუტში სხვადასხვა წლებში მოღვაწეობდნენ ისეთი საქვეყნოდ ცნობილი მეცნიერები, როგორც იყენენ შ. ნუტუბიძე, დ. უზნაძე, ს. დანელია, ს. ყაუხჩიშვილი, მ. კანკავა, გ. თავიშვილი, ს. სიგუა, ვ. ქაჯაია... ინსტიტუტის გამოცემლობა ყოველ წელს 1200-1300 თაბახის მოცულობით სცემდა მეტად საჭირო პედაგოგიკურ ლიტერატურას.

დ. ლორთქიფანიძე ოციანი წლების დასაწყისიდან ნაყოფიერ სამეცნიერო-კვლევით მუშაობას იწყებს. აქვეყნებს პედაგოგიკურ ნაშრომებსა და სტატიებს. ცალკე უნდა გამოიყოს მისი ფუნდამენტალური წიგნები: „ქ. დ. უშინსკის პედაგოგიკური მოძღვრება“, „იან-ამოს კომენსკი“, „სწავლების პრინციპები, ორგანიზაცია და მეთოდები“, „დიდაქტიკა“, „პედაგოგიკა სკოლის სამსახურში“, „მოსწავლეთა ცოდნის შემოწმება-შეფასება“ და სხვა, რომლებიც რამდენიმეჯერ გამოიცა ქართულ და რუსულ ენებზე, ზოგი კი — აღმოსავლეთ ევროპის ხალხთა ენებზე.

დავით ლორთქიფანიძისა და გიორგი თავიშვილის რედაქტორობით, იაკობ გოგებაშვილის შემკვიდრების შესანიშნავი მცოდნის ვარლამ ქაჯაიასა და ზაქარია კიკნაძის რედაქ-

ნებით გამოიცა დიდი ქართველი პედაგოგის იაკობ გოგებაშვილის თხზულებათა ანთოლოგია.

ქართულ ენაზე პედაგოგიკის სახელმძღვანელო ასევე დავით ლორთქიფანიძის (მთავარი რედაქტორი) და გიორგი თავიშვილის რედაქტორობით პირველად 1956 წელს გამოიცა, მეორედ გადამუშავებული სახით კვლავ მისი მთავარი რედაქტორობით 1969 წელს დაიბეჭდა. ეს დიდი ეროვნული საქმე იყო და მადლიერი სტუდენტობა ამას ვერასოდეს დაივიწყებს.

დავით ლორთქიფანიძის რედაქტორობით ათობით წიგნია გამოცემული. ის სერიოზულად, მაღალი პასუხისმგებლობით ეკიდება არა მარტო საკუთარი, არამედ კოლეგების ნაშრომების გამოქვეყნებასაც.

გამოჩენილი ქართველი პედაგოგი და მეცნიერი ახალგაზრდობის დიდი მეგობარი და მოძღვარია. მან რამდენიმე ათეული ნიჭიერი ახალგაზრდა დააყენა მეცნიერების გზაზე. მისი ხელმძღვანელობითა და ოპონენტობით დისერტაცია დაიცვა 30-ზე მეტმა კაცმა.

საბჭოთა მეცნიერთა შორის მას ერთ-ერთ პირველს მიეწიება იან-ამოს კომენსკისა და ქ. დ. უშინსკის მედლები, ხოლო საქართველოში — ი. გოგებაშვილის მედალი და პრემია.

დ. ლორთქიფანიძე მრავალი საერთაშორისო და საკავშირო კონფერენციებისა და სიმპოზიუმების მონაწილეა. მისი მოხსენებები გამოირჩევა აქტუალობითა და სიღრმით, მრავალმხრივობითა და პრაქტიკული ღირებულებით.

დ. ლორთქიფანიძე შესაშური ენერგიით იწვევს საზოგადოებრივ მოღვაწეობას. მისი თაოსნობით შეიქმნა საქართველოს სსრ პედაგოგიკური საზოგადოება და მას დიდი ქართველი პედაგოგის იაკობ გოგებაშვილის სახელი ეწოდა. 1958 წლიდან ის ამ საზოგადოების უცვლელი ხელმძღვანელია. დ. ლორთქიფანიძე სათავეში უდგას ქართული საბჭოთა ენციკლოპედიის პედაგოგიკის განყოფილებას; არის საბჭოთა პედაგოგიური ენ-

ციკლოპედიის მთავარი სარედაქციო კოლეგიის წევრი, საბჭოთა კავშირ-ჩეხოსლოვაკიის საქართველოს საზოგადოების მეთაური, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პედაგოგიაში სადოქტორო დისერტაციების სპეციალიზებული საბჭოს თავმჯდომარე, ყურნალ „სკოლა და ცხოვრების“ სარედაქციო კოლეგიის წევრი, წლების მანძილზე სათავეში ედგა საქართველოს სსრ უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების სამინისტროს პედაგოგიკა-ფსიქოლოგიის სასწავლო-მეთოდურ საბჭოს, იყო საქართველოს კ. თბილისის ორგანიზაციის ორჯონიკიძის რაიკომისა და ბიუროს წევრი.

მეცნიერისა და პედაგოგის ხანგრძლივი ნაყოფიერი მოღვაწეობა დიდად დაფასდა. ის დაჯილდოებულია შრომის წითელი დროშის, ხალხთა მეგობრობისა და საპატიო ნიშნის ორდენებით, რამდენიმე მედლითა და სიგელით.

ოთხმოცი წელი სიცოცხლის ხანგრძლივობის თანამედროვე პირობებში არ არის ბევრი, მით უფრო, თუ აღამაინა ინარჩუნების შრომის უნარსა და მეცნიერულ კვლევისათვის სხვა საჭირო თვისებებს. დავით ლორთქიფანიძე სწორედ ასე ღალად და ნაყოფიერი მოღვაწეობით ეგებება მეცხრე ათეული წლის დასაწყისს.

გამოჩენილი მეცნიერი ხშირად იმეორებს დიდი რუსი პედაგოგის ქ. დ. უშინსკის სიტყვებს: „ჩემი ცხოვრების მთავარი მიზანია, რაც შეიძლება მეტი სარგებლობა მოვუტანო ჩემს ხალხსა და საშრობლოს“ და ეს მას მოქმედების სახელმძღვანელოდ აქვს ქცეული.

დიდი ხნის სიცოცხლე და კვლავ ნაყოფიერი მოღვაწეობა ვუსურვოთ ჩვენს ძვირფას მოძღვარს.

ნიმუ არსანაშვილი

ვედრება

ღმერთო, შემადლებინე, ყვავილებით ავავსო ცხოვრება: ჩემი, შენი, სხვისი... ღმერთო, შემადლებინე, ვიყო მხოლოდ ნამდვილი სიყვარულის ღირსი. ღმერთო, შემაგრძენებინე

სატკივარი ყველასი: ჩემი, შენი, სხვისა... ღმერთო, ისე მაცხოვრე, რომ ეს ჩემი ცხოვრება ჰგავდეს ღელვას ზღვისას. ღმერთო, გთხოვ, ნუ მომაკლებ მზისა და სიყვარულის ყოველდღიურ აღმშენს. ღმერთო, ისე მომაკალი, რომ მოვკვდე და სიკვდილითაც ვარგო რამე მამულს.

ირინა უშვარიკა

ჩრდილოეთის ზაფრანა

კოლხურ იისფრად მოგირთავს მარხოტის ვრცელი გორები. ამაყ ზამბახსაც მაგონებ, მაგრამ ვერ დაეტოლები. შავი ზღვის ტალღას მიგიგავს უნაზეს ფურცლის ზოლები. მისებრ ცისფერი რომ იყო, უთუოდ მომეწონები.

აკაკა ფაცურია

ორი ლექსი

საოცნებო სვანეთის ნისლიანო მაისო, გრძნობა ჩემი შენს გამო ნეტარებით აივსო. მწვერვალების მარადი მოვერცხლილი მშვენიება ასეთ იღუმალეებით, ნეტავ, რად მეჩვენება. ნეტავ, რად მეჩვენება გაზაფხულის თარეში აფრიანი ტყეების მზეთა სინარჩარეში...

ფრთაშესხმულო იმედო ისევ გამიცრუვდები? მაშინ რისთვის გიჯერებ და ან რატომ ვტყუვდები... იმიტომ რომ თოვლია, თეთრად ნაკამკამარი, იმიტომ რომ ცხოვრება მუდამ კარგი რამ არი!

ლილი ნახუცრიშვილი

როგორც მწყურვალი...

ყოველ გაზაფხულს, როცა მერცხლის ჭიკჭიკი მესმის, დამიყუჩდება ნაზამთრალი ტკივილის ფესვი, აკაციების თეთრ სიხარულს, ვარდით წითელ სიხარულს ველი და გაზაფხულის დღეებს მხურვალეს დავეწაფები, როგორც მწყურვალი, გული ფრთებს ისხამს და ყოველ სისხამს, როცა მერცხლის ჭიკჭიკი მესმის, ფრთებს ისხამს ლექსი.

დარეჯან კვანჭიანი

სვანეთის მთები

მე ყოველ ღამე მესიზმრება ჩემი სვანეთი, ჩემი ოცნება ხარჯიხვივით ნავარდობს მთებში, მე კვირიკეში ხანთელივით ალად ავენთ და მერე უშბის სადღეგრძელო მუხლმოყრით შევხვი. გულიდან გასხლტა კალმახივით ღექსი ამაყი, მერე სიმღერად ჭიანჭურზე ჩამოვიკიდა, შინდოდა, მაგრამ მაინც ვერ ვთქვი მთების საკადრი, უღლევი სითბო წამოვიღე ჩემი მთებიდან. და მე ვამაყობ სუფთა სულით, მოუღლეოდ გულით და სვანეთიდან წამოღებულ სითბოთი ვთბები, ყოველ ცისმარე იქ მივაფრენ მე ფრთიან სურვილს და ყოველ ღამე მესიზმრება სვანეთის მთები.

მრავალი გაზაფხული



ლონდიის ქუჩაზე ძველებური სახლი დგას. მასპინძლები მუდამ თბილად ღებულბენ სტუმრებს. სტუმარი კი ამ სახლს ბევრი ჰყოლია და ჰყავს — ის, ვინც ერთხელ მაინც იგრძნობს ქეთევან ანჯაფარიძის ყურადღებას, საქმის ცოდნას, ვერასოდეს დაივიწყებს. მასში თანაბრად არის შერწყმული კარგი ქალი, კარგი ექიმი, კარგი ხელმძღვანელი...

ჯერ კიდევ სრულიად ახალგაზრდა პიონერხელმძღვანელი იყო. შემდეგ სოხუმის საოლქო კომიტეტში კომკავშირულ სექტორს განაგებდა. 1942 წლიდან კომუნისტური პარტიის წევრია.

1943 წელს თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტის სტუდენტი გახდა. სანიმუშო სწავლა და აქტიური საზოგადოებრივი ცხოვრება თავიდანვე შეისისხლბორცა.

სამედიცინო ინსტიტუტის დამთავრებისთანავე მოწინავე სპეციალისტი სოხუმში გაიგზავნა შეთანხმებით სამმართველოს სამკურნალო ქსელში მთავარ ექიმად.

დღემდე მეგობრობს მზიანი სოხუმის ქეთევან ექიმთან. სოხუმელებს ახსოვთ მისი ყაყაჩოებით სავსე კოხტა ბინა. შემთხვევითი არ არის, რომ ეს მოკრძალებული ნაზი ყვავილი განსაკუთრებით შეიყვარა მან.

1961 წელს თბილისში გადმოვიდა სამუშაოდ, ხოლო ყიფშიძის სახელობის რესპუბლიკური ცენტრალური კლინიკური საავადმყოფოს ნეფროლოგიური განყოფილების გახსნის დღიდან მისი გამგეა. ამავე წელს პროფესორ გ. შულცევის ხელმძღვანელობით წარმატებით დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია.

ძნელია ახალი საქმის თავიდან დაწყება. თანდათან შეიკრა პატარა, მუყაითი კოლექტივი. გამოვლინდა ქალბატონ ქეთევანის ორგანიზატორული ნიჭი, ცოდნა და გულისხმიერება.

შეაღებ ნეფროლოგიურ განყოფილებაში პალატის კარს და ათეულობით ფვალი შემოგაცქერდება — ზოგს დედობა ენატრება, ზოგს სამსახური, ზოგს აკრძალული საჭმელ-სასმელი, ზოგსაც შეილის დარ-

დი აქვს... ქეთევან ანჯაფარიძის თითოეული ავადმყოფის მკურნალობის კურსი აბსოლუტურად ინდივიდუალურია, იგი ცდილობს, გაითვალისწინოს ყველაფერი, რასაც ექიმისა და ადამიანის გონება შეიძლება ჩასწვდეს.

სრული წესრიგი, ურთიერთგაგება და ურთიერთპატივისცემა სუფევს ნეფროლოგიურ განყოფილებაში. ექიმების — თამარ აბულაძის, ჯენი ჭუბაბრიას, რევაზ ბალათურიას, მედლებისა და სანიტრების თავდადებას შედეგად ამ ათი წლის მანძილზე მრავალი ადამიანი დაუბრუნდა ხალისიან ცხოვრებას...

ყოველწლიურად მოდიან სამედიცინო ინსტიტუტის სტუდენტები ამ განყოფილებაში და სინანულით ემშვიდობებიან მას. ახალგაზრდა სპეციალისტები მარტო თირკმელების დაავადებებს როდი სწავლობენ იქ.

...თავის წილ ყურადღებას ითხოვს ავადმყოფი, სტუდენტი, სამეცნიერო მუშაობით დაინტერესებული ექიმები. ქალბატონ ქეთევანს ყველასათვის მოეძებნება დრო, ცოდნა და გულისხმიერება. სოფოკრ მეგობრებისთვისაც უნდა მოიცალოს. თუ ბინაზე ესტუმრებით, თავის სულიერ მეგობარ დასთან — ქალბატონ თამართან ერთად, სიამოვნებით დავათვალიერებინებთ საქართველოს სხვადასხვა კუთხიდან გამოგზავნილი ყაყაჩოების კოლექციას.

უდროო დროს დარეკავს ტელეფონი.

ახალგაზრდა ექიმიც ცოდნა და მძიმე ავადმყოფიცო, — იტყვის ქეთევან ექიმი და განყოფილებას მიაკითხავს.

...მრავალი გაზაფხული და წარმატება ვუსურვოთ ქეთევან ექიმს ადამიანების საყეთილდღეოდ.

მადონა მაჟულაშვილი, თბილისის ალ. ნათიშვილის სახელობის მასპარეზობის მორფოლოგიის ინსტიტუტის თანაფორმელი.



ისე  
მოქმედებდა

● შურნალ „თეატრი და ცხოვრების“ 1920 წლის მეცხრე ნომერში ცნობილი მწერალი და საზოგადო მოღვაწე იოსებ იმედაშვილი წერდა: „უახლესი წლის მარტში მოულოდნელად გარდაიცვალა სამშობლო ქვეყნის ერთი თავდადებული მოყვარულ-მოტრფილთაგანი, ძველი პოლიტიკური დევნილი, მწერალი და საზოგადო საქმეებით გატაცებული ადამიანი. ეს იყო ისე მაქსიმელის ძე მესხულა — ისე რაჭველი.

ისე რაჭველი თვითგანვითარებით ეწია სამშობლოს სამსახურის შეგნებას და სიყრმიდან მას მხნედაც შეუდგა. 80-იან წლებში ძველი მთავრობისგან დევნილი გადასვნილია საზღვარგარეთ, ოსმალეთს, სადაც პირველ განმათავისუფლებელ მოძრაობამდე დარჩენილა. საბერძნეთსა და სტამბოლში ყოფნის დროს შეუსწავლია თურქული, ბერძნული და სხვა ენები. ამავე დროს ქართულ ჟურნალ-გაზეთებში წერილებს ათავსებდა, ად-

გილობრივ გადასვნილ ქართველთა შორის სამშობლოს სიყვარულის იდეას ავრცელებდა, მამულიშვილობის გრძნობას აღვივებდა. დაწერა მოთხრობები: „მეექვსე ნომერი“, „რაშია ბედნიერება“, „მარიანა“, „უმანკო მსხვერპლი“, „მართალი კაცი“ და სხვა.

სამშობლოში დაბრუნებისას დიდ სამწერლო საქმეებს მოჰკიდა ხელი. მაგრამ საქმე ვერ წაუვიდა კარგად, ბოლონანს ლაგოდეხს გადასახლდა, სადაც, სხვათაშორის, დიწყო ხელნაწერი ჟურნალის „პერეთის“ გამოცემა. მასში ჩვენს საეროვნო საზოგადოებრივ და ადგილობრივ ვითარებას არკვევდა. ამ ჟურნალს საკუთარი ხელით წერდა და გაქტოგრაფზე ბუჭდავდა, შემოსხენებულ ნაწარმოებთა გარდა დარჩა მრავალი ხელნაწერი-ლექსები, პოემები, წერილები; როგორც შევითყვეთ, მის ქვრივს და მეგობრებს განუზრახავთ ამ ნაწარმოებთა ცალკე გამოცემა. სწორედ კარგი განზრახვაა. ისე ჯერ შუახნის არც კი იქნებოდა და ამიტომ მისმა მოულოდნელმა სიკვდილმა საერთო მწუსარება გამოიწვია.

მასში სცემდა ნამდვილი მამულიშვილ-დემოკრატიის გული და ნუმც დაეღევა მსგავსნი გულნი ჩვენს სამშობლოს.

ეს სტატია ცხადყოფს სამშობლოს სიყვარულით გულანთებული ერთი დაუცხრომელი მუშაკის მრავალმხრივ ლიტერატურულ და საზოგადოებრივ მოღვაწეობას.

ისე მესხულა დაიბადა ოზურგეთის (მანარაძე) მაზრის სოფელ ბაილეთში, რვა წლის ასაკში მშობლებმა იგი სოფლის ერთკლასიან სასწავლებელში შეიყვანეს, სადაც მაშინ მასწავლებლად მუშაობდა ბესარიონ ჭიჭინაძე, მეტად პუმანური და პროგრესულად მოაზროვნე ადამიანი. იმ

სანებში სკოლა დაუსურავთ, სოლო ისე, როგორც ნიჭიერი მოაფე ბ. ჭიჭინაძემ დედ-მამის თანხმობით რაჭაში წაიყვანა და ორკლასიან სასწავლებელში მიაბარა.

ისე სკოლის დამთავრების შემდეგ ერთხანს რაჭაში დარჩა. იქ დაუახლოვდა არალეგალურ პოლიტიკურ ორგანიზაციას. ეს ორგანიზაცია ადგილობრივმა პოლიციამ აღმოაჩინა და მისი მოთავენი დააპატიმრა. ისე გურიისში ბრუნდება და აგრძელებს არალეგალურ საქმიანობას, ეწევა ეთნოგრაფიულ მუშაობას, აარსებს ამხანაგობა „გეორგიას“, ესმარება ხელმოკლე ქართველ სტუდენტებს.

პოლიციის დევნიდან თავდასაღწევად საზღვარგარეთ გაემგზავრება. იმოგზაურებს თურქმენეთში, საფრანგეთში, იტალიაში... პუბლიცისტურ წერილებს თავისი მასწავლებლის ბ. ჭიჭინაძისა და რაჭისადმი სიყვარულით შერქმეული ფსევდონიმით აქვეყნებდა „დროებაში“, „ივერიაში“, „კვალში“, „ჩვენს დროებაში“. იბეჭდებოდა აგრეთვე მისი რომანები, მოთხრობები, პოემები. ესენია: „მეექვსე ნომერი“ (კინორევისორ ალექსანდრე წუნუნავას განუზრახავს ამ რომანის კინოსცენარად გადაღება, მაგრამ ეს კეთილშობილური ჩანაფიქრი ვეღარ განუხორციელებია), „მარიანა“, „უმანკო მსხვერპლი“, „რაშია ბედნიერება“, „ფერი ფერსა მადლი დმერთსა“, „მართალი კაცი“ და სხვ. გარდა გამოქვეყნებული ამ ნაწარმოებებისა მწერლის მრავალი ნაშრომი დაცულია საქართველოს ცენტრალური არქივის, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიბლიოთეკის ფონდებში და სოფელ ბაილეთის მეგობრობის მუზეუმში. აქვე მოწყობილია სტენდი, მწერლის ცხოვრებისა და მოღვაწეობის ამსახველი ექსპონატებით.

1904 წელს ისე საქართველოში დაბრუნდა და განაგრძო თავისი მრავალმხრივი მოღვაწეობა. იმავე წელს თბილისის თვითმმართველობის გამგეობასთან დებს წიგნთსაყიდვო-გაყიდვო ქუჩებზე ქვაფენილს — დასაგეგმად ქუები პირველ სანებში საზღვარგარეთიდან შემოქონდათ, რაც დიდ სიძინელებთან იყო დაკავშირებული. შემდგომი ძიების შედეგად აღმოჩნდა სამშენებლო ქვის კარიერი გელათის მახლობლად სოფელ კურსებში, აგრეთვე სოფელ ბამბაკში.

1907 წელს ამხანაგობა „გეორგიას“ ფირმა ბათუმიდან თბილისში გადამოვიდა. ისე კონვენციით აიღო მუხრანის რკინის ხიდის დაკვეთა მდინარე მტკვარზე, რაც შეასრულა. ისე რაჭველი თბილისში ცხოვრობდა ყოფილი ვარდისუბნის (ამჟამად ს. ჯანაშიას) ქუჩაზე.

ისე რაჭველი დაუცხრომელ მოღვაწეობას ეწეოდა აგრეთვე ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების საქმიანობაში.

სიცოცხლის ბოლო წლები ლაგოდეხში გაატარა. მოულოდნელად გარდაიცვალა 1919 წლის მარტში. ასლობლებმა მისი ცხედარი მშობლიურ ბაილეთში გადმოასვენეს და დაკრძალეს წმინდა გიორგის ეკლესიის ვალაფანში, თავისუფლებისათვის მეტროლ ნიკოლოზ მესხულას ვერდით. საფლავის ქვაზე, რომელზეც ვაზის მტევნები და ფოთლებია გამოსახული, ამოკვეთილია წარწერა: „ამა ძეგლსა ქვემ განისვენებს გვამი ისე რაჭველ-მესხულასი, საზოგადო მოღვაწე, ბელეტრისტი. დაიბადა 1860 წელს, გარდაიცვალა 1919 წელს“.

შოთა ჯაქარიძე

სახალხო დეპუტატთა თბილისის საქალაქო საბჭოსა და კალინინის რაისაბჭოს დეპუტატები — საქართველოს კ ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობის სტამბის მუშაკები. დგანან (მარცხნიდან): ზაირა ლომიძე, ელისო ლიპარტელიანი, მარინე ბერიძე, მაცყალა კობახიძე, ნანა ჩიტაშვილი, თამარ ცხედიანი, ნორა სილაგაძე. სხედან: ია აბაიშვილი, ოლია დემეტრაშვილი, ზოია ჭაჭაია.

### „დროშის“ კეთილი მეგობრები



ტანკი და... გეოგრაფიები

ბრიტანეთის შეიარაღებული ძალების ჯარისკაცმა, 19 წლის ფილიპ მეტონმა, როგორც კი ტანკის მართვა შეისწავლა, თავისი მშობლები გაახსენდა. ჯარისკაცმა აღარ დაახანა, დაძრა ტანკი, გემპშირის საგრაფოსკენ გაქანდა, 80 მილი გრუნთით გაიარა და მშობლიურ სახლს მიაღწია.

ნაწილში დაბრუნებული ფილიპ მეტონი დააკავებს. სარდლობამ იმსჯელა და ურჩი ჯარისკაცი სამხედრო სამსახურის მოსახდელად დასავლეთ გერმანიაში განამწყსა.

105-ჯერ იმორჩინა

ამერიკელმა ჯოვანი ვიგლიოტიმ იმარჯვა და თავისი ცხოვრების 53 წლის მანძილზე 105-ჯერ იქორწინა.

შეძლებული ცოლებიდან ფულის დაგინცვლა! — აი რა იყო ამერიკელი დონ უუანის უპირველესი მიზანი.

არბონის შტატის ქალაქ ფენეისის სასამართლომ აღფონსა და გამოუსწორებელ შუღლერს ჯოვანი ვიგლიოტის 34 წლით პატიმრობა მიუსაჯა. ციხეში დაშვებული დონ უუანი რამდენიმე ნაწილარმა მოინახულა.

ალთა-ბალთა

შოტლანდიის ქალაქ ასტორაში პოლიციელმა შენიშნა, რომ ელექტრომაღალაში ქურდი შეიპარა და ორი მავნიტოფონი მოიპარა.

წესრიგის დამცველი ქურდს გამოეკიდა. ის-ის იყო წამოეწია, რომ ვკლესის საათმა შეაღამე ჩამორეკა.

პოლიციელი შეჩერდა. მორიგეობის დრო ამოწურული იყო. ცვლის დამთავრების შემდეგ კი, დამატებითი ანაზღაურების ასაცილებლად, შოტლანდიელ პოლიციელებს მუშაობის გაგრძელება ეკრძალებათ.

ქურდი ალთას გარბოდა, პოლიციელი შემობრუნდა და შინისკენ გაემურა.

წყალწყალეზულნი

გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის ქალაქ მენსენგლადბანში ბოროტგანმზრანველებმა ერთდროულად დაწვეს შვიდი მსხვილი საფეიქრო საწარმო.

ხანგრძლივი ძიების შემდეგ, პოლიციამ დაშინაშევთა კვალს მიაკვლია. დაპატიმრებულთა შორის სამი კაცი დაშვარ საწარმოთა მფლობელი აღმოჩნდა.

როგორც გამოირკვა, გაკოტრებულმა ფაბრიკანტებმა თავიანთი ხაწარმოები იმიტომ დაწვეს, რომ დიდი რაოდენობის სადაზღვევო თანხა მიეღოთ.

360 საათი... უხაკაქვეშ

გაზეთ „ინტერნეტულ პერალ ტრიბუნა“ (აშშ) იუწყება, რომ ამერიკელმა სტივ უოლენდმა ახალი

მსოფლიო რეკორდი დაამყარა.

დიდ სიმაღლეზე გაჭიმულ მავთულზე სტივ უოლენდმა შეუსვენებლად გაიარა 3809 მეტრი. აღსანიშნავია ისიც, რომ რეკორდსმენმა მავთულზე 100 ბრუნი გააკეთა.

ახალი მსოფლიო რეკორდი დაამყარა აგრეთვე დასავლეთგერმანელმა კლემენს მიუტერმა. იგი 360 საათი იჯდა აბაჯანაში... შხაპის ქვეშ.

უკანასკნელი იმიდი

დასავლეთ გერმანიის გაზეთ „ვილგელმს საფენერ ცაიტუნგი“ ამას წინათ გამოქვეყნდა ასეთი განცხადება: „ჩემი წლიური ხელფასიდან 10 პროცენტს პრემიის სახით ვაძლევ იმ პირს, რომელიც დამენმარება მუდმივ სამუშაოზე მოვეწყო შოფრად ან დამხმარე მუშად...“

სიცოცხლის დაზღვევა

ინგლისში სიცოცხლის დაზღვევის ასეთი წესი შემოიღეს, — ვინც სიგარეტს ეწევა, ყველაზე მეტ სადაზღვევო გადასახადს იხდის, შედარებით ნაკლებს იხდიან ჩიბუხისა და სიგარის მწვეველები.

დღემდე ვერ დადგინდა, რა თანხა უნდა გადაიხადონ ბურნუთის მენოსველებმა და საღვჯი რეზინის მოყვარულებმა.

განმორწინება უმტლანდიურად

შოტლანდიაში შემოიღეს განქორწინების ახალი წესი — ფოსტიო.

საქმე გაიოლდა. განქორწინების მსურველი წერს სათანადო განცხადებას, ფოსტიო აგზავნის სათანადო ადგილას, იხდის 40 ფუნტ სტერლინგ გადასახადს და ორი თვე იცდის.

ამ საქმის მოგვარებას წინათ 250 ფუნტი სტერლინგი და 9 თვე ცდა სჭირდებოდა.

26 მილიონზე მებტი

ამერიკის შეერთებული შტატების ყოფილი პრეზიდენტები სახელმწიფო ხაზინას ყოველწლიურად 26 მილიონ დოლარზე მეტი უჯდება.

რ. ნიქსონი, დ. ფორდი, დ. კარტერი წელიწადში 70-70 ათას დოლარ პენსიას იღებენ. დიდი თანხა ეძლევათ სხვა ექს-პრეზიდენტებსაც.

ხაზინას ხშირად უხდება „დაუგვევაკი“ თანხის გაღება. მაგალითად, ყოფილმა პრეზიდენტმა რ. ნიქსონმა ვასალები დაკარგა და მისი სეიფის ვანსა 500 დოლარი დაჯდა.

„პენსია აღარ მოგეცემათ“

პენსიონერი შეედი მონა ლუნდგრენი დაბადებიდან ინვალიდია. არ აქვს მარცხენა ფეხი და ორივე ხელის ცერა თითები.

ინვალიდ ქალიშვილს ამას წინათ ოფიციალურად აცნობეს — ვინაიდან უმაღლეს სასწავლებელში მოეწვევთ, — სწავლა შეგიძლიათ. რადგან სწავლა შეგიძლიათ, სასწავლებელს დაამთავრებთ და მუშაობას დაიწყებთ. ვინც მუშაობს, დახმარებ-

ის უფლებას კარგავს. მაშასადამე, თქვენ ინვალიდობის პენსია აღარ მოგეცემათ.

კაითხა ლუდი

გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკაში კელნის საბაჟოს უფროსი ინსპექტორი გეინც შეპე შესვენებისას მასობელ სასაუბრეში შეჯდა და კათხა ლუდი შესვა.

უფროსი ინსპექტორი უმეროსმა ინსპექტორმა საბაჟოს უფროსთან დაასმინა.

გეინც შეპეს ბრალად დაედო ალკოჰოლის მიღება. შეიქმნა „უფროსი ინსპექტორის გეინც შეპეს საქმე“, რომლის ძიება 18 თვეს გაგრძელდა.

საქმის გარჩევაში მონაწილეობას იღებდა საბაჟო სამსახურის ორი უფროსი ინსპექტორი, საბაჟოს მრჩეველი, ორი უფროსი სახელმწიფო მრჩეველი, ერთი დირექტორი, ერთი სახელმწიფო დირექტორი, ერთი ფინანსთა საკითხების უფროსი წარმომადგენელი, ერთი ფედერაციული სასამართლოს მოსამართლე, თორმეტი რემენგტონზე მუჭდავი ქალი, ერთი ვეჟილი და ერთი შიკრიკი.

შედეგა სასამართლო. მართლმსაჯულებამ გეინც შეპეს სამუშაო საათებში ალკოჰოლის მიღებისათვის 150 მარკა ჯარიმის გადახდა მიუსაჯა.

საკითხავია, რა დაუჯდა სახელმწიფოს უფროსი ინსპექტორის მიერ შესხული ერთი კათხა ლუდი?!

დოკსს პენსია დაუნიშნეს

გერმანული ნაგაზი დოკსი ერთგულად ემსახურებოდა იტალიის პოლიციას. მისი დახმარებით აღმოაჩინეს და დააკავეს 500-ზე მეტი საშიში დამნაშავე.

რამდენიმე წლის წინათ, დოკსი და მისი პატრონი — პოლიციის თანამშრომელი ჯოვანი მაიმონე, პენსიაზე გავიდნენ.

ამაგდარი ბებერი ძაღლის გამოსაკვებად ჯოვანი მაიმონემ მთავრობისაგან თანხის გაღება მოითხოვა.

დავა დიდხანს გაგრძელდა. საქმის გარჩევა-გადაწყვეტაში 22 მოსამართლე მონაწილეობდა. რომის უმაღლესმა სააპელაციო სასამართლომ საჩივარი ჯოვანი მაიმონეს სასარგებლოდ გადაწყვიტა: დოკსს პენსია დაუნიშნეს.

როგორც გამოცხადდა

ესპანეთის გაზეთი „პაისი“ იუწყება, რომ დააპატიმრეს დანიის ბურჟუაზიული პარტიის ლიდერი მოგენს გლისტრუპი. ფინანსური მაქინაციისათვის მას სამნახევარი წელი მიუსაჯეს.

— მინდა ციხიდან გავაგრძელო პოლიტიკური საქმიანობა, — ოფიციალურად განუცხადა პარტიარმა საპარტიოების უფროსს. — გთხოვთ გაითვალისწინოთ ეს გარემოება და, როგორც გამონაკლისი, ხაკანში ტელეფონი დამიდგათ.

პროტისტის ნიშნად

როცა შესამედ შეაჩერეს, მანქანიდან გადმოსული ინვალიდული მღვდელი კენტ როჯუეში მუსლებზე დაემხო და ზეცისკენ აღაპყრო ხელები.

განაწყენებულმა მამაოვ ჯერ დაიწყევლა, შემდეგ კი სახალსოდ შეჰფიცა, რომ მოძრაობის მომწესრიგებელ პოლიციელებს აღარც ჯვარს დასწერს და აღარც შეილებს და შეილიშვილებს მოუნთლავს.

## სარგამართო მოთხრობა

ფრანგული ხუნამოს სურნელებით შეზავებული 8 მარტი იდგა. კაცებით გაქედნილ დარბაზში ტყეა არ იყო. ნემსი კი არა, ანგელოზი რომ ჩაფრენილიყო, თავაზიანად კარისკენ მიუთითებდნენ. რამდენიმე წუთიც და გაიხსნებოდა კმა-ს (კაცების მსოფლიო ასოციაცია) შემაჯამებელი სესია, რომელსაც მსოფლიოს ყველა ქვეყნიდან ჩამოსული 500 დელეგატი ესწრებოდა..

დადგა საზეიმო წუთი, კმა-ს პრეზიდენტი, საკმაოდ მსხდენილმა მამაკაცმა, ესპერანტოს ენაზე, ე. ი. სესიის სამუშაო ენაზე, გახსნა სესია და სიტყვა მოხსენებისათვის მასპინძელი ქვეყნის წარმომადგენელს, ბატონ თათის გადასცა.

— ბატონებო და ქალბატონებო! — სასიამოვნო ტემპრით წამოიწყო თათის, მაგრამ გაგრძელება ვეღარ შეძლო, დარბაზში სტვენა ატყდა.

— ბატონო თათი, თქვენს მიმართვას ქალბატონო მოაშორეთ და გარეუბრებიან! — წმინდა ქართულით გაისმა დარბაზში ირონიული შექაბილი.

თათი მიხვდა თავის შეცდომას და ხელახლა დაიწყო:

— ბატონებო! დღეს, თანამედროვე ცივილიზაციის პირობებში, მწვავედ დგას ქალთა და კაცთა ფუნქციების საკითხი. უბრალოდ რომ ვთქვათ, საითაც კაცები მივიწვივთ, ქალებიც იქით მოიწვევენ! დროა, ან შევარჩოთ, ან ბოლომდე მივუშვათ ქალები, ე. ი. მთლიანად გადავბაროთ ჩვენი ფუნქციები.

— მთლიანად არ გამოვა! — შესძახა მერვე რიგში მჯდომმა დარბაისელმა მამაკაცმა.

— რა გამოვა და რა არ გამოვა, მომხსენებელმა უკეთ იცის! — წამოეშველა თათის პრეზიდენტი. გულმოცემულმა ორატორმა განაგრძო:

— ბატონებო! მე ფუნქციების მთლიანად გადაცემის მომხრე ვარ და აი რატომ: წავიდა ის დრო, როცა ქალის შრომა მძივდ ითვლებოდა. შრომის ყველა პროცესი აშუამალ ავტომატიზირებულია, ასეთ პირობებში კი კაცებიც შესანიშნავად გავართმევთ თავს საოჯახო საქმეებს.

— რომელი ავტომატი ამოგიწავს ლობიოს?! — ხელმოკრედ აუვირდა დარბაისელი კაცი.

— ბატონებო! მეგობარი ცდებო. ოჯახში კერძის მომზადება რაღა საჭიროა, როცა ეს ფუნქცია რესტორნებსა და კაფეტერიებს აკისრიათ. აქვე მინდა აღვნიშნო, რომ არც თეთრეულის გარეცხვაა საჭირო, ამის-

თვის სპეციალური ხაზრეცხაო პუნქტები არსებობს; რაც შეეხება ბინის დაგვა-დასუფთავებას, ეს საჭმე ყველას შეუძლია გააკეთოს მტვერსასრუტით, მიუხედავად ასაკისა და სქესისა...

თათიმ ჩახველა და განაგრძო: — ყველაზე მეტად ალბათ ჩვილისთვის ძუძუს წოვების პრობლემა განტერესებთ; ჩემი აზრით, ეს საკითხიც გადაჭრილია: რძე დღეს არც ქალს უღებება მკერდში და არც კაცს! ახლა ნება მომეცით ორიოდ სიტყვით კაცების მდგომარეობას შევეხო... როგორი პირობები გვაქვს ჩვენ, ე. ი. კაცებს? საშინელი უფრო მეტიც: ა-უ-ტ-ა-ნ-ელი!

დარბაზს მქუხარე ოვაციამ გადაუარა.

— ბატონებო, ამ რამდენიმე ათეული წლის წინ, ქალებმა ხელისუფლების ხელში ჩაგდება სცადეს, მაგრამ მატრიარქატი არ გამოუვიდათ! და იცით რატომ? მაშინ ქალები არ იყვნენ სათანადოდ მომზადებულები — ვერ იტანდნენ შარვალს, ჩექმას, თმის გადანოტრას, ალკოჰოლს, ნიკოტინს... ახლა ეს პრობლემა თითქმის გადაჭრილია...

ისევ ჩახველა და განაგრძო:

— ძვირფასო მამაკაცებო! როგორც ხედავთ, ჩვენ არაფერს დავკარგავთ პატრიარქატის თავიდან მოცილებით. სწორედ ამიტომ, დღეს, როდესაც სესიის მუშაობას ტელევიზიით თვალყურს ადევნებს მთელი დედამიწა, საბოლოოდ უნდა გადავწყვიტოთ, ვინ მიხედავს საოჯახო საქმეებს და ვინ ივლის გარეგარე! გთხოვთ, ყველა დელეგატი, რომელიც თანახმაა პატრიარქატი მა-

ტრიარქატით შეიცვალოს, ფეხზე წამოდგეს. ნება მიბოძეთ, გააფრთხილოთ, ერთმა დელეგატმაც რომ შეიკავოს თავი, დღეს უღებება თანაობა, ყველაფერი კვლავ უნდა დარჩება.

ორიოდე წუთის შემდეგ, გამომითვლელი მანქანის ტაბლოზე ფეხზე წამოდგარტა რიცხვმა 499 მიაღწია და ადგილზე გაიყინა.

— ისევ ის დარბაისელი კაცი გვირევს, — გადაულაპარაკა თათიმ პრეზიდენტს და მერვე რიგისაკენ გაემართა.

— ადგილზე ფეხზე! — დასტეკა პრეზიდენტმა, — ვინ მოგცათ უფლება ახურად აიგდოთ 499 მამაკაცი დელეგატი?

— ცდებით, ბატონო პრეზიდენტი! — დარბაისელმა კაცმა დარბაზს მიმოავლო თვალი, — ხუთასი დელეგატიდან მხოლოდ მე ვარ ერთადერთი მამაკაცი!

დარბაისელმა კაცმა ნიშნის მოგებით გახედა პრეზიდენტს და დიმილით დაასრულა:

— ამ სესიაზე იმითმ გეახელით, რომ მამაკაცურად გადაცმულ 499 ქალს გულითადად მივულოცო მათი ხაერთაშორისო დღე — 8 მარტი. მუშაობაში დრო შეუმჩნევლად გაპარულიყო.

რვა მარტი თენდებოდა. მამაკაცურად ჩაცმული დელეგატები იღიმებოდნენ.

გაოგნებულ პრეზიდენტს და თათის ისღა დარჩენოდათ, სათითაოდ ჩამოერთვათ ხელი 499 დელეგატისათვის და საზეიმო დღე მიელოცათ.

## თამაზ კასრაძე

### „დროშა“ № 2 გამომკვეყნებული კრისმორღის პასუხები

შვეულად: 1. „ისკრა“; 2. ქიმიკი; 4. ამონიტი; 5. ამირანი; 9. ქარტია; 10. იალბუზი; 11. ბოიკოტი; 12. ელდეგა; 14. ნოტაცია; 16. ნიუტონი; 18. სტეკი; 20. იმამატი; 21. ბადმინტონი; 22. ადეკვატური; 24. მატრიცა; 26. პლანერი; 27. დებიუტი.

თარაზულად: 3. ისტორია; 6. ამპერი; 7. დიდება; 8. არქონტი; 11. ბარიერი; 13. უნცია; 15. დიანა; 17. აზბესტიტი; 19. გალილიე; 23. არომატი; 25. კასკადი; 28. ფირსოვი; 29. მანტია; 30. ბაცილა; 31. ნარტა; 32. ატომი; 33. ემბრიონი; 34. ბრისტოლი.

კორექტორი ცინანა სიჭინავა

მონტაჟი ნანული დანელიანი

გარეკანის პირველ გვერდზე: კინოსახიობი ლიკა ქავუარაძე და პატარა ლევანი. ფოტო თარხან არჩვაძისა.

მეოთხე გვერდზე: თვითნაწავლი მხატვრის, ექიმ დარეჯან სვანიშვილის ნამუშევრები.

გადაეცა წარმოებას 15. 02. 85 ხელმოწერილია დასაბეჭდად 21. 03. 85 უე 05104 ქალაქის ზომა 70x163/8. იბეჭდება: გარეკანი და ჩანართი — მაღალი ბეჭდვით, ტექსტი — ოფსეტური წესით. ფიზიკური ფურცელი 8, პირობითი ნაბეჭდი ფურცელი 4,2 სააღრიცხვო-საგამომცემლო თაბახი 5, 09. ტირაჟი 49.000. შეკვ. 471. ფასი 85 კაპ, 880096, თბილისი, ლენინის ქ. № 14, საქართველოს კ კც-ის გამომცემლობის სტამბა.

Ежемесячный общественно-политический и литературно-художественный журнал «Дроша» («Знамя»), (на грузинском языке). 380096, Тбилиси, ул. Ленина, 14. Типография издательства ЦК КП Грузии. Адрес редакции: 380008. Тбилиси 8. по. Руставели, 42.

რედაქციის მისამართი: 380008, თბილისი 8, რუსთაველის პრ. 42. ტელეფონები: მთავარი რედაქტორის — 99-54-66, მთ. რედაქტორის მოადგილის — 99-82-69, პ/მ. მღვინის — 99-01-89, განყოფილებათა გამგებების — 93-28-42, რედაქციის სამდივნოსი — 99-54-66.


რედაქციაში შემოსული მასალა ავტორს არ უბრუნდება.



ეროვნული  
ბიბლიოთეკა

ნინო რამიშვილი, საპოტა კავშირის სახელმწიფო  
და შოთა რუსთაველის კრემიუმის ლაურეატი, საპოტა  
კავშირის სახალხო არტისტი.





„ჩემი ფიროსმანი“.



ნატურმორტი.

დარეჯან სვანიშვილი

შემოდგომა.

